



ჩინეთი

中国



ჩინეთის კლუბის სასწავლო პროექტი

სპეც გამოშვება | თებერვალი 2018





ჩვენი ჟურნალი

ჟურნალი "ჩინეთი" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის სასწავლო პროექტია, რომელიც სტუდენტების სწავლების, პროფესიული ზრდის ხელშეწყობის, ინფორმირების, გამოცდილების გაზიარების და საქართველოში ჩინეთის ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა.

ჟურნალი მოწოდებულია, რომ საზოგადოებას უფრო მეტი წარმოდგენა შეეძინას თანამედროვე ჩინეთის ენის, კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, განათლების, ტრადიციული ჩინური მედიცინის და სხვა სფეროების შესახებ.

ჟურნალი ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესებას, აკადემიური მობილობის ამაღლებას, ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის განვითარებას და ჩინური ენისა და კულტურის შესწავლას.

გათვალისწინებულია ჩინეთის პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართვა აღნიშნულ სასწავლო-სამეცნიერო პროექტში. ერთობლივი ჟურნალის მომზადება ჩინელ სტუდენტებთან ერთად. სტუდენტები ჟურნალისათვის ამზადებენ სხვადასხვა რესურსებს ჩინეთის შესახებ. ასევე ითარგმნება ჩინეთის კვლევების სფეროში მოღვაწე ცნობილი მეცნიერების, ექსპერტების, ანალიტიკოსების მიერ მომზადებული საინტერესო მასალები.

ჟურნალი ასევე საინტერესო იქნება ჩინური გამოცდილებისა და ახალი ინოვაციების გაზიარების თვალსაზრისით და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ჩინეთის პრობლემატიკით დაინტერესებული პირებისათვის.

ჟურნალი „ჩინეთი“ პირველ ეტაპზე გამოვა ელექტრონულ ფორმატში, შემდგომში გათვალისწინებულია ჟურნალის ბეჭდვითი ვერსიის მომზადება და გავრცელება მთელი საქართველოს მასშტაბით.

სასწავლო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი,

მიხეილ კიკნაძე.

ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის ახალი გეგმები



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო წელს პროფესორ ავთანდილ კიკნაძის ინიციატივით შეიქმნა ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი, ჩინური ენისა და კულტურის ცენტრი, ჩინეთის სტუდენტური კლუბი. რომელმაც განახორციელა არაერთი საინტერესო აქტივობა. სასწავლო პროექტის ფარგლებში მომზადდა ელექტრონული ჟურნალის, "ჩინეთის" სპეცნომერი. ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩამოყალიბდა ფაკულტატური ჩინური ენის სასწავლო კურსი, რომელსაც უძღვებიან მაღალკვალიფიციური ჩინელი და ქართველი მასწავლებლები.

ჩვენს ფაკულტეტსა და ჩინურ უნივერსიტეტებს შორის ინტენსიური კავშირის დამყარების მიზნით შევხდით საქართველოში კონფუციუს ინსტიტუტის ხელმძღვანელს პროფესორ ჩი რუმანს. მიღწეულია შეთანხმება, რომ ჩვენი ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები მომავალში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ისწავლიან ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. საქმიანი შეხვედრა მქონდა ჩინეთის ახალი ამბების სააგენტოს სინხუას კორესპონდენტთან საქართველოში ლი მინგთან. იგი დაესწრო ფაკულტეტზე არჩევითი საგნის ჩინური ენის გაკვეთილებს, გაესაუბრა სტუდენტებს და გააცნო ახალი ამბების სააგენტოს სინხუას მუშაობის სპეციფიკა. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის ღონისძიებები ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის. მზადდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხანგჭოუს ჰეძიან გუნშან უნივერსიტეტთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებს, ორმხრივ თანამშრომლობას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სფეროებში. ერთობლივი პროექტი განხორციელდება ჩვენი ფაკულტეტის მხარდაჭერით.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია

საქართველოში ჩინეთს სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის,
მიი ალმატებულების ძი ენჩის ბიოგრაფია



ძი იენჩი , დაბადებული 1958 წლის აპრილში , განათლება: უმაღლესი.

1984-1988 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომელი, ატაშე

1988-1991 საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარია, ატაშე, მესამე მდივანი

1991-1992 ჩინეთის საელჩო რუსეთის ფედერაციაში, მესამე მდივანი, მეორე მდივანი

1992-1994 ჩინეთის საელჩო ლიტვის რესპუბლიკაში, მეორე მდივანი

1994-1995 ჩინეთის საელჩო ლატვიის რესპუბლიკაში, მეორე მდივანი, პირველი მდივანი

1995-1997 საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტი, განყოფილების ხელმძღვანელი

1997-2000 ჩინეთის საელჩო სომხეთის რესპუბლიკაში, მრჩეველი

2000-2002 საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტი, მრჩეველი

2002-2003 სინძიანის უიუგურთა ავტონომიური რაიონის საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, დირექტორის მოადგილე

2003-2005 საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში

2005-2007 საგარეო საქმეთა სამინისტრო, ელჩი

2007-2009 შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, სამდივნოს მრჩეველი


2009-2012 შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩინელი კოორდინატორი

2012-2012 შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამდივნო, ვიცე გენერალური მდივანი

2012-2015 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური საკონსულო სანკტ-პეტერბურგში, გენერალური კონსული

2015- საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

დაოჯახებული , ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.



საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის, მისი აღმატებულების ძი იენჩის
პასუხები ჩვენი ჟურნალის კითხვებზე



1. ჩინეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების მდგომარეობა და პერსპექტივები.

ჩინეთი საქართველოს კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევს. დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის მანძილზე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ჯანსაღად და სტაბილურად ვითარდება, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა წინ მიიწევის, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ფარგლებში თანამშრომლობის მხრივ თვალსაჩინო შედეგები გვაქვს. მიმდინარე წლის მაისში საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა - დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთში გამართულ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორუმზე მაღალი დონის შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც ორ ქვეყანას შორის ოფიციალურად გაფორმდა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს შეთანხმება კარგ პლატფორმას ქმნის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის. არც ისე დიდი ხნის წინ, ჩინეთის კომერციის მინისტრის მოადგილის ხემძღვანელობით, დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში, რომელზეც ხელი მოეწერა „ეკონომიკური ზონების განვითარებასა და სამეწარმეო სიმძლავრეების ზრდის ხელშეწყობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს. მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 728 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ჩინეთში 6.087 მილიონი ბოთლი ქართული ღვინის ექსპორტი განხორციელდა. ჩინეთი - საქართველოს რიგით მესამე სავაჭრო პარტნიორი და ქართული ღვინის რიგით მესამე საექსპორტო ბაზარი გახდა. ამასთანავე, ორმხრივი თანამშრომლობა კულტურის, განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში დღითიდღე აქტიურდება. საქართველოში „ჩინური ენის ბუმი“ იზრდება. თავისუფალ უნივერსიტეტში დაარსდა კონფუცის ინსტიტუტი, ხოლო ღია სასწავლო უნივერსიტეტში - კონფუცის კლასი. საქართველოს 28 უნივერსიტეტსა და საშუალო სკოლაში გაიხსნა ჩინური ენის კურსი, მათ შორისაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიც. უკვე ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლება ჩინურ ენას.

საქართველო ევრაზიის გასაყარზე მდებარეობს. იგი უძველესი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეცაა. საქართველოს გეოგრაფიული უპირატესობა ნათელია, კარგი საინვესტიციო გარემო და თავისუფალი სავაჭრო კავშირები ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისთვის, რომ იგი იქცეს ევრაზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო, სავაჭრო, ლოგისტიკური და სატრანზიტო ჰაბი. საქართველოს განვითარების ეს სტრატეგია შეესაბამება ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას, ამიტომ ამ ინიციატივის ფარგლებში ორმხრივ თანამშრომლობას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. მომავალი წლის 1 იანვარს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ოფიციალურად ამოქმედდება. შედეგად, ორმხრივი თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში ახალ საფეხურზე გადავა. დარწმუნებული ვარ, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობის პროგრესის კვალდაკვალ, საქართველოს როლი და მიღებული სარგებელი გაიზრდება და ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებიც უფრო მეტად განვითარდება.



2. თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ.

1985 და 1998 წლებში ორჯერ ვიყავი საქართველოში. საქართველოს ულამაზესმა ბუნებამ, ქართველი ხალხის გულისხმიერებამ და უბრალოებამ ძალიან კარგი შთაბეჭდილებები დამიტოვა. 2015 წლის დეკემბერში საქართველოში ჩინეთის ელჩად დავინიშნე. მას შემდეგ თითქმის ყველა რეგიონი და ქალაქი შემოვიარე. ბუმბერაზი და დიდებული კავკასიონი, თვალუწვდენელი და საუცხოო შავი ზღვა, ფიროსმანის ნახატები, რუსთაველის პოემა, ტკბილი და სურნელოვანი ღვინო, არაჩვეულებრივი ხალხური ცეკვა-სიმღერა - ისაა, რამაც სიამოვნებისგან თავბრუ დამახვია. ცნობილი ქართველი პოეტი - შოთა რუსთაველი წერდა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ჩინელებსაც გვაქვს ძველი გამოთქმა: „მეგობარი თუ ბევრი გყავს, გზას ადვილად გაივლიო“. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ ორი წლის მანძილზე ბევრი ქართველი მეგობარი შევიძინე. აღმოვაჩინე, რომ ქართველების უმეტესობა ჩინეთის მიმართ კარგადაა განწყობილი. მათ ცოდნამ ჩინეთის განვითარების მიღწევების, ისტორიისა და კულტურის შესახებ, ჩემს მოლოდინს

გადააქარბა. ძალიან მიხარია, რომ უფრო და უფრო მეტი ქართველი ინტერესდება ჩინეთით და აქტიურად უჭერს მხარს და მონაწილეობს ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობაში. სწორედ ესაა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მტკიცე საფუძველი.

3. თქვენი სურვილები საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება სტაბილურია. ოქტომბრის ჩათვლით, ქვეყნის მშპ - 4.9%, ხოლო საგარეო ვაჭრობა - 12.65% გაიზარდა. ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მე-9 ადგილზე, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების კუთხით - მე-8 ადგილზეა. ტრადიციულად, ჩინეთი და საქართველო მეგობარი სახელმწიფოები არიან. ჩვენ გულწრფელად გვიხარია საქართველოს მიერ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიღწეული პროგრესი. საქართველოს ვუსურვებ სტაბილურობის შენარჩუნებას, მეტ ეკონომიკურ კეთილდღეობას და ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ამავდროულად, იმედი მაქვს, რომ იგი უკეთ გამოიყენებს „ევრაზიის დამაკავშირებელი გზაჯვარედინის“ გეოგრაფიულ უპირატესობას, გააგრძელებს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობას, ხელს შოუწყობს ურთიერთსასარგებლო და მომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას და მალე შეასრულებს ევრაზიის დამაკავშირებელი ლოგისტიკური და სატრანზიტო ჰაბად ჩამოყალიბების მიზანს. ჩინეთ-საქართველოს მეგობრულ თანამშრომლობას მუდმივ წინსვლას ვუსურვებ!

季雁池大使接受格鲁吉亚技术大学《今日中国》杂志书面采访（稿）

一、请介绍中格两国关系目前情况和未来前景 中国视格鲁吉亚为高加索地区的重要伙伴，建交 25 年来，两国关系健康稳定发展，各领域合作进展顺利，中格共建“一带一路”合作成果显著。今年 5 月格第一副总理库姆西什维利赴华出席“一带一路”国际合作高峰论坛高级别会议，期间两国正式签署自贸协定，为中格贸易发展搭建良好制度平台。不久前，中国商务部副部长率团出席第比利斯“一带一路”论坛，双方签署《关于开展经济区建设、推进产能合作的备忘录》。今年前 10 月中格贸易额 7.28 亿美元，中国进口 608.7 万瓶格葡萄酒，中国成为格第三大贸易伙伴和第三大葡萄酒出口市场。同时，中格文化、教育、科技、旅游等领域合作交流日趋活跃。“汉语热”在格持续升温，自由大学孔子学院、开放大学孔子课堂相继成立，包括技术大学在内的 28 所格大中院校开设了汉语课程，汉语学生逾千人。格地处“欧亚十字路口”，是古丝绸之路的重要一站，也是“丝绸之路经济带”的重要沿线国。格区位优势明显、投资环境优良、自贸安排优越，特别是格打造欧亚交通运输枢纽和商贸物流中转中心的国家发展战略与“一带一路”倡


议高度契合，中格共建“一带一路”合作潜力巨大。明年 1 月 1 日中格自贸协定将正式生效，两国贸易合作进入新阶段。相信随着“一带一路”建设不断推

进，格将发挥更加重要的作用，并获得更大收益，中格关系也将迎来更大发展。二、请介绍您对格鲁吉亚的印象 我在 1985 年和 1998 年曾两次来过格鲁吉亚，格秀美的自然风光和热情淳朴的民风给我留下了美好的印象。2015 年 12 月我就任中国驻格鲁吉亚大使以来，几乎走遍了格所有州、市。巍峨雄伟的高加索山、开阔壮丽的黑海、皮罗斯玛尼的绘画、鲁斯塔维利的诗作、馥郁芬芳的葡萄酒以及格独

特的民族歌舞都令我陶醉。格鲁吉亚著名文学家鲁斯塔维利说，“不结交朋友就是与自己为敌”，中国老话说“朋友多了路好走”，2年来我有幸结识了许多格各界朋友，发现绝大多数格鲁吉亚人都对中国怀有友好感情，许多人对中国建设成就和历史文化的了解超出我的预期。我很高兴地看到，越来越多格鲁吉亚人开始关注中国，积极支持和参与中格合作，这是中格关系行稳致远的最坚实基础。三、请介绍您对格国家和人民的祝愿 目前格经济社会稳步发展，今年前

10月格GDP增长4.9%，外贸增长12.65%，格营商指数上升至全球第9位，经济自由度升至全球第13位。中国作为格传统友好国家，我们对格经济社会发展取得的成就感到由衷高兴，祝愿格继续保持稳定，经济更加繁荣，人民生活不断改善。同时，我希望格更好地发挥“欧亚十字路口”的地缘优势，继续深入参与“一带一路”建设，推进两国互利共赢合作，早日实现打造欧亚物流中转枢纽的发展目标。祝愿中格友好合作关系不断迈上新台阶。





თანამშრომლობის ძირითადი სფეროები

საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 9 ივნისს. ნიშანდობლივია, რომ ორმხრივი ურთიერთობები მრავალი მიმართულებით დინამიურად ვითარდება.

საქართველო მაღალ შეფასებას აძლევს ჩინეთის როლს და ადგილს გლობალურ პოლიტიკაში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი წარმატებულად განაგრძობს ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას თავისი ხალხისთვის და პოზიტიური წვლილის შეტანას, როგორც მის უშუალო სამეზობლოში, ისე გლობალური მასშტაბით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, დაამყარა ჩვენს ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში 1993 წელს (ინფორმაციისთვის: საქართველოს საელჩო ქ. პეკინში გაიხსნა 2005 წელს), რამაც მისცა ძლიერი სტიმული ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული და კულტურული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

საქართველოსა და ჩინეთის საგარეო უწყებებს შორის არსებობს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხთა განხილვის მნიშვნელოვან ფორმატს. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა ჩინური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში; 50-მდე ჩინური კომპანია უკვე წარმატებულად საქმიანობს საქართველოში, ისეთ სექტორებში როგორცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერჯეტიკა, საბანკო სფერო და სხვა.

ასევე, იზრდება ორმხრივი ვაჭრობა და საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვი;

2013 წელს მხარეებს შორის ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 564 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2015 წლის მონაცემების თანახმად, ანალოგიური მაჩვენებელმა 600 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. დღეისათვის კი ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია.

აქტიურად ვითარდება ურთიერთობები კულტურისა და განათლების სფეროებში.

ამასთან, ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი არის საქართველოს ხუთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის. ნიშანდობლივია, რომ 2011 წლის 9 ივნისიდან დაინიშნა პირდაპირი ავიარეისი თბილისი-ურუმჩის (სინძიან უიგურეთის ავტონომიური რეგიონი) მიმართულებით, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველო-ჩინეთს შორის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში, ისე ხალხთაშორისი კავშირების განმტკიცებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის თებერვლიდან ჩინეთის მთავრობამ საქართველოს მიანიჭა „ტურიზმისთვის ხელსაყრელი ქვეყნის სტატუსი“ (Approved Destination Status), რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ჩინელი ტურისტების რაოდენობის ზრდას. გასულ წელს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას.

ზოგიერთი ძირითადი მოვლენების ქრონიკა

ჩინეთის კლუბი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა მიმდინარე სასწავლო წლიდან უკვე დაიწყეს ჩინური ენის შესწავლა. ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით დაფუძნდა ჩინეთის კლუბი. კლუბის მუშაობას უხელმძღვანელებს ჩინეთის კლუბის პრეზიდენტი, სამართლის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი სანდრო გომიაშვილი, რომელიც კლუბის წევრებმა ერთხმად აირჩიეს ამ თანამდებობაზე.

ჩინეთის კლუბის ძირითადი მიზნებია:

- ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია საქართველოში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება ჩინეთის მცოდნეობის, ჩინური ენის, კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონალური პროცესებისა და დიპლომატიის სფეროში;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირება, მომავალი პროფესიული ფუნქციების ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- ჩინეთის მცოდნეობის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტების კოორდინაცია;
- სტუდენტების ინფორმირება ჩინეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- ინფორმაციის მიღება და გაცვლა ჩინეთის შესახებ, რომელიც აქტიურ როლს თამაშობს საქართველოსთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებაში;

-დაეხმაროს სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობაში;

-საქართველოსა და ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების დამყარება და გაფართოება;

ჩინეთის კლუბის წევრი შეიძლება იყოს:

-პირი,რომელიც აღიარებს და იცავს წესდებას და პროგრამას. და ვინც ასრულებს მის მოთხოვნებს;

-კლუბში გაწევრიანების უფლება აქვთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს,პედაგოგებს,თანამშრომლებს და ასევე სხვა ორგანიზაციებს,რომლებიც დაინტერესებულნი არიან კლუბის მუშაობით და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კლუბის მიერ დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძიებებში;



შეხვედრა საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის ხელმძღვანელთან



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია შეხვდა საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის ხელმძღვანელს პროფესორ ჩი რუმანს და ჩინური ენის პრაქტიკული კურსის ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომელნიც ჩინურ ენას შეასწავლიან სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს.დეკანმა მადლობა მოახსენა პროფესორ ჩი რუმანს,

რომლის ხელშეწყობით ჩვენი ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები მომავალში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ისწავლიან ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. გაიმართა მსჯელობა მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.

ჩინელი ჟურნალისტის ვიზიტი სტუ-ში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ეწვია ჩინეთის ახალი ამბების სააგენტოს სინხუას კორესპონდენტი საქართველოში ლი მინგი. იგი დაესწრო ფაკულტეტზე არჩევითი საგნის ჩინური ენის სწავლების გაკვეთილებს, გაესაუბრა სტუდენტებს და გააცნო ახალი ამბების სააგენტოს სინხუას მუშაობის სპეციფიკა. სტუმარი ლი მინგი შეხვდა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ირაკლი გაბისონიას. დეკანმა მიაწოდა ინფორმაცია ფაკულტეტზე ჩინურის სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე გააცნო ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე და ჩინური ენის მასწავლებლები.



ჩინელი მოხალისეები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში!

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს სტუმრობდნენ კონფუცის ინსტიტუტის ჩინელი მოხალისეები და ქართველი ჩინური ენის პედაგოგები, რომლებიც მომავალი კვირიდან ჩინურ ენას შეასწავლიან სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის 30 სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ ჩინელი მოხალისეები ანაზღაურების გარეშე იმუშავებენ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ჩინეთის მთავრობის პროგრამის ფარგლებში. დაიგეგმა მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის. ერთობლივი პროექტი ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას ინიციატივით და მხარდაჭერით. ჩინელმა სტუმრებმა თავიანთი გემოვნებით მოაწყვეს ჩინური ენის კაბინეტი, სადაც ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები. ჩინელ მოხალისეებს შეხვდა და თანამშრომლობის პირობები და მომავლის გეგმები გააცნო ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ავთანდილ კიკნაძემ.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



ზოგადი ინფორმაცია

ჩინეთი არა მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა, ის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. ჩინეთი საოცარი ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს ერწყმის უძველესი არქიტექტურა და ახალი ტექნოლოგიები, სადაც ხალხის სიმრავლის მიუხედავად წესრიგი განსაკუთრებით დაცულია, სადაც საზოგადოება თანამედროვე ცვლილებებს იღებს და ამავდროულად პატივს სცემს ტრადიციებს.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩინ. 中华人民共和国, პინ-ინი Zhōnghuó), ზოგადად ცნობილია როგორც ჩინეთი — მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.4 მილიარდზე მეტი მოსახლეობით. ჩინეთი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანაში არის ერთ პარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის იურისდიქცია

ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე, (პეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი) და ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე (ჰონგ-კონგი და მაკაო). ჩინეთის დედაქალაქია პეკინი. აღმოსავლეთიდან აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკეანე). სანაპიროსთან ბევრი კუნძულია, რომელთაგან უდიდესია ტაივანი და ჰაინანი. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მონღოლეთი და რუსეთი, დასავლეთიდან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი; სამხრეთით ნეპალი, ინდოეთი, ბჰუტანი, მიანმარი, ლაოსი, ვიეტნამი; ჩრდილოეთით ჩრდილოეთ კორეა. ოფიციალური ენა — ჩინური. ეროვნული დღესასწაულია 1 ოქტომბერი — რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1949). ოფიციალური კალენდარი — გრიგორიანულია, იყენებენ ასევე მთვარისა და მზის კალენდარს. ფულის ერთეულია იუანი.



- **ეტიმოლოგია:** ევროპულ ენებში სახელი Chine, China, Cina მომდინარეობს ცინის დინასტიისაგან. თვით ჩინელები თავის ქვეყანას უწოდებენ ჭუნგუო-ს (中国), რაც „შუა სახელმწიფოს“ ნიშნავს.

გეოგრაფია

ფართობი: 9.597.000 კვ.კმ. **საზღვრები:** საზღვაო — 14 000 კმ; სახმელეთო - 20 000 კმ.

ბუნება: ორი მესამედი მთებსა და უდაბნოებს (მათ შორის გობის უდაბნო)უჭირავს.

გეოგრაფიული რაიონები — აღმოსავლეთი ჩინეთი, ტიბეტის ზეგანი, კუნძულის მთები და ჰიმალაები, ტარიმის და ჯუნგარის აუზები, შიგა მონღოლეთის პლატო, მანჯურია, ხუანხეს და იანძის აუზები; *უმაღლესი მწვერვალი* – ჯომოლუნგმა, იგივე ევერესტი ტიბეტში (8.848 მ). *მდინარეები (კმ)* — იანძი5.500; ხუანხე 4.700; ამური 4.300; მეკონგი 4.200 კმ; *ტბები (კმ²)* — ცინხაიხუ 4.000, დუნტინხუ 3.100, ლოპ-ნორი 2.500, ხულუნ-ნორი 2.400, ტაი-ხუ

2.240; კუნძული — ხაინანი 33.670 კვ.კმ; კლიმატი — სხვადასხვა (ჰიმალაების, პოლარული, კონტინენტური, ზომიერი, ტროპიკული).

ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, რკინის მადანი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ვერცხლისწყალი, კალა, ვოლფრამი, მანგანუმი, მოლიბდენი, ვანადიუმი, ალუმინი, ტყვია, თუთია, ურანი, მსოფლიოში უდიდესი ჰიდროენერგეტიკული რესურსები.



ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია ბუნების მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც უპირველესად განპირობებულია რელიეფისა და გეოლოგიური აგებულების თავისებურებებით. რელიეფში ჭარბობს მთები, პლატოები და მაღლობები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტიბეტის მთიანეთი, რომელიც უმაღლესია მსოფლიოში. ნეპალთან საზღვარზე ჰიმალაებში კი მდებარეობს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა - 8 848 მ. აღსანიშნავია აგრეთვე დიდი და მცირე ხინგანები, ცინლინის მთები, ტიან-შანი, ბეიშანი და ა.შ.

დაბლობებს უკავია ტერიტორიის მხოლოდ 12 %. ისინი ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთშია წარმოდგენილი. ცნობილია დუმბეიპინიუანის და ჩინეთის დიდი დაბლობი, რომლებიც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს რაიონებს წარმოადგენენ. ტიან-შანის მთების აღმოსავლეთით გვხვდება ტურფანის ქვაბული, რომელიც ზღვის დონიდან 155 მეტრით დაბლა მდებარეობს. ჩინეთში მდებარეობს ალაშანის, გობის და თაკლამაკანის უდაბნოები.


კლიმატი

ჩინეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდება, რაც სოფლის მეურნეობის პრაქტიკულად ყველა სახის კულტურის მოყვანის საშუალებას იძლევა.

ფლორა და ფაუნა

ჩინეთის ნიადაგური საფარი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ყველა სახის ნიადაგი, რომელიც გავრცელებულია აზიის კონტინენტზე. რელიეფის, კლიმატისა და ნიადაგების მრავალფეროვნებამ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვადასხვა მცენარეულობის განვითარებისთვის: დაწყებული ტროპიკებით, დამთავრებული ტაიგის ფლორით ჩრდილოეთში. ტყეები ქვეყანაში ცოტაა. მათ მთელი ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 12% უკავიათ. ტყეების გავრცელების ძირითადი რაიონებია დიდი და მცირე ხინგანები, ასევე ტროპიკული ზონა. ჩინეთის ტერიტორიაზე ფლორის 35 000-მდე სხვადასხვა წარმომადგენელია. აქ ვხვდებით ჩრდილოეთ ნახევარსფეროსათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სახის მცენარეს. მცენარეული საფარის მრავალფეროვნება უპირველესად განპირობებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეზობლობით და მათ შორის რაიმე ბუნებრივი საზღვრების არსებობით.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა ცხოველთა სამყარო. უიშვიათეს ცხოველთაგან აღსანიშნავია პანდა, ოქროსფერი მაიმუნი, თეთრტუჩა ირემი, მდინარის დელფინი, იანძის ნიანგი, წითელი ციყვი და მონაცრისფრო ლეოპარდი.



ადმინისტრაციული დაყოფა

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: 23 პროვინცია (sheng - მათ შორის ტაივანი), 5 ავტონომიური რეგიონი (zizhiqu), 4 მუნიციპალიტეტი (shi), 2 სპეციალური ავტონომიური რეგიონი (ჰონგ-კონგი და მაკაო). ტაივანი – გუანსი-ჯუანი – შიგა მონღოლეთი – ნინსია-ხუეი – სინძიანი – ტიბეტი – ჰონგ-კონგი – მაკაო

დემოგრაფია

ჩინეთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

- გაეროს 2017 წლის 22 ნოემბრის მონაცემებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენს 1,411,694,261.
- ჩინეთის მოსახლეობა მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის 18.67% შეადგენს.
- ჩინეთი რეიტინგში პირველ ადგილზეა მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით.
- ჩინეთის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ. შეადგენს 150,389 ადამიანი 1 კვ. მილზე
- ჩინეთის მთლიანი ტერიტორია შეადგენს 9,388,211 კვ.კმ (3,624,807 კვ. მილი)
- მოსახლეობის 58.2 % ცხოვრობს ქალაქში (819,767,019 2017 წელს)
- ჩინეთის მოსახლეობის საშუალო ასაკი შეადგენს 37.3 წელს.

People's Republic of China (PRC): Administrative Divisions & Territorial Disputes



ჩინეთის რეგიონები



- ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი
- ჩრდილოეთი ჩინეთი
- ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი
- აღმოსავლეთი ჩინეთი
- სამხრეთ-ცენტრალური ჩინეთი
- სამხრეთ-დასავლეთი ჩინეთი

ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთი (西北, *Xībēi*) — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 2 ავტონომიურ რეგიონს: სინძიანი, ნინსია-ხუი და 3 პროვინციას: შენსი, განსუ, და ცინხაი.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
განსუ	甘肃	Gānsù	甘 gān or 陇 lǒng	ლანჯოუ	兰州	Lánzhōu
ცინხაი	青海	Qīnghǎi	青 qīng	სინინი	西宁	Xīníng
შენსი	陕西	Shǎnxī	陕 shǎn or 秦 qín	სიანი	西安	Xī'ān

ავტონომიური რეგიონები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ნინსია-ხუეი	宁夏	Níngxià	宁 níng	ინჩუანი	银川	Yínchuān

სინძიანი	新疆	Xīnjiāng	新 xīn	ურუმჩი	烏魯木齊	Wūlǔmùqí
----------	----	----------	-------	--------	------	----------

ჩრდილოეთი ჩინეთი (华北 , 華北) — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 2 მუნიციპალიტეტს: პეკინი, ტიანძინი, ასევე 2 პროვინციას ხებეი, შანსი, და 1 ავტონომიურ რეგიონს — შიგა მონღოლეთი.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ხებეი	河北	Héběi	冀 jì	შიძიაჯუანი	石家庄	Shíjiāzhuāng
შანსი	山西	Shānxī	晋 jìn	ტაიიუანი	太原	Tàiyuán

მუნიციპალიტეტები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა
პეკინი	北京	Běijīng	京 jīng
ტიანძინი	天津	Tiānjīn	津 jīn

ავტონომიური რეგიონები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
--------	---------	---------	-------------	-----------------------	---------	---------

შიდა მონღოლეთი	内蒙古	Nèiměnggǔ	蒙 měng	ხუბ-ხოტო	呼和浩特	Hūhéhaotè
----------------	-----	-----------	--------	----------	------	-----------

ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 3 პროვინციას: ხეილუნძიანი, გირინი, და ლიაონინი.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ხეილუნძიანი	黑龙江/黑龍江	Hēilóngjiāng	黑 hēi	ხარბინი	哈尔滨/哈爾濱	Ha'ěrbīn

გირინი	吉林	Jílín	吉 jí	ჩანჩუნი	长春/長春	Chángchūn
ლიაონინი	辽宁/遼寧	Liáoníng	辽 liáo	შენიანი	沈阳/瀋陽	Shěnyáng

აღმოსავლეთი ჩინეთი (华东, 華東) — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 6 პროვინციას: ანჰოი, ფუძიანი, ძიანსუ, ძიანსი, შანდუნი, ჯეძიანი, 1 მუნიციპალიტეტს შანხაი, და 2 სადავო პროვინციას: ფუძიანსა და ტაივანს.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ანჰოი	安徽	Ānhuī	皖 wǎn	ხეფეი	合肥	Héféi
ფუძიანი	福建	Fújiàn	闽 mǐn	ფუჯოუ	福州	Fúzhōu
ძიანსუ	江苏	Jiāngsū	苏 sū	ნანკინი	南京	Nánjīng
ძიანსი	江西	Jiāngxī	赣 gàn	ნანჩანი	南昌	Nánchāng

შანდუნი	山东	Shāndōng	鲁 lǔ	ძინანი	济南	Jǐnán
ჯეძიანი	浙江	Zhèjiāng	浙 zhè	ხანგჰოუ	杭州	Hángzhōu

მუნიციპალიტეტი

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა
შანხაი	上海	Shànghǎi	沪 hù

სადავო პროვინციები

ჩსრ პრეტენზია - *

ჩრ პრეტენზია - **

პროვინციების მარეგულირებელია ჩინეთის რესპუბლიკა თუმცა მათზე პრეტენზიას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აცხადებს

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ფუძიანი**	福建	Fújiàn	闽 mǐn	ფუჯოუ* კინმენი**	福州* 金城**	Fúzhōu* Jīnchéng**
ტაივანი** ტაივანი*	台灣	Táiwān	台 tái	ზონსინი** ტაიბეი*	中兴新村** 台北*	Zhōngxīng Xīncūn** Táiběi*

სამხრეთ-ცენტრალური ჩინეთი (中南) — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 5 პროვინციას: გუანდუნი, ხაინანი, ხენანი, ხუბეი, ხუნანი, 1 ავტონომიურ რეგიონს გუანსი-ჯუანი და 2 სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს: ჰონგ-კონგს და მაკაოს.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
გუანდუნი	广东	Guǎngdōng	粤 yuè	გუანჯოუ	广州	Guǎngzhōu
ხაინანი	海南	Hǎinán	琼 qióng	ხაიკოუ	海口	Hǎikǒu
ხენანი	河南	Hénán	豫 yù	ჩენჯოუ	郑州	Zhèngzhōu
ხუბეი	湖北	Húběi	鄂 è	უხანი	武汉	Wǔhàn
ხუნანი	湖南	Húnán	湘 xiāng	ჩანშა	长沙	Chángshā

ავტონომიური რეგიონი

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
გუანსი-ჯუანი	广西	Guǎngxī	桂 Guì	ნანინი	南宁	Nánníng

სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონები

სახელი	ჩინურად	Jyutping	აბრევიატურა
ჰონგ-კონგი	香港	Heung1Gong2	港 Gǎng
მაკაო	澳門	O3Mun4	澳 Ào

სამხრეთ-დასავლეთი ჩინეთი (西南) — ჩინეთის 6 რეგიონიდან ერთ-ერთი. მოიცავს 1 მუნიციპალიტეტს – ჩუნცინი, 3 პროვინციას: სიჩუანი, იუნნანი, გუიჯოუ, და 1 ავტონომიურ რეგიონს – ტიბეტის ავტონომიური რეგიონი.

პროვინციები

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
გუიჯოუ	贵州	Guìzhōu	黔 qián or 贵 guì	გუიანი	贵阳	Guìyáng
სიჩუანი	四川	Sìchuān	川 chuān or 蜀 shǔ	ჩენდუ	成都	Chéngdū
იუნნანი	云南	Yúnnán	滇 diān or 云 yún	კუნმინი	昆明	Kūnmíng

მუნიციპალიტეტი

სახელი ჩინურად პინ-ინი აბრევიატურა

ჩუნცინი 重庆 Chóngqìng 渝 yú

ავტონომიური რეგიონი

სახელი	ჩინურად	პინ-ინი	აბრევიატურა	პროვინციის დედაქალაქი	ჩინურად	პინ-ინი
ტიბეტის ავტონომიური რეგიონი	西藏	Xīzàng	藏 zàng	ლჰასა	拉萨	Lāsà

ჩინეთის მოკლე ისტორია

ჩინეთის ისტორია უძველესი ხელნაწერების მიხედვით დაახლოებით 3500 წლის წინ დაიწყო. ეს არის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი იმ ცივილიზაციათაგან, რომლებიც დღესაც კი არსებობს და განაგრძობს განვითარებას. კუს ბაკანზე ნაპოვნი ხელნაწერები, რომლებიც გვაგონებს ძველ ჩინურ დამწერლობას, თარიღდება ძვ.წ. 1500 წლით. ამ ჩანაწერების მიხედვით ჩინური ცივილიზაცია დაიწყო დაახლოებით 5000 წლის წინ ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. მიღებულია, რომ ჩინეთი ერთი დიდი სამეფოს, იმპერიის ქვეშ დაახლოებით 2000 წლის წინ გაერთიანდა. წარმატებულმა დინასტიებმა ჩამოაყალიბეს ბიუროკრატიული კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევდა იმპერატორს ემართა გეოგრაფიულად საკმაოდ დიდი ტერიტორია. ის, რასაც დღეს ჩინეთის ცივილიზაციას უწოდებენ დაიწყო იმპერატორი ქინ შიჰუანგდი-ს მიერ, დამწერლობის სისტემისა იძულებითი დადგენის (ძვ.წ. 200 წელს) და კონფუციანიზმზე დამყარებული სახელმწიფო იდეოლოგიის (ძვ. წ. 100 წელს) ჩამოყალიბების შემდეგ.



სიას დინასტია

სია -პირველი დინასტია, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა ინფორმაცია მოიპოვება იყო სიას დინასტია . ამ დინასტიის დაახლოებითი არსებობა თარიღდება ძვ.წ. 2200-ძვ.წ. 1750 წლებით. დღევანდელ დღემდე, უმეტესობა ისტორიკოსებისა თვლიდნენ, რომ ამ დინასტიის არსებობა, საერთოდ მითია, მაგრამ არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ესეც ეჭვქვეშ დააყენა. ამ დინასტიის არსებობა-არარსებობის დამტკიცებას კიდევ ბევრი არქეოლოგიური აღმოჩენა და გათხრა ესაჭიროება.

შანის დინასტია

შანი-მეორე დინასტია, რომლის არსებობა დადასტურებულია, იყო შანის დინასტია, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 1750-ძვ.წ. 1040 წლებით. არის სამი მთავარი ფაქტორი, რაც აუცილებელია ვიცოდეთ ამ დინასტიის შესახებ.

ის იყო ყველა დროის ყველაზე განვითარებული და წინ წასული ბრინჯაოზე მომუშავე ცივილიზაცია.

ამ დინასტიის ნეშტები, გვამლევს ჩინური დამწერლობის ყველაზე ადრინდელ და სრულყოფილ ნიმუშებს, რომლებიც შესრულებულია ღორის ტყავზე.

ეს დინასტია იყო ალბათ ყველაზე სისხლს-მოწყურებული იმ დროისთვის და საერთოდ შუასაუკუნეებამდელ პერიოდში. მათ აშკარად უყვარდათ ადამიანების

მსხვერპლშეწირვა. თუ მეფე მოკვდებოდა, მაშინ ას მონაზე მეტი შეუერთდებოდა მას სამარხში. ზოგიერთებს, ჯერ თავს აჭრიდნენ და მერე ყრიდნენ სამარხში, ზოგს კი პირდაპირ ცოცხლად მარხავდნენ. ისინი აგრეთვე მსხვერპლად წირავდნენ ადამიანებს სხვადასხვა რიტუალურ და ცერემონიულ შემთხვევებზე.

ამ დინასტიას ჰქონდა საკმაოდ უცნაური პატრილინიარული სისტემა, იმის მაგივრად რომ მამას შვილისთვის დაეტოვებინა ტახტი, მეფის წოდება გადადიოდა უფროსი ძმიდან უმცროსზე. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ყველაზე უმცროსი ძმა გარდაიცვლებოდა, მაშინ ტახტზე ადიოდა ასაკით ყველაზე დიდი ბიძაშვილი ან მამიდაშვილი, რომელიც აუცილებლად მამრობითი სქესის უნდა ყოფილიყო.



ჯოუს დინასტია - დასავლური ჯოუს დინასტია (ძვ.წ. 1100 - ძვ.წ. 771)

ჯოუმანის დინასტიის გადაგვარების შემდეგ, ჩინეთის მმართველობაში, მოვიდა ჯოუს დინასტია, რომელმაც იარსება ძვ.წ. 1100-ძვ.წ. 256 წლებში. ამ დინასტიის მმართველობის პერიოდი იყოფა ორ ნაწილად: დასავლური (ძვ.წ. 1100-ძვ.წ. 771) და აღმოსავლური (ძვ.წ. 771-ძვ.წ. 256) ჯოუს დინასტია. უმეტესობა ისტორიკოსები და მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯოუს დინასტია უფრო ჩინური იყო, ვიდრე შანის. თუნდაც იმიტომ, რომ ჯოუს დინასტიაში მეფის (მმართველის) ტიტული მამისგან შვილს გადაეცემოდა. აგრეთვე ნაკლებად ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული ადამიანთა მსხვერპლშეწირვაზე. მაგრამ შანის დინასტიასთან შედარებით ნაკლებად ძლიერები იყვნენ ბრინჯაოს ხმარებაში. თუმცა საუკუნეები დასჭირდა, სანამ დასავლეთმა ისწავლა ბრინჯაოს ხმარება ისევე, როგორც ჯოუმ. ზოგიერთ მეცნიერს სჯერა, რომ სიას, შანის და ჯოუს დინასტიები იყო სამი სხვადასხვა კულტურა, რომლებიც ასე თუ ისე, ერთ პერიოდში აღმოცენდა ყვითელი მდინარის ველზე. ისტორიული ჩანაწერები კი ამას ასაბუთებს იმით, რომ სიას დინასტია დაიპყრო შანმა, შემდეგ კი ჯოუმ იმარჯვა ამ უკანასკნელზე



სინამდვილეში ჯოუ არ მართავდა მთელ იმ ტერიტორიას, რაც მაშინ იყო ჩინეთი. იმ დროს ჩინეთი შედგებოდა ასე თუ ისე დამოუკიდებელი სამთავროებისგან. ჯოუს დინასტია კი ყველაზე ძლიერი სამთავროს მართავდა. ეს სამთავრო განლაგებული იყო ჩინეთის სამთავროების ცენტრში და ანვითარებდა და აღმავლობის გზაზე აყენებდა იამს, რასაც ჩინელები ემახიან თავიანთ ქვეყანას

შუა სამეფოს. ჯოუს დინასტიამ შესძლო სიმშვიდის შენარჩუნება რამოდენიმე ასწლეულის

განმავლობაში, მაგრამ ძვ.წ. 771 წელს, დასავლეთიდან მოსულმა ბარბაროსებმა დაანგრეს დასავლეთ ჯოუს სამთავრო დინასტია. ამ მარცხის შემდეგ, ჯოუს დინასტიამ გადაინაცვლა აღმოსავლეთით, სწორედ ეს გახდა ამ დინასტიის მმართველობის პერიოდის ორ ნაწილად გაყოფის მიზეზი.

აღმოსავლური ჯოუს დინასტია (ძვ.წ. 771 - ძვ.წ. 256)

აღმოსავლეთ ჯოუს დინასტიას აშკარად შეეცყო ძალების შესუსტება. თანდათან ჩამოყალიბდა ახალი ფილოსოფიები და იდეები. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი, ისტორიული გადმოსახედიდან, იყო (არის) დაოიზმი (ტაოიზმი), კონფუციანიზმი, და ლეგალიზმი.

დაოიზმი არის აგებული დაოს შესწავლაზე, დაო ნიშნავს გზას. დაოიზმის უძველესი წიგნია დაო დე ჯინგი (გზა და სათნოება), რომელიც დაწერა ლაო-ძიმ. თუმცა დანამდვილებით არ არის ცნობილი ნამდვილად ლაო-ძი ერქვა მას თუ არა, საერთოდ თუ არსებობდა ლაო-ძი და არის თუ არა ეს წიგნი ერთი ავტორის მიერ დაწერილი. დაოსტებს უყვარდათ ამდაგვარი ფიქრები და პარადოქსული მსჯელობები. მაგალითად: ამბავი კაცზე, რომელსაც ესიზმრებოდა რომ იგი იყო პეპელა, მერე მას გაეღვიძა და იგი ფიქრობდა ვინ იყო ის, ადამიანი თუ პეპელა, რომელსაც ესიზმრებოდა რომ ის იყო ადამიანი. ეს არის დაოიზმის კლასიკური მაგალითი. დაოიზმს გარკვეული ზემოქმედება ჰქონდა ძენ (ზენ) ბუდიზმის განვითარებაზე.

კონფუცი, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნეში, თვლიდა რომ მორალიანი კაცები კარგი მმართველები არიან, და რომ სათნოება და ღირსება ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა ხელმძღვანელის ან ლიდერის. კონფუციანიზმი, საერთოდ ამბობს იმას, რომ ყველა ადამიანი კარგია და რომ ღირსება და კეთილდღეობა მოიპოვება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი სათანადოდ მოიქცევა. კონფუციმ დიდი ყურადღება გაამახვილა ამ სათანადოზე (ანუ სათანადოდ მოქცევაზე). კონფუციანიზმი ამბობს, რომ იმპერატორი არის სამოთხის შვილი (სამოთხე კი დასავლეთში აღიქმება როგორც ადგილი ცაში, ხოლო აღმოსავლეთში კი ნიშნავს ღვთაებრივ ძალას) და მას აქვს სამოთხის მანდატი რათა მართოს.

ლეგალიზმი მომდინარეობს კონფუცის ერთ-ერთი მოსწავლის, ხუნ-ძის სწავლებებისგან. ზუნ-ძის სწამდა, რომ უმეტესწილად ადამიანი ჯერ თავის თავზე იფიქრებს, მაშასადამე იგი არის ბოროტი. ამის გამო ლეგალისტებმა შექმნეს კანონები, რომლებიც გაამარტივებდნენ ხალხის მართვას. კონფუციანიზმის და ლეგალიზმის ფუნდამენტალური მიზანი იყო იმ დროს დაშლილი ჩინეთის ხელახალი გაერთიანება, უბრალოდ მათ სხვადასხვა მიდგომა არჩიეს. კონფუციანიზმი ეყრდნობოდა ღირსებას და ქველობას, ხოლო ლეგალიზმი იყენებდა რკინის მუშტს. ლეგალიზმი იცავდა იმ ტექნიკებს და ხერხებს, რომლებიც გულისხმობდნენ წიგნების დაწვას და განადგურებას, მეზობლებს შორის დასმენის ინსტიტუტს, საიდუმლო პოლიციას, მოკლედ დაახლოვებით ისეთი სტილის ინსტიტუციებს, რომლებსაც მომავალში, ახლო ისტორიაში, გამოიყენეს ჰიტლერმა, სტალინმა, მამო და სხვა დიქტატორებმა.



ცინ შიჰუანდი და ცინის დინასტია

ცინიძვ.წ. 221 წელს, ჩინეთის პირველმა იმპერატორმა (მანამდე ყველა წინამდებარე დინასტიის მეთაურები საკუთარ თავს მეფეებს ეძახდნენ) ცინ შიჰუანდომ მთლიანად დაიპყრო რამოდენიმე ასწლეულის განმავლობაში დაშლილი ჩინეთი. მისი მოგება განაპირობა ორმა მიზეზმა:

ის იყო თავგანწირული ლეგალისტი (იმ დონეზე თავგანწირული და ფანატიკური, რომ რაც ქვეყანაში წიგნი იყო, რაც მან იპოვა, ყველა დაწვა და გაანადგურა); ხოცავდა თავის გენერლებს და სამხედროებს იმის გამო, რომ მათ დააგვიანეს შეხვედრაზე (თუმცა ამან მომავალში მისი დამარცხება გამოიწვია).

ცინის სახელმწიფოს, დინასტიას, ჰქონდა ძალიან ბევრი რკინა, ამის გამო, რკინის ხანის პერიოდში, მათ ბევრად უფრო მეტი რკინის იარაღი ჰქონდათ ვიდრე სხვა სამთავროების არმიებს.

ცინის დინასტიის (ჩინ. ლ) დროს დაიწყო ჩინეთის დიდი კედელის მშენებლობა. ფაქტობრივად ჩინეთის კედელს აშენებდა 5 დინასტია დაახლოებით 1800 წლის განმავლობაში. დაიწყო ცინის დინასტიამ და დაამთავრა მინის დინასტიამ ჩვენი წელთაღრიცხვით 1620 წელს.

ძვ.წ. 210 წელს ცინ შიჰუანდი გარდაიცვალა. რასაც მალევე მოყვა დინასტიის დაშლა საკმაოდ კურონოზული მიზეზით. რევოლუცია დაიწყო ერთმა უბრალო ჯარისკაცმა, რომელსაც ქინის ბრძანებით სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მიზეზი ამისა გახდა ის, რომ ამ ჯარისკაცს დააგვიანდა ახალწვეულების მიყვანა, რადგან წვიმიანი ამინდი იყო და გზები ძალიან ატალახიანდა. ამ ჯარისკაცმა დაითანხმა ყველა ის ადამიანი ვისაც მასთან ერთად მიუსაჯეს სიკვდილი, რომ დაეწყოთ გადატრიალება. ისინი საბოლოოდ დაიჭირეს და სათანადოდ დასაჯეს (მოკლეს), თუმცა მათმა წამოწყებულმა რევოლუციამ

შედეგი გამოიღო. ცინის დინასტია დაიშალა და გზა გაეხსნა ახალ, ჰანის დინასტიას. კუნგჰუ იყო ამ დინასტიების დამცველი ფილოსოფია.



ჩინეთის დიპლომატიის ისტორიიდან

ჩინეთის დიპლომატია ყოველთვის ატარებდა ძალიან სპეციფიკურ და თავისებურ ხასიათს. იგი ისტორიულად სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა იმ გარემოებების და ამოცანების შესაბამისად, რომელიც იდგა ქვეყნის წინაშე ამა თუ იმ ეტაპზე.

ჩინელი დიპლომატები ძალზედ წარმატებით იყენებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ ინტერესს ჩინეთისადმი, როგორც "გასაღების ბაზრის" უდიდეს საშუალებას. დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, ისინი განიხილავდნენ, როგორც მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების, ასევე ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების გაფართოების საუკეთესო საშუალებას.

როდესაც ჩინეთს არ გააჩნდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან, ისინი ოსტატურად იყენებდნენ სპორტული კავშირების დიპლომატიას (60-იანი წლების პინგ-პონგის დიპლომატიას), იმისათვის, რომ ეჩვენებინათ რომ კავშირები მაინც არსებობს, მათი გაფართოება კი შესაძლებელია. ასევე, წარმატებით იყენებდნენ სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობებს.



უკანასკნელ ათწლეულში ჩინეთის დიპლომატია აქტიურად იყენებს, როგორც გაეროს ტრიბუნას, ასევე უშიშროების საბჭოს სხდომებს (რომლის მუდმივი წევრიც თვითონ არის), ამასთან ერთად, ჩინეთის დიპლომატიისათვის დამახასიათებელია პოზიციის დამოუკიდებლობა, როგორც წესი ისინი არ ეყრდნობიან სხვა ქვეყნების პოზიციებს და ატარებენ თავის საკუთარ, დამოუკიდებელ ხაზს. ჩინეთი არ ერიდება პრინციპულ საკითხებზე ვეტოს უფლების გამოყენებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს, მხარს უჭერენ სხვა რეზოლუციას.

ჩინური დელეგაციები, როგორც წესი, არგუმენტირებულად იცავენ თავიანთ პოზიციებს.

ჩინურ დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წინასწარ გათვლებს სამხედრო და პოლიტიკური აქციების განხორციელებისათვის.

არსებითი წვლილი ჩინური დიპლომატიის საფუძვლების შექმნაში შეიტანა უძველესი ჩინეთის სამხედრო მოაზროვნე სენ ცზიმ .

სტრატაგემები- სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის მიმართ რაიმე ეშმაკობას და ხაფანგის დაგებას, ძირითადი იარაღი იყო ჩინეთის დიპლომატიის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩინელების სტრატეგიულ გეგმები, ხანგრძლივ დროზე იყო გათვლილი და პასუხობდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

თანამედროვე ჩინური დიპლომატია ჩამოყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე (1949) ბევრად უფრო ადრე.

საგარეო პოლიტიკური კურსის საფუძვლები შემუშავებული იქნა მაო ძედუნისა და ჯოუ ენლაის მიერ მაო ძედუნი ტრადიციული დიპლომატიის მომხრე და მიმდევარი იყო, ამავე დროს, ჩინეთის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას რეალისტურ ხასიათს ანიჭებდა.


დიპლომატიური სამსახურის ჭეშმარიტი დამაარსებელი იყო ჯოუ ენლაი. იგი პრემიერობის დროს, შეთავსებით ახალი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო. ჯოუ ენლაი სისტემატიურად

მოგზაურობდა და „ღია დიპლომატიის“ მომხრე იყო. მთავარი პრინციპი იყო მიეღწიათ საერთო შეთანხმებისათვის მიუხედავად განსხვავებული აზრებისა.

ჩინეთის დიპლომატიამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ჩამორჩენილი ქვეყნიდან ჩინეთი ბირთულ სახელმწიფოდ გადაიქცა მილიარდ ნახევარი მოსახლეობით, სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით.

საბჭოთა ელჩი პეკინში, ცნობილი დიპლომატი ო. ტროიანოვსკი ასე ახასიათებდა ჩინეთის ხელმძღვანელობას: „ჩემი პირადი გამოცდილების საფუძველზე ვთვლი რომ, ჩინეთის უმაღლესი დონის ხელმძღვანელები პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ძალზედ მაღალ დონეზე არიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის.“

ასეთივე მაღალი აზრი ჰქონდა ჩინელების შესახებ ცნობილ ამერიკელ დიპლომატს ჯონ კენანს, რომელიც მემუარებში წერდა, რომ ინდივიდუალურობით „ჩინელები მსოფლიოს ხალხებს შორის ყველაზე ჭკვიანები არიან“.



თანამედროვე ჩინეთის დიპლომატია

ჩინეთის დიპლომატია სამართლიანად ამაყობს თავისი მდიდარი ისტორიული ტრადიციებით, რომლებიც არა ერთ ათასწლეულს ითვლის. დიპლომატიური ხელოვნება ჩინეთში ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში (აქ არ იგულისხმება ძველი რომის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების დიპლომატია).

ჩინეთის ისტორიულ პერსონაჟებს შორის დიპლომატებს ტრადიციულად არა ნაკლები საპატიო ადგილი ეკავათ, ვიდრე მხედართმთავრებს, ან ჩინეთის უძველესი კულტურის მოღვაწეებს და მოაზროვნეებს.

პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში დიპლომატია განიხილებოდა, როგორც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ნაწილი. როგორც სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი.

ჩინეთის დიპლომატიის ერთ-ერთი მოსაზრება "უძველესი ტრადიციების გამოყენება თანამედროვეობისათვის" შემთხვევით არ გაჩენილა. თუ "ნაციონალიზმი", ევროპაში, გამომდინარეობს სახელმწიფოების საკუთარი ნაციონალური კულტურის უნიკალურობისა და ფასეულობებისაგან, ჩინეთის "ნაციონალიზმი" დაფუძნებულია კულტურულ უპირატესობასა და ჩინეთის ტრადიციული ფასეულობების უნივერსალურ გამოყენებაზე.

ჩინეთის ერის, კულტურის, ცივილიზაციის უპირატესობის იდეა, სხვა ერებსა და კულტურებთან მიმართებაში შეადგენდა ჩინეთის იმპერიების საგარეო პოლიტიკის ჩინურ ცენტრისტული დოგმების საფუძველს. ტრადიციული ჩინური დიპლომატიის იდეურ-თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების პერიოდი განეკუთვნება უძველეს ჩვ.წ მე-8, მე-3 საუკუნეებს.

2500 წლის წინათ ერთიანი იმპერიის შექმნის შედეგად ჩინური ცენტრიზმი იქცა საგარეო პოლიტიკური დოქტრინების იდეოლოგიურ ფუნდამენტად.

სწორედ ჩვ.წ მე-5, მე-3 საუკუნეებში იქმნება და მუშავდება საგარეო პოლიტიკური დოქტრინები, სახელმწიფოებს შორის კონტრაქტების მეთოდები.

ჩინეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მისი დახვეწილი და ჭკვიანური დიპლომატიის დამსახურებით მეტად დინამიური და წარმატებულია.



"We all love Hangzhou no matter where we are from."



Hangzhou is the capital of Zhejiang province and its political, economic and cultural center. With its famous natural beauty and cultural heritages, Hangzhou is one of China's most important tourist venues.

The City, the southern terminus of the Grand Canal, is located on the lower reaches of the Qiantang River in southeast China, a superior position in the Yangtze Delta and only 180 kilometers from Shanghai. Hangzhou has a subtropical monsoon type climate with four quite distinct seasons. However, it is neither too hot in summer nor too cold in winter making it a year round destination.

The West Lake is undoubtedly the most renowned feature of Hangzhou, noted for the scenic beauty that blends naturally with many famous historical and cultural sites. In this scenic area, Solitary Hill, the Mausoleum of General Yue Fei, the Six Harmonies Pagoda and the Ling Yin Temple are probably the most frequently visited attractions. The "Ten West Lake Prospects" have been specially selected to give the visitor outstanding views of the lake, mountains and monuments.

A number of national museums can be found in Hangzhou and are representative of Chinese culture. Fine examples are the National Silk Museum and Tea Museum. Along with the other museums in Hangzhou, they provide a fascinating insight into the history of Chinese traditional products.

One of the most important parts of traveling is tasting the local delicacies. Hangzhou dishes are noted for their elaborate preparation, sophisticated cooking and refreshing taste. Many local specialties will be sure to make your trip a cultural experience. We recommend that you try Beggar's Chicken (a chicken baked in clay), West Lake Fish in Sweet Sour Sauce (vinegar coated fish fresh caught from the lake), Dongpo Pork (braised pork) and Fried Shrimps with Longjing Tea, etc. The shopping environment in Hangzhou is exciting and convenient. Travelers and tourists like to go to Qing He Fang Street. It is one of the most famous and historic streets in the city and reflects many of the features of the Southern Song Dynasty (1127-1279). Shoppers will admire the antique buildings while purchasing items from a wide range of local goods such as silks, tea or maybe a silk parasol, brocade or a beautiful Hangzhou fan. These are just some of the items to be found but there are many more.

At night Hangzhou has much to offer and teahouses and various kinds of pubs are both plentiful and popular. Choosing one overlooking the West Lake for a pleasant chat over a cup of tea is sure to make you feel totally relaxed and refreshed.



While much of the ancient city that had been the capital of the Southern Song Dynasty was destroyed during the Taiping Rebellion in the mid-nineteenth century, today's Hangzhou is a modern and vibrant economical center. As such it provides a base for many talented and skilled people. Never the less, thanks to its unique setting by the West Lake it continues to enjoy the many benefits of the

natural surroundings that have delighted visitors for centuries. Not only was it much vaunted in his writings by the 13 century explorer, Marco Polo but the Lake and its environs have inspired poets of great renown such as Bai Juyi and Su Dongpo down the ages. There can be no doubt that visit here is certain to be a memorable one.

'Above is heaven, below is Hangzhou.' is a famous Chinese saying that describes this beautiful place. Hangzhou is one of China's most important tourist venues with its beauty and cultural heritage. West Lake is the best known feature of the city. It is known to visitors for its scenic beauty as well as the moving legend which is said to have taken place there.

West Lake (Xi Hu): Originally a shallow sea inlet, due to the laying down of silt this 5.68 square kilometers (about 1,404 acres) of water became the famous West Lake. Held in the embrace of hilly peaks on three sides, this water wonderland has been an attraction for centuries and it is small wonder that it was a favourite imperial retreat. The lake and its environs have all the elements of a traditional Chinese garden but on a grand scale.

China National Silk Museum: Situated at the southern bank of the West Lake, in Hangzhou City of Zhejiang Province, China National Silk Museum is the first state-level professional silk museum in China as well as the biggest silk museum throughout the world. It opened to the public in 1992 and since 2004 people can visit it for free.

Grand Canal: The Grand Canal, 1,764 km (about 1200 miles) in length, is the longest man-made waterway as well as being the greatest in ancient China, far surpassing the next two grand canals of the world: the Suez and Panama Canals. Running from Hangzhou, Zhejiang Province in the south to Beijing in the north of China and connecting different river systems, the Grand Canal contributed greatly to ensure that the Chinese primary economy thrived in past dynasties. Now more than 2000 years old, some parts of the canal are still in use, mainly functioning as a water-diversion conduit.



Ling Yin Temple: Temple of Soul's Retreat. The temple is without doubt a premier showpiece in the West Lake environs and is notable also as one of the ten most famous Buddhist temples of China. The presence of a temple on this site can be traced back to the Eastern Jin Dynasty (317 - 420AD) when, according to local legend, Huili an Indian monk came to the area where he was inspired by the spiritual nature of the scenery to be found here.

Wuzhen Watertown: Located in the centre of the six ancient towns south of Yangtze River, 17 kilometres (10.56 miles) north of the city of Tongxiang, Wuzhen displays its two-thousand-year history in its ancient stone bridges floating on mild water, its stone pathways between the mottled walls and its delicate wood

carvings. Also, setting it apart from other towns, it gives a unique experience through its profound cultural background.

Thousand Islets Lake (Qian Dao Lake): Did you ever want to escape from the bustling metropolis? Come to Thousand Islets Lake and experience something special. With 81% of the area covered in forests, Thousand Islets Lake (Qian Dao Lake) is a pure lake with clean, fresh air. It is a young lake formed in 1959 as a result of the construction of New Anjiang Hydroelectric Power Station. It is a beautiful lake with 1078 islets showing different views in different seasons.

Zhejiang Gongshang University

Zhejiang Gongshang University (Chinese: 浙江工商大学; abbreviated as ZJGSU or ZJSU) is a public higher educational institution that focuses on the fields of business and technology.

The university is administrated by Zhejiang Province. "Zhejiang" is the province where the university is and "Gongshang" is the Chinese pronunciation of two words meaning "Industry and Business".

The institution was established in 1911 as Hangzhou Vocational Business School (the earliest Chinese Business School). In 1980, the school became a public university approved by the National Ministry of Education, Hangzhou Institute of Commerce. In 2004, it was renamed as Zhejiang Gongshang University, its current name.



In the past years, ZJSU has been paying great attention to international exchanges and cooperation, and making an effort to promote education internationalization. The university has partner relationship with more than 90 universities and scientific research institutions from more than 50 countries, including the United States, Britain, Germany, France, Belgium, Canada, New Zealand, Australia, Turkey, Japan, and South Korea, etc. Moreover, we have started cooperation programs with over 60 foreign universities and research institutions such as Columbia University, University of California at Berkeley, University of Manchester, Waseda University, University of Canterbury, and Chulalongkorn University in the areas of faculty and students exchange, mutual accreditation of credits, scientific research cooperation. MPM, in

cooperation with University of Quebec, has trained over 600 postgraduates. Alliance Francaise de Hangzhou has developed into the largest French language training and cultural exchange center in Zhejiang Province. ZJSU also co-established Confucius Institute with Howest University, Belgium. Up to now, the number of students in Confucius Institute has reached over 600. ZJSU also co-established research centers with well-known foreign universities and research institutions, such as Sensory Science Laboratory with American Monell Chemical Sense Center.

ZJSU launched "Blue Sky" project aimed at enhancing faculty internationalization, which sends 50 promising teachers annually to foreign key universities for study and research, meanwhile dozens of academic leaders and young administrators to key universities overseas for training as well.

The university encourages scholars to attend international academic meetings and activities of various kinds. ZJSU actively conducts student exchange programs with key universities overseas and has sent thousands of students in recent years to foreign universities for long-term and short-term exchange and visiting programs. From 2014, ZJSU has set up a special fund of 3 million RMB yuan annually, for sponsoring excellent students to study abroad for long or short terms.

With the development of internationalization and the overall improvement, the university has hosted and sponsored in recent years more than 20 large-scale international activities and important academic conferences, including "2010 International Association of University Presidents (IAUP) Conference of North East Asia", "the 20th International Association of Feminist Economics", "Academic Conference of East Asian Culture" co-organized with University of Columbia and "2012 Bangkok Asia Food Science Forum" co-hosted with Chulalongkorn University, Thailand. May 2011 witnessed the 100th Anniversary of ZJSU, for which nearly 100 friend universities in the US, UK, Canada and other countries sent their congratulatory messages, such as Harvard University, Cornell University, etc. In 2012, Complete Works of Dickens by the university publishing house was used as the state gift at the Book Fair of London. In 2013 ZJSU held "International Education Week", which was hosted by ZJSU and co-organized by more than 20 partner universities from the USA, UK, Belgium, Australia, New Zealand, Japan, South Korea, and Republic of Northern Cyprus.



In recent years, the university has employed over 300 foreign teachers from the United States, Britain, Germany, Australia, Japan, South Korea, etc, among which 3 foreign experts were awarded Zhejiang

provincial government "West Lake Friendship Award". ZJSU invited foreign experts and scholars to give over 500 short-term courses or lectures; and had over 2000 foreign guests and visitors, such as Nobel Prize winner Professor Luc A. Montagnier, French Academician of College de France Pierre Devolve. ZJSU attaches great importance to international education. Since 2009, ZJSU established scholarship for international students, more than 100 students got this scholarship and at the same time about 100 international students got "Zhejiang Provincial Government Scholarship". To expand the number of international students and increase degree students, ZJSU has established 27 foreign-language-taught degree programs specially designed for international students. Now, the total number of international students doubles the rate every year. More than 300 foreign students are pursuing bachelor, master and doctoral degrees, and hundreds of international students annually study Chinese, Chinese culture and Chinese Business in the university.

Source: Zhejiang Gongshang Universit

კონფუცის ინსტიტუტი



ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ჩინეთის მთავრობის მხარდაჭერით მთელ მსოფლიოში იქმნება კონფუცის ინსტიტუტები. დღეისათვის მათმა რაოდენობამ ხუთასს გადააჭარბა. კონფუცის პირველი ინსტიტუტი გაიხსნა 1994 წელს ქალაქ სეულში (სამხრეთ კორეა). კონფუცის ინსტიტუტები არის აშშ -ში, კანადაში, მექსიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ინდოეთში, თურქეთში, არგენტინაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ კონფუცის ინსტიტუტი საქართველოშიც ფუნქციონირებს თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფუცის ინსტიტუტი მოწოდებულია გააღრმავოს ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან, გააცნონ მათ ჩინეთის ისტორია, კულტურა, ფილოსოფია, ლიტერატურა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. საინტერესოა, რომ ჩინური ენის გაკვეთილების გარდა კონფუცის ინსტიტუტებში იკითხება ლექციები, უჩვენებენ კინოფილმებს, მართავენ გამოფენებს, კონკურსებს და შეხვედრებს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან. ჩინური ენის კურსებზე სწავლება ხორციელდება უახლესი სახელმძღვანელოების საშუალებით. ძირითად სასწავლო

მასალასთან ერთად გათვალისწინებულია აუდიო ან ვიდეო მასალის გამოყენება. მეცადინეობებს ატარებენ როგორც ქართველი კვალიფიციური ლექტორები, ასევე ჩინეთიდან მოწვეული პედაგოგები.

კონფუციის ინსტიტუტებში ჩინური ენის შემსწავლელთათვის, რომლებიც აჩვენებენ მაღალ შედეგებს სწავლაში და წარმატებით ჩააბარებენ შესაბამის (HSK) გამოცდას შანსი ეძლევათ გაიარონ უფასო სტაჟირება ჩინეთში ერთი წლის ვადით.



რატომ უნდა ვიწავლოთ ჩინური ენა?

უცხო ენის შესწავლა ყოველთვის სასარგებლოა. ენა კომუნიკაციის საშუალებაა როგორც კერძო, ასევე კულტურის, ლიტერატურის და მეცნიერების სფეროებში. გარდა ამისა, უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული კარიერისათვის დღევანდელ მსოფლიოში.

რატომ ვსწავლობთ მანცდამაინც ჩინურ ენას? დღეისათვის დედამიწაზე ყოველი მე-5 ადამიანი საუბრობს ჩინურ ენაზე. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ეს მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია ჩინეთის ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან. ჩინეთი, როგორც მსოფლიოში მეორე ქვეყანა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მიმზიდველია ინვესტორებისათვის და საერთაშორისო დონეზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღეისათვის ინტერნეტში საიტების ნახევარზე მეტი ჩინურ ენაზეა. ხოლო იმის გათვალისწინებით თუ რა სისწრაფით ვითარდება ინტერნეტი ჩინეთში ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. ამიტომ, თუ თქვენ დაეუფლებით ჩინურ ენას, თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება დიდი რაოდენობით სასარგებლო ინფორმაცია. ჩინური ენა იყენებს განსკუთრებულ იეროგლიფურ დამწერლობას. იგი არის ერთ-ერთი უძველესი დამწერლობათა სისტემა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იეროგლიფთა უმრავლესობა უცვლელია უკვე 2000 წ.

ჩინურის ცოდნა გამღვავთ ახალ შესაძლებლობებს მოგზაურობისათვის. თქვენ შეგეძლებათ გაეცნოთ სრულიად სხვა კულტურასა და ცხოვრების წესს.

ჩინეთი_ეს სხვა ისტორია და სხვა კულტურაა. ეს მისი ტრადიციები, მითოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნებაა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებით მთელ მსოფლიოსთან კავშირი გახდა რეალობა. თქვენ შეგეძლებათ იპოვოთ ბევრი მეგობარი და პარტნიორი ბიზნესში.

ახლა ჩინური ენის მცოდნე სპეციალისტებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება, მაგრამ გავრცელებული მითების გამო, რომ ჩინური ენის შესწავლა მეტად რთულია ასეთი სპეციალისტების რაოდენობა დღემდე მცირეა.

ჩინური ენის ცოდნა თქვენ გამღვავთ დამატებით შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს თქვენი მომავალი სამუშაოსათვის, იმის მიუხედავად თუ რა სპეციალობას აირჩევთ.

გისურვებთ წარმატებებს ჩინური ენის სწავლაში!

ზოგიერთი რამ ჩინური ენის შესახებ.

1. ჩინური - ყველაზე გავრცელებული ენაა მსოფლიოში.

დაახლოებით 1.2 მილიარდი ადამიანი ფლობს ჩინურ ენას. ამრიგად, მსოფლიოს მოსახლეობის 14% ლაპარაკობს ჩინურად. ჩინური ენის პოპულარობა მსოფლიოში იზრდება. ჩინური გახდა მეორე ყველაზე გავრცელებული უცხო ენა აშშ-ში ესპანურის შემდეგ. ამჟამად აშშ-ში 200 ათასი ადამიანი სწავლობს ჩინურს და პროგნოზებით 2020 წლისთვის ეს ციფრი მილიონამდე გაიზრდება.

2. მილიარდერების შვილები სწავლობენ ჩინურ ენას!

იმ ყველაზე მდიდარი და წარმატებულები ადამიანების არასრული სია, რომლებიც თავის შვილებს ჩინურს ასწავლიან:

- Amazon-ის დამაარსებელი და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი ჯეფ ბეზოსი;
- ივანკა ტრამპი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქალიშვილი;
- დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი.
- Facebook-ის შემქმნელი მარკ ცუკერბერგი თვითონ კარგად ფლობს ჩინურ ენას და პატარა ქალიშვილსაც დააწყებინა ამ ენის შესწავლა.

3. თქვენ ძალიან საინტერესო კულტურას და ცხოვრების წესს გაეცნობით.

ჩინეთს გააჩნია განსხვავებული ისტორია და კულტურა. ეს არის აბსოლუტურად უნიკალური ტრადიციები, მითოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნება. ჩინეთის და ჩინურის

შესწავლა უდაოდ აფართოვებს ადამიანის მსოფლმხედველობას, ხელს უწყობს მის მრავალმხრივ განვითარებას.

4. ჩინური გამოგადგებათ სამსახურში.

ჩინური ენის ცოდნა მოგცემთ დამატებით შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს თქვენს სამომავლო საქმიანობაში, მიუხედავად არჩეული სპეციალობისა. მსოფლიო რეკრუტირების სააგენტოების მონაცემებით, ჩინური ენის ცოდნა საშუალოდ 8-დან 48% -მდე ზრდის სპეციალისტის ხელფასს.

5. ჩინური ენა გამოგადგებათ თქვენს ბიზნესში.

დღესდღეობით ჩინეთი არის მსოფლიოს ერთ-ერთი სავაჭრო, ფინანსური და ბიზნეს ცენტრი, სადაც უამრავი საერთაშორისო კომპანიაა წარმოდგენილი. ჩინეთი არის მსხვილი ინვესტორი და აქტიურად აწარმოებს პროდუქციის ექპორტს მსოფლიო ბაზრებზე, მათ შორის საქართველოში. ჩინური ენის ცოდნა თქვენ დიდ შესაძლებლობებს გაძლევთ პირდაპირი კონტაქტების დასამყარებლად და უფრო ეფექტური ბიზნეს საქმიანობის წასამართად.

6. ჩინური ენა ანვითარებს სმენას.

ჩინური არის ტონების ენა, ერთი და იგივე ხმოვანის გამოთქმა შესაძლებელია ხუთი სხვადასხვა გზით. ჩინური ენის მატარებლების დიდი ნაწილი გამოირჩევა აბსოლუტური სმენით, რადგან ისინი ადრეული ასაკიდან ეჩვევიან ტონების გარჩევას.

7. ჩინური უფრო ადვილია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ!

უმრავლესობას ჩინური ენის შესწავლა ძალზე რთული მიაჩნია. გასაკვირი არ არის, რადგან ის შორს არის ნაცნობი ევროპული ენებიდან. თუმცა, არ შეგეშინდეთ- ჩინური უფრო ადვილია, ვიდრე ფიქრობთ! მასში არ არის ზმნები, მრავლობითი პირი და დროები. ჩინურში 80,000-ზე მეტი იეროგლიფსია, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათგან დაახლოებით 3,500 გამოიყენება.



ჩინური დამწერლობა ლოგოგრამული დამწერლობა, რომელიც გამოიყენება ჩინურ და იაპონურ ენებში, ხანდახან კორეულშიც და ადრე ვიეტნამურ ენაშიც. ჩინური დამწერლობა წარმოიქმნა 3200 წლის წინ და სავარაუდოდ დღეს არსებული დამწერლობებიდან უძველესია. მიუხედავად ამისა, ამ 3200 წლის მანძილზე ჩინურმა დამწერლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და მისი უძველესი ნიმუშების წაკითხვა მხოლოდ ლინგვისტი არქეოლოგებისთვისაა შესაძლებელი.



ჩინეთში აღმოჩენილი დამწერლობის უძველესი ნიმუშები კუს ჯავშანზე დაახლოებით ძვ. წ. VIII ათასწლეულს, ეს ნაწერები არის დამწერლობის უძველესი ნიმუშები, თუმცა მათი გაშიფვრა ჯერ ვერ მოხერხდა და უცნობია მათი კავშირი ჩინურ დამწერლობასთან.

ჩინურ დამწერლობაში სიმბოლოთა რაოდენობა რამდენიმე ათეული ათასია და თითოეულ სიმბოლოს აქვს არა მხოლოდ ფონეტიკური არამედ აზრობრივი მნიშვნელობაც.

ჩინურ სიმბოლოთა 4% არის პიქტოგრამებიდან წარმოებული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე იეროგლიფებსა და პიქტოგრამებს შორის კავშირის შემჩნევა არც ისე ადვილია. დანარჩენები ლოგიკურად არის შედგენილი რამდენიმე მარტივი იეროგლიფისგან.

დიდ ლექსიკონებში 46 ათასზე მეტი იეროგლიფია შესული, თუმცა მათი უმეტესობა საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. საშუალოდ ჩინელმა ან ჩინურის მცოდნემ 3000-4000 იეროგლიფი იცის.

ტრადიციულად თითო იეროგლიფი აღნიშნავს თითო მარცვალს, ხოლო ბევრი ჩინური სიტყვა შედგება ერთზე მეტი მარცვლისგან, რომელთა დასაწერად გამოიყენება ერთზე მეტი იეროგლიფი. ჩინური ენის სხვადასხვა დიალექტებში იეროგლიფის წარმოთქმა განსხვავდება, მაგრამ მნიშვნელობა და დაწერის სახე ერთიანია ყველასათვის. ამის გარდა ბევრი სიმბოლო გადასულია იაპონურ და კორეულ ენებში, სადაც უკვე სულ სხვა მნიშვნელობა და გამოთმა აქვს შეძენილი.

კონტინენტურ ჩინეთში გამოიყენება 1956 წლიდან გამარტივებული დამწერლობა, ხოლო ტაივანზე და ჰონგკონგში ტრადიციული ჩინური დამწერლობა. გამარტივებული ჩინური ასევე გადაიღეს სინგაპურშიც.

ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა

ჩინეთმა იაპონია დაჯაბნა და ახლა ის მლიერი ეკონომიკის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ახლახანს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ჩინეთის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2010 წლის მეორე კვარტალში 1.337 ტრილიონი დოლარი შეადგინა, იაპონიის 1.228 ტრილიონთან შედარებით.

თითქმის ოთხ ათწლეულზე მეტი იაპონია სამეწარმეო და ფინანსური ზესახელმწიფოს სტატუსს მტკიცედ ინარჩუნებდა. თუმცა დღეს ტოკიო ფარ-ხმალს ყრის და ეკონომიკური ზესახელმწიფოს სტატუსს ჩინეთს გადასცემს. ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ჩინეთი მესამე ადგილს დიდხანს არ დასჯერდებოდა, მაგრამ მოვლენების ასეთმა სწრაფმა განვითარებამ ტოკიოც კი გააოცა. ისინი ამბობენ, რომ ჩინეთმა დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს გლობალური რეცესიიდან გამოყვანის საქმეში. კვლევების მიხედვით უკვე წელს ჩინეთი ავტომობილების ყველაზე დიდ ბაზრად იქცა და ამავე კვლევის თანახმად, ენერჯის ყველაზე დიდი მომხმარებელია.

ლუის კუიჯისი, მსოფლიო ბანკის ჩინეთის ოფისის წამყვანი ეკონომისტი.

“ჩინეთის ეკონომიკის ზრდა ცხადია გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა რეგიონებზეც. თუნდაც იმიტომ, რომ ფართო მოხმარების საგნებს ჩინეთი გერმანიისგან, ავსტრალიისა და ბრაზილიისგან ყიდულობს.”-ამბობს კუიჯისი.

მიუხედავად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისა, სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, მაგალითად ნამიბიასა და თურქმენეთთან, ჩინეთის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაბალი რჩება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შემოსავალი ეროვნული ვალუტის ფასის აწევასთან ერთად მოიმატებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ უკვე გაასწრო საფრანგეთს, ბრიტანეთსა და გერმანიას, ექსპერტების ვარაუდით, ამერიკის ეკონომიკასთან გათანაბრებამდე ჩინეთს წინ ჯერ კიდევ 20 წელი აქვს.

მილიარდელი ხანგჭოუდან

ჯეკ მა (ნამდვილი სახელი - მა იუნი) დაიბადა 1964 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ ხანგჭოუში სამხრეთ ჩინეთში. გარდა ამისა, ოჯახში კიდევ ორი ბავშვი იყო - უფროსი ძმა და უმცროსი და. მათი ბავშვობა დასავლეთის მხრიდან ჩინეთის იზოლირების დროს იყო. მისი მშობლები ღარიბი ოჯახიდან იყვნენ მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა 1972 წელს ხანგჭოუ მოინახულა, მა - ს მშობლიური ქალაქი ტურისტული მექა გახდა. მა, მოზარდობის პერიოდში ხშირად მიდიოდა ქალაქის ცენტრალურ სასტუმროში დილით ადრე და ტურისტებს უფასო ექსკურსიებს სთავაზობდა - ინგლისური ენის შესწავლის

მიზნით. მეტსახელად "ჯეკი" დაარქვა მას ერთ-ერთმა ტურისტმა, რომელთანაც ის შემდგომში მეგობრობდა.

ფულისა და დიდი კავშირების გარეშე, მას მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა - მიეღო კარგი განათლება. სკოლის დამთავრების შემდეგ მან გადაწყვიტა, ინსტიტუტში ჩაბარება, მაგრამ მისაღებ გამოცდებში ორჯერ ჩაიჭრა. ბევრი შრომის და სწავლის შემდეგ მან საბოლოოდ შეძლო ხანგჭოუს პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაბარება. 1988 წელს მან მიიღო უმაღლესი განათლების დიპლომი და დაიწყო სამსახურის ძებნა.

ჯეკ მას მრავალჯერ უთხრეს უარი სამსახურში მიღებაზე, სანამ ინგლისური ენის მასწავლებლის ადგილი არ მიიღო. ჯეკმა კარგი მასწავლებელი აღმოჩნდა და შეყვარებული იყო თავის სამსახურზე, მიუხედავად იმისა, რომ თვეში მხოლოდ 12 დოლლარს იღებდა. მას არ ჰქონდა კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება, სანამ 1995 წელს აშშ-ში მოგზაურობის დროს ინტერნეტი არ გაიცნო. ის თარჯიმნად ახლდა ჩინეთის ბიზნეს-დელეგაციას. ინტერნეტში პირველი საძიებო სიტყვა იყო "ლუდი" და ის გაცემული დარჩა, როდესაც ძიების შედეგად ვერსად ვერ იპოვა ჩინური წარმოების ლუდი. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ინტერნეტ-კომპანიის დაარსება თავის სამშობლოში.



მა - ს პირველი ნაბიჯები ბიზნესში წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მან ოთხი წლის შემდეგ თავის ბინაში შეკრიბა თავისი 17 მეგობარი და დაარწმუნა ისინი ჩაედოთ ფული მის ბიზნეს-პროექტში სახელწოდებით „Alibaba“. ჯეკ მას მთავარი მიზანი გახდა ელექტრონული ვაჭრობა ინტერნეტ საიტის მეშვეობით და მყიდველების დაინტერესება ჯერ ქვეყნის მასშტაბით, შემდეგ კი მის ფარგლებს გარეთ.

უმოკლეს დროში კომპანიის სერვისმა შეძლო მოეზიდა მყიდველები მთელი მსოფლიოდან. 1999 წლის ოქტომბრისთვის კომპანიამ მოიზიდა ინვესტიციები 5 მლნ. დოლარის ოდენობით ბანკი “Goldman Sachs” - ისგან და 20 მლნ. დოლარი - “SoftBank” - ისგან. იაპონიის სატელეკომუნიკაციო კომპანიისგან, რომელიც ინვესტირებას ახდენს ტექნოლოგიურ პროექტებში. იმ დროს “Alibaba”-ს გუნდი შედგებოდა მთლიანად არაპროფესიონალებისაგან. “ჩვენ ვაკეთებდით ამას იმიტომ, რომ ვიყავით ახალგაზრდები და უკან არასდროს ვიხევდით“ - ყვებოდა ჯეკ მა თანამშრომლების ერთ-ერთ შეკრებაზე. 2005 წელს Yahoo-მ კომპანია “Alibaba”-ში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა 40%-იანი

წილის სანაცვლოდ. მაშინ “Alibaba” შეეცადა გვერდი აეველო eBay - ს ჩინეთის ტერიტორიაზე. ინვესტიცია უზარმაზარი წარმატება იყო Yahoo- სთვის, რომელმაც მოგვიანებით მოიპოვა დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი “Alibaba”-ში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით.

მა -მ მის მიერ შექმნილი კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტი 2013 წელს დატოვა, და კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დარჩა. მომდევნო წელს ჯეკის კომპანიამ პირველად განათავსა 169 მილიარდი დოლარის ღირებულების კომპანიის აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, რაც მის ისტორიაში უდიდესი შეთავაზება იყო. ამან მა ჩინეთში უმდიდრეს ადამიანად აქცია და ჯეკ მა 25 მილიარდი დოლარის ქონების მფლობელი გახდა.

ამასთან დაკავშირებით “Alibaba” - ს შტაბ-ბინაში ხანგჭოუში, თანამშრომლებისთვის გრანდიოზული დღესასწაული მოეწყო. მა ცდილობს არ გაამჟღავნოს მისი ოჯახური ცხოვრება. ის მის მეუღლეს ჟანგ იინს ჯერ კიდევ სკოლაში შეხვდა 80-იანი წლების ბოლოს. "ის არ არის ლამაზი, მაგრამ მას შეუძლია ბევრი რამ, რაც მშვენიერ მამაკაცს არ შეუძლია," ამბობს მასზე ჟანგი. მათ ორი შვილი ჰყავთ - ქალიშვილი და ვაჟი. ვაჟი სწავლობს კალიფორნიის უნივერსიტეტში ბერკლიში, სადაც ერთ დროს ჯეკ მა ისტორიის კურსის მსმენელი იყო



ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს, ჯეკ მამ მოუწოდა თავის თანამშრომლებს, გამოიყენონ თავიანთი სიმდიდრე და შესაძლებლობები, რომ გახდნენ "ჭეშმარიტად კეთილშობილურები, კეთილი და ბედნიერი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მათ ახლობლებს".

მიუხედავად იმისა, რომ ჯეკ მა შეძლებული ადამიანი გახდა, ის არ აკეთებს ექსტრავაგანტულ შესყიდვებს, და, როგორც ადრე, იქცევა მოკრძალებულად. "მე არ ვფიქრობ, რომ მა ბევრად შეიცვალა. ის დარჩა ისევ ისეთი როგორც იყო", - ამბობს “USA Today” - ს ინტერვიუში მა - ს ერთ-ერთი მეგობარი. მას აქვს ჩვეულებრივი ჰობი: მას მოსწონს კითხვა და მოთხრობების წერა კუ ნგ-ფუ - ს შესახებ, პოკერის თამაში, მედიტაცია, Taijiquan - ტრადიციული გამაჯანსაღებელი ტანვარჯიში, რომელიც მოდის საბრძოლო ხელოვნებისგან. მსახიობ ჯეტ ლი-თან ერთად, ის ხელს უწყობს Taijiquan - ის პროპაგანდას და ყველა ვიზიტის დროს მას თან ახლავს პირადი მწვრთნელი.



ჯეკმა დაიწყო აქტიური გამოსვლები გარემოს დაცვისთვის მას შემდეგ, რაც მისი მეუღლის ახლო ნათესავი დაავადდა, ცუდი ეკოლოგიის შედეგად გამოწვეული დაავადებით. იგი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ბუნების კონსერვაციის" სამეურვეო საბჭოს წევრია და 2014 წლის სექტემბერში ბილ კლინტონის ფონდის გლობალური ინიციატივის სხდომაზე ისაუბრა ამ პრობლემებზე. გარდა ამისა, მან ბუნებრივი ნაკრძალის შექმნაზე ჩინეთში 10 ათასზე მეტი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოყო. თუმცა, ზოგჯერ ჯეკ მა არ ერიდება თავისი სიმდიდრის დემონსტრირებას. ცნობილია, რომ 2013 წლის მარტში, მსოფლიოს მასშტაბით უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ შეიძინა 49.7 მილიონი დოლარის ღირებულების თვითმფრინავი "Gulfstream G550".

ძალიან ბევრი მარცხი მაქვს განცდილი ცხოვრებაში. სასაცილოა, რომ მთავარი მარცხი ჯერ კიდევ სკოლაში განვიცადე, სადაც დაწყებით სკოლაში 2-ჯერ ჩავიჭერი, 3-ჯერ ვერ შევძელი გამოცდის ჩაბარება უმაღლეს სკოლაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ამას. ჩვენ არ ვართ იმდენად კარგები. დღესაც კი ჩვენ ბევრ უარს ვიდებთ. . 2 წლის განმავლობაში როდესაც ვცდილობდი უნივერსიტეტში მოწყობას 30 ჯერ ვცდილობდი სამსახურში მოწყობას, მაგრამ წარუმატებლად. პოლიციაშიც კი მივმართე - მათ უარ ი მითხრეს სამსახურზე. მივმართე KFC- შიც, როდესაც ის ჩინეთში გამოჩნდა. 24 ადამიანი მა მიმართა მათ სამსახურზე, მათგან 23 მიიღეს. მარტო მე არ ამიყვანეს. იგივე მოხდა პოლიციაში - 5 ადამიანიდან 4 მიიღეს, მაგრამ არა მე. ასე რომ, ჩემთვის უარის თქმა... სხვათა შორის, მე 10 ჯერ მივმართე ჰარვარდის უნივერსიტეტს და ყოველთვის ვიღებდი უარს.

არა მგონია, რომ ბევრმა ადამიანმა 30 ჯერზე მეტი უარი მიიღო. ერთადერთი ის არის, რომ ჩვენ არასდროს არ ვნებდებით. ჩვენ ვართ როგორც ფორესტ გამპი. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, ჩვენ ვცვლით საკუთარ თავს, ჩვენ არ ვჩივით. წარმატებული პიროვნება ხარ თუ არა - სამუშაოს აკეთებ და წარმატებას ვერ მიაღწიე, თუ ამაში სხვა პირებს ადანაშაულებ - ვერ მიაღწევ წარმატებას. თუ ადამიანი ამოწმებს თავის თავს, და არკვევს რა არის არასწორი და სად ცდება - მას აქვს იმედი. დღესათვის ჯეკ მა - აზიაში უმდიდრესი ადამიანია და მისი ქონება 40 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ალიბაბა(Alibaba) ჯგუფი გეგმავს შექმნას «ციფრული აბრეშუმის გზა»



ელექტრონული კომერციის სფეროში გამორჩეული ლიდერი Alibaba Group გეგმავს «ციფრული აბრეშუმის გზის» პროექტის განხორციელებას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.

ელექტრონული კომერციის ჩინური გიგანტის ხელმძღვანელმა ჯეკ მამ გასულ წელს ინიციატივა გამოთქვა ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის შექმნის თაობაზე (EWTP), რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს მცირე და საშუალო ბიზნესში საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს დიდი «20»-ის, სამიტზე, რომელიც ჯეკ მას მშობლიურ ქალაქ ხანგჭოუმში გაიმართა.

EWTP Sun Juntao-ს პროექტის ხელმძღვანელმა - სუნ ცზიუნ ტაო-მ განაცხადა, რომ ციფრული გზა მოიცავს რამოდენიმე ციფრულ თავისუფალ სავაჭრო ზონას, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნებს საფოსტოგზავნილების ანალოგიით, რომლებიც დაკავშირებულია უძველესი აბრეშუმის გზის ქვეყნებთან.

ასეთი ციფრული ცენტრი საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს მიიღოს საჭირო წვდომა კომპლექსური მომსახურებასთან.

EWTP-სპირელი ცენტრი შეიქმნა მალაიზიაში. ეს პროექტი წარმოადგენს მომსახურების სრულ სპექტრს საბაჟო მომსახურებაზე, გადახდაზე, ვალუტის გაცვლაზე, ლოჯისტიკაზე და სხვა.

სუნ ცზიუნ ტაო-ს თქმით, Alibaba უზრუნველყოფს დაფინანსების და საჭირო ტექნოლოგიების დანერგვას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ახორციელებენ EWTP პროექტს. ეს ხელს შეუწყობს ინტერნეტ-ეკონომიკის გაბვითარებას.

Alibaba Group მმართველების თქმით, EWTP პლატფორმა გახდება კერძო სექტორისა და სახელმწიფოს შორის დიალოგის მექანიზმი. ვიფრული ცენტრების შექმნამ უნდა გაამარტივოს ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები, რაც საშუალებას მისცემს საშუალო და მცირე საწარმოებს თამამად გავიდნენ საერთაშორისო ბაზრებზე.



კერძო კორპორაცია „ჰუალინგ ჯგუფი“ დაარსდა 1988 წ. ჩინეთში, ქ. ურუმჩიში. კორპორაციის ძირითადი საქმიანობა მოიცავს: სავაჭრო ცენტრებისა და საბითუმო მარკეტების მშენებლობას, გაქირავებას და მართვას; საგარეო ვაჭრობას; სასტუმროების ქსელის მშენებლობა-მართვას; დეველოპერული პროექტების განხორციელებას; ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკული და მეცხოველეობის პროექტების განვითარებას და ქველმოქმედებას.

საქართველოში კომპანიის საინვესტიციო კაპიტალი 500 მლნ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა ჯამში 3,000-ს აღემატება.

„ჰუალინგ ჯგუფი“ წარმოადგენს ჩინეთის უდიდეს კერძო კორპორაციასა და საქართველოში უმსხვილეს ინვერსტორს, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სავაჭრო ცენტრებისა და საბითუმო ბაზრების მშენებლობა, მართვა და გაქირავება, უძრავი ქონება, ლოჯისტიკა, სასტუმროების მშენებლობა და მართვა, მეცხოველეობა, კვების მრეწველობა და სხვა. გარდა ამისა, კომპანია საქართველოში ფლობს სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკს“, ხოლო ჩინეთში - სხვა ფინანსურ აქტივებს. „ჰუალინგ ჯგუფმა“ ჩინეთში ოთხი დიდი საბითუმო ბაზრის პროექტი განახორციელა. ესენია: „ჰუალინგის ურუმჩის კომპლექსური საბითუმო ბაზარი“, „ჰუალინგის სამხრეთ სინძიანის საბითუმო ბაზარი“, „ჰუალინგის საიუველირო ნაწარმისა და ნეფრიტის ნაკეთობების საერთაშორისო ქალაქი“ და „ჰუალინგის ბაზრის სამშენებლო მასალების საექსპორტო ბაზა“. ამ ოთხი კომპლექსური ბაზრის საერთო კომერციული ფართობი 2.2 მილიონ მ2-ს აჭარბებს, ფუნქციონირებს 22 ათასზე მეტი საწარმო ჩინეთის სხვადასხვა რეგიონიდან. ვიზიტორთა საშუალო დღიური რაოდენობა 100 ათასს აღემატება აჭარბებს. ზემოთხსენებული ბაზრები ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში კომპლექსური საქონლის უმსხვილეს ბაზრებს წარმოადგენენ.

„ჰუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში ინვესტირება 2007 წლიდან დაიწყო და ამ წლიდან მოყოლებული საქართველოში დაახლოებით 500 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა შემდეგ პროექტებში: „ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა“ ("ISEZ"), „ბაზისბანკი“, ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ხე-ტყის დამუშავება-დამზადება, მინერალური რესურსების ძიება-ათვისება და სხვა. „ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკის ზონის“ ფარგლებში ფუნქციონირებს კომპლექსური სავაჭრო პლაზა, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰოთელს ენდ პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“ და კომერციული უძრავი ქონების პროექტი.




2012 წელს „ჰუალინგ ჯგუფმა“ ბაზის ბანკის აქციების 90% შეისყიდა, რაც ჩინეთის კერძო კორპორაციის მიერ ჩინეთის საზღვრებს გარეთ კომერციული ბანკის შესყიდვის პირველი პრეცედენტი გახდა, რომელიც 2012 წელს ჰონგ-კონგში ჩატარებულ ჩინეთის საზღვარგარეთული ინვესტიციების რიგით მეორე ყოველწლიურ სამიტზე შევიდა წლის შვიდ საუკეთესო საზღვარგარეთულ საინვესტიციო პროექტში. ეს ტრანსაქცია ჩინეთის კერძო კორპორაციასა და საზღვარგარეთის კომერციულ ბანკს შორის შერწყმისა და შესყიდვის (M&A) პირველი პრეცედენტი გახდა. „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ შესყიდვის შემდგომ ბაზის ბანკი სტაბილურად ვითარდება, აქტივების მასშტაბი და რენტაბელობა საგრძნობლად იზრდება.

„ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის“ პროექტი „თბილისის ზღვის ახალი ქალაქი“ მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, განთავსებულია თბილისის ზღვის მიმდებარედ 420 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. იგი წარმოადგენს ჰუალინგ ჯგუფის ყველაზე დიდ პროექტს საქართველოში. განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, დამტკიცებული ფართის მშენებლობის დასრულება იგეგმება 10 წლის განმავლობაში და პირველი სამი წლის მინიმალური საინვესტიციო თანხა განსაზღვრულია არანაკლებ 150 მილიონი აშშ დოლარით. პროექტი ორიენტირებულია თბილისის ამ ნაწილის ურბანულ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. 2012 წლიდან დღემდე ზემოხსენებულ ტერიტორიაზე უკვე 39 დასრულებული კორპუსია. მშენებლობა კი გრძელდება – მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, სააგარაკო სახლები და ტურისტულ-დასასვენებელი ზონა; დასრულებულია 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, საერთაშორისო სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრი და საბაჟო საწყობი. ტერიტორიაზე განთავსდა ოლიმპიური სოფელი, რომელმაც 2015 წელს უმასპინძლა თბილისის რიგით მე 13 -ე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს „ჰუალინგი. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი“ პროექტის სამშენებლო ფართის მოცულობა შეადგენს 4 მილიონ კვადრატულ მეტრს, რომელთაგან 2 მილიონი განკუთვნილია საცხოვრებელი ზონის მშენებლობისათვის, ხოლო დარჩენილი 2 მილიონი კვადრატული მეტრი კი განსაზღვრულია კომერციული ფართებისთვის და სარეკრეაციო ზონებისთვის. საცხოვრებელი ზონა მოიცავს: მაღალსართულიან, მრავალბინიან საცხოვრებელ ზონას და სააგარაკო სახლების კერძო დასახლებას.

კომერციული ზონა კი სხვადასხვა ობიექტებს, როგორცაა სავაჭრო, ლოჯისტიკური, გასართობი და გამაჯანსაღებელი ცენტრები.

- საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი „თბილისის ზღვის პლაზა“ მდებარეობს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქის გარეუბანში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოში საუკეთესო ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. მას გააჩნია ხელსაყრელი მდებარეობა ტრანსპორტის თვალსაზრისით, ადვილია თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და რკინიგზის სადგურის მიმართულებით გადაადგილება, პლაზა განთავსებულია ქალაქის ცენტრთან ახლოს, მოხერხებულია უცხოელი ბიზნესმენებისათვის თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად.
- საბაზრო და სავაჭრო ტერიტორია მოიცავს: საბაზრო ზონას, გადამამუშავებელ ზონას, საბაჟო გადასახადებისგან თავისუფალ ტერმინალს, სასაწყობო ზონას, კომერციულ საფეხმავლო ქუჩას და სხვა სახის დაწესებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ მთლიანი სავაჭრო ზონის და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას. დღეისათვის ჩინეთის, თურქეთის, დუბაისა (არაბეთის გაერთიანებული ემირატების) და სხვა ქვეყნების ბიზნეს წარმომადგენლებმა უკვე გააფორმეს შეთანხმებები ჰუალინგის სავაჭრო ცენტრთან და დაიწყეს „თბილისის ზღვის პლაზაში“ საქმიანობის განხორციელება. სავაჭრო ობიექტები დატვირთულია ისეთი სხვადასხვა სახეობის პროდუქციით, როგორებიცაა: ტანსაცმელი, ჩანთა, ჩემოდნები, საკვები, ავეჯი, სამშენებლო მასალები, განათება, საბავშვო სათამაშოები, ჰიგიენური საშუალებები, ავტო მანქანის ნაწილები და სხვა. „თბილისის ზღვის პლაზაში“ ასევე განთავსებული იქნება კვების ობიექტები, ბანკები და სხვა დაწესებულებები.
- თბილისის ზღვის პლაზა გაიხსნა 2017 წლის 30 სექტემბერს!

კორპორაცია „ჰუალინგ ჯგუფი“ -ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაცია





კონფუცი (ჩინ. 孔子 ან 孔夫子; დ. 28 სექტემბერი, ძვ. წ. 551 , ციუიფუ – გ. ძვ. წ. 479) – ჩინელი ფილოსოფოსი. მისმა სწავლებამ დიდი გავლენა იქონია ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაზე. მისი ნამდვილი სახელია – კუნი, მაგრამ ლიტერატურაში ხშირად მოხსენიებულია, როგორც კუნ-ცზი, კუნ ფუ-ცი (“მასწავლებელი კუნი”) ან უბრალოდ ცზი – “მასწავლებელი”. (ამის მიზეზია ის, რომ კონფუცი უკვე 20 წლის ასაკში ცნობილი მასწავლებელი იყო).

ლეგენდის თანახმად, მისი დაბადება იწინასწარმეტყველა მარტორქამ.

მართალია, ის ღარიბ ოჯახში დაიბადა, მაგრამ მან შეძლო მიეღო შესანიშნავი განათლება. 19 წლის ასაკში დაქორწინდა. ეყოლა ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი.

527 წელს მას დედა გარდაეცვალა. მას შემდეგ მან გააგრძელა თავისი კარიერა, მასწავლებლის რანგში.

კონფუცის სკოლაში სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები სწავლობდნენ – არისტოკრატებიც და უიღბლო ადამიანებიც.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი უძველეს ჩინეთში იყო ბრძენი ფილოსოფოსი კონფუცი. კონფუცი იყო ჩინეთის უდიდესი მოაზროვნე და სოციალური ფილოსოფოსი, რომლის სწავლებამ და ფილოსოფიამ ღრმა გავლენა იქონია ჩინურ, იაპონურ, კორეულ და ვიეტნამურ ცხოვრებაზე და აზროვნებაზე. მისი ფილოსოფია დაკავშირებულია და პირად და სამთავრობო მორალთან, სოციალურ ურთიერთობასთან, სამართლიანობასთან და გულწრფელობასთან. ამ

ღირებულებებმა მოიპოვა სახელი, სხვა კონცეფციებთან ერთად, როგორცაა „ლეგალიზმი“ და „ტაოიზმი“, ჰანის დინასტიის დროს. კონფუციის ნააზრევი ჩამოყალიბდა, როგორც კონფუციზმი.

მას გუბერნატორადაც მოუხდა ყოფნა და ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდ ტერიტორიას მართავდა. მისი ნიჭის შესახებ ბევრმა ადამიანმა იცოდა და, ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ მას რჩევის საკითხავად მეზობელი სამეფოებიდანაც რომ აკითხავდნენ.

კონფუციანელები – რომლებიც ყველას ჭარბობენ ჩინეთში, სწორედ კონფუციის ჩამოყალიბებულია ძვ. წ. აღ. VI ს-ში.

კონფუციის მოძღვრებას ძნელია რელიგია ეწოდოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, ეთიკურ-პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენს და მისი ძირითადი საკითხებიც ადამიანის ბუნება, მისი მორალი, ოჯახური ცხოვრება და სახელმწიფოს მართვაა.

კონფუციანელობის მთავარი თემა ზეციერისა და მიწიერის ურთიერთობაა. მისი აზრით, ზეციური ბატონობს მიწაზე და განაგებს მას. იგია ის, რაც ადამიანებს ბედისწერას უქვემდებარებს, ეს უკანასკნელი კი ადამიანის ცხოვრებას განაგებს. ზეცა ბუნების ნაწილია, მაგრამ ამავე დროს, მისი უმაღლესი სულიერი ძალაცაა, რომელიც ადამიანის ბუნებას განაპირობებს. ადამიანი რომელსაც ზეცისაგან მონიჭებული აქვს გარკვეული ეთიკური თვისებები, მორალური კანონების (დაო) მიხედვით უნდა იქცეოდეს და სწავლის მეშვეობით უნდა სრულყოფდეს თავის ზნეობას. სწავლის მიზანი „კეთილშობილი მამაკაცის“ (ძიუნ-ძი) დონის მიღწევას, რომელიც ფლობს ლი-ს, რაც კეთილი ხალხის მიმართ სამართლიანი და უფროსების მიმართ პატივისმცემელი ადამიანის ეტიკეტია. კონფუციის სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს ტერმინ „ჟენ“-ს (ადამიანურობა). ესაა კანონი ადამიანთა შორის ოჯახში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში იდეალური ურთიერთობების შესახებ, რომელიც შეესაბამება პრინციპს: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გსურს თავად შენ“. ამავე დროს, კონფუციისათვის უცხოა მტრების სიყვარული. იგი ამბობდა: „თუ მეგობრებივით მოვექცევი მტრებს, მაშინ როგორღა მოვექცე მეგობრებსო“.

ამგვარი ეთიკური თეორიიდან აგებს კონფუცი თავის პოლიტიკურ კონცეფციას. იგი მოითხოვს ვალდებულებათა მკაცრ და ზუსტ იერარქიულ განაწილებას საზოგადოების წევრებს შორის, რის მაგალითადაც მას ოჯახი მიაჩნია. როგორც ზეცას ექვემდებარება მიწა და იმპერატორი, ისე ამ უკანასკნელს ექვემდებარებიან მოხელეები, მამას – ოჯახის წევრები, უფროს ძმას – უმცროსი და ა.შ. ე.ი. ზნეობრივი ცხოვრება სუბორდინაციაზეა დამყარებული.

კონფუციანელობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტუალის შესრულების სიზუსტესა და პედანტურობას, თუმცა ამისათვის სხვა ფილოსოფოსები კონფუციის აკრიტიკებდნენ, რადგან ამგვარ პედანტურობაში მიმდევართა მიზიდვის საშუალებას ხედავდნენ. იგი მაინც ჩინებულად მოერგო ჩინელთა ეროვნულ ხასიათს, კონსერვატორიზმსა და ტრადიციათა დაცვის მოვალეობის გრძნობას.

მისი სიკვდილის შემდეგ, მისმა მშობლიურმა ქალაქმა მიიღო კულტურული დატვირთვა. მრავალი ტურისტი ეწვევა მის საფლავს და მიმდებარე ტაძრებს.

ცნობილი ფრაზები, რომლებიც მან დაუტოვა კაცობრიობას:

- ადამიანს გონებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნება – ყველაზე კეთილი, მიბაძვა – ყველაზე ადვილი, გამოცდილება – ყველაზე ძნელი.
- სწავლა ფიქრის გარეშე უშედეგოა, ფიქრი სწავლის გარეშე სახიფათო.
- უჭკუო ჩივის, რომ ხალხი მას არ იცნობს, ბრძენი კი ჩივის, რომ იგი არ იცნობს ხალხს.
- იწვალე, რათა შეინარჩუნო – მთავარი პრინციპი.
- ერთადერთი ნამდვილი შეცდომაა; არ გამოასწორო შენს მიერ ჩადენილი შეცდომები.
- მხოლოდ ნამდვილ ადამიანს შეუძლია სიყვარული და სიძულვილი.
- ის ვინც ლამაზად საუბრობს და მიმზიდველი გარეგნობა აქვს, იშვიათ შემთხვევაში არის ნამდვილად ადამიანური.
- ადამიანი, რომელსაც შეუძლია ძველი მეთოდით, რაიმე ახლის აღმოჩენა, ღირსია მასწავლებელი ერქვას.
- ადამიანი აფართოებს გზას და არა გზა აფართოებს ადამიანს.
- მე გავიგონე და დამავიწყდა.
- მე დავინახე და დამამახსოვრდა.
- მე გავაკეთე და გავიგე.
- რაც მეტ ცოდნას იძენ, მით უფრო იღბლიანი ხდები.
- აირჩიე სამსახური, რომელიც სიამოვნებას განიჭებს და ცხოვრებაში ერთი დღეც კი არ მოგიწევთ მუშაობა.
- ქვეყანაში, რომელსაც კარგად მართავენ, რცხვენიათ სიღარიბის, ხოლო ქვეყანაში, რომელსაც ცუდად მართავენ, რცხვენიათ სიმდიდრის.
- ის, რასაც სრულყოფილი ეძებს – თავად მასშია, ის რასაც ეძებს არასრულყოფილი – სხვებში.
- შეეცადეთ, ოდნავ კეთილი იყოთ და თქვენ დაინახავთ, რომ ცუდის გაკეთებას ვეღარ შესძლებთ.
- მხოლოდ ძალზე სულელი და ძალზე ჭკვიანი ადამიანები არ იცვლებიან.

- ადრე ხალხი სწავლობდა, რათა სრულ-ეყო საკუთარი თავი. დღესდღეობით კი მხოლოდ იმისთვის სწავლობენ, რომ სხვებთან თავი მოიწონონ.
- როგორ შევძლებთ გავიგოთ, რა არის სიკვდილი მაშინ, როცა ჯერ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, თუ რა არის სიცოცხლე?
- ნუ იდარდებ იმაზე, რომ შენ არ გაქვს მაღალი ჩინი. იდარდე იმაზე, იმსახურებ თუ არა მაღალ ჩინს. ნუ შფოთავ იმის გამო, რომ შენ არ გიცნობს ხალხი. შეშფოთდი იმაზე, ხარ თუ არა ღირსი, რომ ისინი გიცნობდნენ.
- მას, ვინც არ ფიქრობს შორეულ სიძნელებებზე, აუცილებლად მოელის ახლო უსიამოვნებები.
- საშინელება ის კი არ არის, რომ მოგატყუეს ან გაგქურდეს, საშინელება ისაა, რომ შენ ეს არ გავიწყდება.
- განუწყვეტლივ უნდა ვისწავლოთ, ვაკეთოთ, ვილაპარაკოთ სიმართლე. ვინც მის შესწავლას შეუდგება, მხოლოდ ის გაიგებს, რამდენად შორსა ვყოფილვართ სიმართლისაგან.

დენ -სიაოპინი (DENG-XIAOPING)



(მართავდა ჩინეთს 28.06.1981-24.06.1989).

დენ სიაოპინის ხელმძღვანელობის დროს ჩინეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საგრძნობლად გააუმჯობესა ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან.. ის ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ და ხვდებოდა სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებს. გარდა ამისა მან მოახერხა ურთიერთობების გაუმჯობესება იაპონიასთან, რომელსაც მან ეკონომიკური რეფორმების მაგალითი უწოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო გაერთიანებული სამეფოსა და ჩინეთის ერთობლივ დეკლარაციაზე ხელმოწერა, რის შედეგადაც 1997 წელს ჰონ-კონგი ისევ ჩინეთის მფლობელობაში გადავიდა. დენ-ი დაჰპირდა, რომ 50 წლის განმავლობაში ჰონ-კონგის ეკონომიკური და პოლიტიკური

სისტემა არ შეიცვლებოდა. იგივე შეთანხმება გაფორმდა პორტუგალიასთან, რომელმაც დაუბრუნა ჩინეთს მაკაო.

დენ სიაოპინმა შემოიტანა პრინციპი- “ ერთი ქვეყანა-ორი სისტემა”, რომელსაც ტაივანთან მოლაპარაკებებში ხშირად იყენებდა. რაც შეეხება სსრკ-თან ურთიერთობას , ამ სახელმწიფოსთან კვლავ გაგრძელდა მათს პოლიტიკა. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას თან ახლდა შიდა ეკონომიკური რეფორმები. დენ-მა სერიოზულად შეცვალა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სისტემა.

რეფორმების ცენტრში მან “ მოდერნიზაციის ოთხი პრინციპი” დააყენა. ახლა ეკონომიკა იყოფოდა 4 სექტორად: მრეწველობა, თავდაცვა , მეცნიერება , სოფლის მეურნეობა. სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღიარებული იქნა პრიორიტეტად. არსებული იდეოლოგია თითქმის არ ახდენდა დიდ გავლენას ეკონომიკაზე, რამაც ის უფრო ეფექტური გახადა.

სოფლის მეურნეობის დარგში , სახალხო კომუნების ნაცვლად , საოჯახო მეურნეობებზე გადასვლა მოხდა. 1984-1992 პერიოდში ხდება საბაზრო ეკონომიკაზე სრული გადასვლა,რისთვისაც აუცილებელი გახდა მთლიანი სისტემის დემონტაჟი. გარდა ამისა, დენის მმართველობის დროს ქვეყანაში გაჩნდა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ინვესტიციების მოზიდვასა და ქვეყნის განვითარებაში.

ჩინური ახალი წელი

ახალი წელი მნიშვნელოვანი დღესასწაულია ჩინურ კულტურაში. ჩინეთში ამ დღესასწაულს უწოდებენ „გაზაფხულის ფესტივალს” , რადგან ამით აღინიშნება ზამთრის სეზონის დამთავრება. ახალი წელი იწყება ჩინური კალენდრის პირველი თვის პირველ რიცხვში და მთავრდება 15 დღის შემდეგ „ლამპიონების ფესტივალით”.

ამ დღესასწაულის წარმოშობა ზუსტად არ არის ცნობილი, მის შესახებ მხოლოდ ლეგენდებია შემონახული. ერთი ლეგენდის მიხედვით მონსტრი ნიანი აწიოკებდა სოფელს. ერთმა ბრძენმა ურჩია სოფლის მაცხოვრებლებს ნიანის დასამარცხებლად გამოეყენებინათ ხმაური, ცეცხლი, მაშხალები და ასევე წითელი ქალაღდის ლამპიონები დაეკიდათ სახლის შესასვლელებში. ბრძენის რჩევამ შედეგი გამოიღო და ნიანი დამარცხდა. სწორედ მონსტრი ნიანის დამარცხების დღეს აღინიშნება ჩინური ახალი წელი.

ახალი წლის თარიღი დაკავშირებულია მთვარის კალენდართან და იცვლება ყოველწლიურად. ფესტივალი ტარდება ხოლმე 21 იანვრიდან 19 თებერვლამდე პერიოდში. ეს დღესასწაული სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია ჩინურ კულტურაში. როგორც მოგეხსენებათ, ჩინურ კალენდარში ყოველ

წელს 12-იდან ერთ-ერთი ცხოველი შეესაბამება. მაგალითად 2012 იყო დრაკონის წელი, ხოლო 2013 გველის წელია. თითოეულ ცხოველს განსხვავებული თვისებები, უნარები და შესაძლებლობები აქვს. სწორედ ამის მიხედვით დგება ჩინური ჰოროსკოპი. მაგალითად გველი არის ჭკვიანი, მომაჯადოვებელი, საკუთარ თავში ჩაკეტილი, დიდსულოვანი. დღესასწაული 15 დღეს გრძელდება და ყოველი დღე თავისი მნიშვნელობით ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველ დღეს ესაღმებთან თავიანთ ღვთაებებს რათა დაიფარონ მათი ოჯახები. აღნიშვნა იწყება შუა ღამიდან. იყენებენ სხვადასხვანაირ მაშხალებს, ცეცხლის ფაიერებს, ცეცხლმოკიდებულ ბამბუკის ჯოხებს. შემდეგ დღეებს სხვა ღონისძიებები ტარდება, მაგალითად : გათხოვილი ქალები სტუმრობენ თავიანთ მშობლებს (მეორე დღე), უფროსები მიდიან ლანჩზე თავის თანამშრომლებთან ერთად (მერვე დღე) , ოჯახები იკრიბებიან ერთად სადილზე და ა.შ მეთხუთმეტე დღეს კი ამ ყველაფრის კულმინაციაა ლამპიონების ფესტივალი. ადამიანები ამზადებენ დეკორატიულ ლამპიონებს და აწყობენ საჯარო სეირნობას ქუჩაში, ასევე კიდებენ ლამპიონებს სახლებზე. ამ დღესასწაულის ნაწილია დრაკონის ცეკვა, რომელიც ულამაზესი სანახაობაა.

ჩინური დღესასწაულები

ჩინელების ყველაზე საყვარელი დღესასწაული გაზაფხულის დღესასწაულია, რომელსაც ოჯახში ხვდებიან. დღესასწაულამდე ორი კვირით ადრეაეროპორტები, რკინიგზა და ავტოსადგურები მგზავრებს ვერ იტყვენ.

გაზაფხულის ზეიმი – მთვარის ტრადიციული ჩინური კალენდრის მიხედვით – ახალი წელია და გრიგორიანული კალენდრის მიხედვით 20 იანვარსა და 20 თებერვალს შორის ახალმთვარეობისას დგება. ჩუნცზეს უძველესი ისტორია აქვს (დაახლოებით XVI-XI საუკუნე ჩვ. წ. აღ-მდე), რომელიც ღვთაებებისთვის მსხვერპლშეწირვისა და წინაპართა მოხსენიების ადათ-წესებსაც უკავშირდება.

დღესასწაული თვეზე მეტხანს გრძელდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღე და ახალი წლის დადგომის შემდეგი 3 დღეა. ჩინეთის კანონმდებლობით ეს 3 დღე უქმეა. დღესასწაულს ალამაზებს წეს-ჩვეულებები, რომელთაგან ცოტამ თუ შეინარჩუნა კოლორიტი.

მთვარის კალენდრის ბოლო თვის მერვე დღეს ბევრ სახლში არომატულ ფაფას ამზადებენ, რომელსაც “**ლაბაჩჟოუ**” ჰქვია და 8 პროდუქტისგან მზადდება. მთვარის კალენდრით წლის ბოლო თვის 23-ე დღეს მცირე ახალ წელს უწოდებენ. წინაპართა ტრადიციის მიმდევრები წირავენ მსხვერპლს ოჯახის კეთილდღეობისთვის. თუმცა უმრავლესობა სიმბოლურად სადღესასწაულო სუფრას შლის.

მცირე ახალი წლის აღნიშვნის შემდეგ ჩინელები ნამდვილი ახალი წლის შესახვედრად ემზადებიან. მიიჩქარიან მაღაზიებისკენ საჭირო პროდუქტებისა და საჩუქრების შესაძენად. ყიდულობენ ტანსაცმელსა და პეხსაცმელს ბავშვებისთვის, მოხუცებისა და ნათესავებისთვის.

დღესასწაულის წინ სახლს საგულდაგულოდ ალაგებენ, ყველა კარის ჩარჩოს აწებებენ შავი ტუშით მოხატულ წითელ ქაღალდს. ქაღალდზე შესრულებული წარწერები გამოხატავს კეთილ სურვილებსა და საახალწლო მოლოცვას. კარებზე აწებებენ მფარველი სულების გამოსახულებას და სწამთ, რომ ეს მოუტანთ ბარაქას, სიხარულსა და სიკეთეს. შებრუნებულად აკრავენ ჩინურ იეროგლიფს, რაც ბედნიერების მოსვლის ნიშანია. სახლის სადარბაზო კარზე 2 დიდ წითელ ნათურას კიდებენ. ფანჯრებს ქაღალდის ჩუქურთმებით რთავენ, ხოლო კედლებს – ჭრელი საახალწლო ნახატებით.

ჩინური ახალი წლის ღამეს ასევე უწოდებენ „ღამეს განშორების შემდეგ“. მთელი ოჯახი იკრიბება ბარაქიანი, ტრადიციებით გაჯერებული სუფრის ირგვლივ. მენიუმში აუცილებლად შედის ქათმის ხორცი, თევზი და სოიოს ხაჭო – დოუფუ. ტელევიზიით ხდება გრანდიოზული მასკარადის ტრასლირება. ღამისთევა საახალწლო ტრადიციაა. ყველა სადღესასწაულო ტანსაცმელშია გამოწყობილი. ახალგაზრდები დიდი მოწიწებით ულოცავენ ხანდაზმულებს და დღეგრძელობას უსურვებენ. მიღებულია ბავშვების დასაჩუქრება წითელ კონვერტში მოთავსებული ჯიბის ფულით. ჩინეთის ჩრდილო ნაწილში პელმენების მიირთმევენ, ხოლო სამხრეთში „ნიანგაო“, ბრინჯით მომზადებული ცომის ნაჭრები მზადდება. პელმენებს ფორმით ოქროს და ვერცხლის ნადნობს ამსგავსებენ – ეს ბარაქის სიმბოლოა.

ახალი წლის პირველი 5 დღე მიჩნეულია მეგობრების, ახლობლებისა და თანამშრომლების მონახულების დღეებად.

ადრე ერთი აუცილებელი წესი იყო შაშხანების და გამაყრუებელი ფეთქებადი სათამაშოების ხმაურით ავი სულების განდევნა, თუმცა ეს რიტუალი ამჟამად აღარაა პოპულარული, ვინაიდან გაუფრთხილებელი

მოპყრობის გამო ხშირი იყო უსიამოვნებები, ხმაური კი – აუტანელი. ტრადიცია აუდიოკასეტების მოსმენით და ფეხებით ბუშტების დახეთქვით შეიცვალა.

მხიარული საახალწლო განწყობა ყველა სახლში, ქუჩაში, სოფელსა თუ ქალაქშია. იმართება ხმაურიანი სახალხო სეირნობა და ურჩხულების ცეკვა, ზეიმი მთვარის კალენდრის პირველი თვის მეთხუთმეტე დღეს ფარნების დღესასწაულის შემდეგ მთავრდება.

ჩინეთში 56 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. მათი ახალი წელი დროით ახლოსაა ან ემთხვევა ჩინურ ახალ წელს. ბევრია საერთო ტრადიციაც.

ტრადიციული დღესასწაულები ჩინეთში

ჩინეთში უძველესი დროიდან ბევრი დღესასწაული აღინიშნებოდა. ყველა მათგანი დაკავშირებულია ასტრონომიასთან, ლუნისოლარულ კალენდართან (რომელსაც დასავლეთში ეწოდება მთვარის კალენდარი, რადგანაც ყოველი თვის მეთხუთმეტე დღე ემთხვევა სავსე მთვარეს). კალენდარი დაფუძნებული იყო ოცდარვა თანავარსკვლავედის ბრუნვაზე, თორმეტი ჰოროსკოპისა და სამოცწლიან ციკლებზე. ამ დღესასწაულების უმეტესობა დღეს აღარ აღინიშნება, ქვემოთ ვისაუბრებთ მხოლოდ ამჟამად მოქმედ ტრადიციულ დღესასწაულებზე:

1. გაზაფხულის დღესასწაული - ჩინური ახალი წელი, ლუნისოლარული (ზემოთ აღნიშნული) კალენდრით პირველი თვის პირველი რიცხვი. ეს გახლავთ ყველაზე დიდი დღესასწაული როგორც ხალხისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის. ეს დღესასწაული ემთხვევა პერიოდს, იანვრის ბოლოდან თებერვლის შუა რიცხვის რომელიმე დღემდე. უძველესი დროიდან ეს დღესასწაული იყო გაზაფხულის მოსვლის სიმბოლო. მისთვის მზადება იწყება მეთორმეტე თვიდან (ყველანაირი ათვლა სრულდება ლუნისოლარული კალენდრის მიხედვით), მაგალითად, მეთორმეტე თვის რვა რიცხვში არის დღესასწაული ლაპა. ამ დღეს ბურღულეულისა და უნაბისაგან ხარშავენ ტკბილ ფაფას, რაც მომავალში წლის დიდი მოსავლის საწინდარია. სხვა დღეებში ლაგდება სახლი და კარ-მიდამო, რაც ცუდი აურის განდევნის ნიშანია. სახლის მორთვა ხდება ნაყიდი ან ოჯახის წევრების მიერ დამზადებული ქაღალდისაგან გამოჭრილი სამშვენისებით, სალხური ნახატებით, კარზე დაწებებული წყვილ წითელ ქაღალდზე შესრულებული გართიმული წარწერებით.

ახალი წლის წინა დღეს (ახალი წლის დამდეგს) ოჯახის ყველა წევრი ერთად იკრიბება, იცვლება გასული წლის დეკორაციები: ნახატები, სამშვენისები, წარწერები და ა.შ. თორმეტი საათისთვის ამზადებენ მდიდრულ საახალწლო სუფრას. ჩრდილოეთ ჩინეთში მთავარი კერძი არის პელმენი (პიაოძი), რაც ვერცხლის ზოდის - სიმდიდრისა და ოჯახის ერთობის სიმბოლოა. სამხრეთ ჩინეთში მთავარი კერძი არის ბრინჯის ფქვილისაგან დამზადებული საახალწლო ნამცხვარი (ნიენკაო), რაც წარმატების, აღმავლობის, იღბლის სიმბოლოს წარმოადგენს.



ღამის თორმეტი საათიდან იწყება ფეირვერკები და მაშხალების გაშვება. წითელი ფერი, ხმაური და ცეცხლი იწვევს ბოროტი სულების განდევნას. თუმცა დღეს ჩინეთის დიდ ქალაქებში უკვე აკრძალულია ფეირვერკებით და მაშხალებით ხმაურის გამოწვევა. ამ ღამეს თავს იქცევენ სხვადასხვა თამაშობებით, რადგანაც ტრადიციის მიხედვით დაძინება არ შეიძლება.

ახალი წლის პირველ დღეს (პირველი თვის პირველ რიცხვში) ბავშვებს აცმევენ ახალ, წითელ ტანსაცმელს და ასევე ჩუქნიან წითელ კონვერტებში მოთავსებულ ფულს. ტაძრებსა და ქუჩებში იმართება გრანდიოზული ფესტივალები. მიმდინარეობს კოსტიუმირებული სამასკარადო მსვლელობა ოჩოფეხებით, დრაკონისა და ლომების ცეკვები.



დრაკონის ცეკვა

ახალი წლის მეორე დღიდან, ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში გრძელდება ვიზიტები მოლოცვებით. ძირითადად უმცროსნი უფროსებს ულოცავენ. ამ დღეებში ასევე ტარდება წინაპრებისათვის თაყვანისცემისა და შეწირვის ცერემონია.

2. ფანრების დღესასწაული - პირველი თვის მეთხუთმეტე რიცხვი. ამ დღესასწაულით ახალი წლის ორკვირიანი დღესასწაული მთავრდება. ამ დღეს მთელი ღამე მიმდინარეობს მსვლელობა ანთებული ფანრებით. ფანრები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ფორმით, ასევე მასალით. ამ დღის ტკბილეულობა ბრინჯის ფქვილისაგან მზადდება.



ფანრების დღესასწაული



ტკბილეულობა ბრინჯის ფქვილისაგან

3. ცინგმინგის დღესასწაული - ნათელი. ეს დღესასწაული გვაუწყებს გაზაფხულის ნათელ დღეებს. ის უძველესი დროიდან XX საუ.-ის 50-იან წლებამდე ლუნისოლარული კალენდრით მესამე თვის
4. მესამე დღეს აღინიშნებოდა, ამჟამად კი - გრიგორიანული კალენდრის მიხედვით ხუთ აპრილს. ეს დღესასწაული ეძღვნება წინაპრების ხსოვნასა და სასაფლაოების მოვლას. სუფრა იშლება ბუნებაში, სიმბოლურად უყოფენ წინაპრებს ტრაპეზსა და ღვინოს. ამ დღეს ბუნებაში სეირნობის დღესაც უწოდებენ.
5. ზაფხულის დასაწყისის დღესასწაული და ასევე დრაკონის ნავების ფესტივალი - ლუნისოლარული კალენდრის მეხუთე თვის მეხუთე რიცხვი. ამ დღესასწაულს გააჩნია ორი წყარო: პირველი - ბოროტი

სულელების განდევნა, რომელიც მოიცავდა დაავადებებს, განსაკუთრებით, ბატონებს. მატი ძირითადი სიმბოლოები იყო გომბეშო, გველი, კოლო, რვაფეხა და მორიელი. ამ დღეს ბავშვებს გულზე ჰკიდებდნენ აბრეშუმისაგან დამზადებულ თილისმებს, რომლებშიც გამოკერილი იყო სამკურნალო ან სურნელოვანი ბალახები. მეორე - ერთადერთი დღესასწაული, რომელიც მიუძღვნეს ადამიანის ხსოვნას, დიდ პოეტ ციუ იუენს. ციუ იუენმა თავი დაიხრჩო მდ. სიანგში. მისი გვამის თევზებისაგან გადასარჩენად მეთევზეები ყრიდნენ წყალში ბრინჯს. ამ დღეს ჩინეთში ტარდება ნავებით შეჯიბრი, ამ ნავებს კი დრაკონის ნავებს უწოდებენ. შეჯიბრში უცხოელი სპორტსმენები და ტურისტებიც მონაწილეობენ. ამ დღისათვის ამზადებენ ლერწმის ფოთოლში შეხვეულ, ორთქლზე მოხარშულ ბრინჯს.



ნავების შეჯიბრი



ლერწმის ფოთოლში შეხვეული, ორთქლზე მოხარშული ბრინჯი

სიყვარულის დღესასწაული - ლუნისოლარული კალენდრით მეშვიდე თვის მეშვიდე დღე. ჩინური მითიური ლეგენდის მიხედვით, უბრალო მენახირესა (ნიულანგის) და ფეიქარ ფერიას (ჰენიუს) ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და ორი შვილიც შეეძინათ. როდესაც ცის ქალღმერთმა შეიტყო, ფეიქარი ფერიას დედამიწაზე ყოფნისა და უბრალო მენახიზერე დაქორწინების ამბავი, განრისხდა და ფერიას ცაზე დაბრუნება უბრძანა.

6. მენახირემ ყველაფერი იღონა საყვარელი ცოლის დასაბრუნებლად, მაგრამ ვერაფერს გახდა - ცის ქალღმერთმა თავის თმისსაბნევით ცაზე საზღვარი მოხაზა, რის შედეგადაც გაჩნდა ირმის ნახტომი ალტაირისა და ვეგას ვარსკვლავედებს შორის, ამრიგად მან სამუდამად დააშორა ცოლ-ქმარი. მას შემდეგ ფეიქარი ფერია (ჭენიუ) ტბასთან ჩამომჯდარი ღრუბლებს ქსოვს, მენახირე (ნიულანგი) კი დედამიწიდან შეჰყურებს საყვარელ ცოლს. წელიწადში ერთხელ, სწორედ მეშვიდე თვის მეშვიდე დღეს, კაჩკაჩები ხიდს აკეთებენ დენების ვარსკვლავედისაგან, რომ შეყვარებულმა წყვილმა წელიწადში ერთი დღე ერთად გაატარონ.



ფეიქარი ფერია (ჭენიუ) და მენახირე (ნიულანგი)

7. შუა შემოდგომის დღესასწაული (გაზაფხულის დღესასწაულის შემდეგ ყველაზე დიდი დღესასწაული) - ლუნისოლარული კალენდრით მერვე თვის მეთხუთმეტე დღე, როცა შემოდგომაზე მთვარე ზენიტშია, ამიტომ დასავლეთში ამ დღესასწაულს მთვარის დღესასწაულს უწოდებენ. ამზადებენ მრგვალ ნამცხვრებს ტკბილი გულითა (მთვარის ნამცხვარი) და მრგვალი ფორმის ხილთან ერთად, ღია ცის ქვეშ სწირავენ მთვარეს. მთვარის გადასვლამდე ოჯახი სრული შემადგენლობით ერთად აღნიშნავს დღესასწაულს. მთავარი კერძი არის კიბორჩალა და ქრიზანტემის ღვინო.



მთვარის ნამცხვარი

8. ორი ცხრიანის დღესასწაული - ლუნისოლარული კალენდრით მეცხრე თვის მეცხრე დღე. ცხრა უმაღლესი რიცხვისა და ხანდაზმულობის სიმბოლოა. დღესასწაულს ასევე ეწოდება მოხუცთა ზეიმი.

ნატალია მაისურაძე

„ადამიანი არ უნდა ჯავრობდეს, თუ მას არ გააჩნია მაღალი პოსტი(რანგი), ის უნდა ჯავრობდეს იმაზე რომ არ არის მორალურად ძლიერი“.

კონფუცი (551-479წ.)

ჩინეთი- მსოფლიოში ალბათ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ათასწლეულების მანძილზე ისტორიაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს ეტიკეტი. ძველ ჩინეთში ქცევის ნორმები, უამრავი აკრძალვები, აუცილებელი მაგიური ქმედებები, სასულიერო რიტუალები და ცერემონიალები ნელ-ნელა გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბდა, რომელშიც ცნება „ეთიკა“ „რიტუალი“ და „ეტიკეტი“ დიდად არ განირჩევა.

ეტიკეტის საზოგადოება

დამფუძნებლად სწავლებისა „ლი“ (რიტუალი, ეტიკეტი) ითვლება კონფუცი, თუმცა თვითონ ფილოსოფოსს არ შეუქმნია ახალი რიტუალები, მან აიღო ნიმუშად ძველი ტრადიციები, კონფუციანისტო ძალიან გარკვევით მიუთითებს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. კონფუცი ამბობდა: „ მმართველი უნდა იყოს მმართველად, ქვეშემდომი - ქვეშემდომად, მამა-მამად, შვილი-შვილად სამ ტრაქტატში.“ სისტემატიზირებულია ქცევის წესები, ქცევის ჩვეულება და სხვა დანარჩენი წვრილმანი ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ ყველა მათგანი არ იყო მიღებული, როგორც ადამიანის მიერ დადგენილი, არამედ ეს იყო ზეციური რიგიდობა, აი ამიტომაც ეძლეოდა ეტიკეტს ასეთი მნიშვნელობა. ჩინელები ძალიან თავშეკავებული არიან გრძნობების გამოხატვის მხრივ - ეს არის რეზულტატი კონფუციანური სისტემის ღირებულებების მოქმედების, ყველაფერი რაც დაკავშირებულია ემოციებთან, განცდებთან, ინტერესებისაკენ გადახრასთან გადაიწეოდა უკანა ფლანგზე ვალდებულების კატეგორიასთან მიმართებაში. „კეთილშობილ ქმრად „ ითვლებოდა მხოლოდ ის ვინც შეითვისებდა ადამიანის სიყვარულს და ვალდებულებების შეგრძნებას. ვალდებულება საზოგადოების წინაშე მოითხოვდა დამორჩილებოდა მიღებულ ნორმებს, ვალი ოჯახის მიმართ მოითხოვდა დაევიწყებინა თავისი მოთხოვნილებები და გატაცებები. ამიტომ ნებისმიერ სიტუაციაში ჩინელები უნდა მიყოლოდნენ ქცევის სტერეოტიპებს და ეკონტროლებიათ თავიანთი გრძნობები. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სოციალური წესრიგისა იყო უფროსებისადმი მორჩილება. ნებისმიერი უფროსი -მამა, ძმა , ჩინოვნიკი, ბატონი არის ხელშეუხებელი ავტორიტეტი უმცროსისთვის, ქვეშემდომისთვის. ტყუილუბრალოდ არ

გვახსენებდა კონფუცი, რომ სახელმწიფო არის დიდი ოჯახი და ოჯახი- პატარა სახელმწიფო. თანამედროვე ჩინური ტრადიცია საგრძნობლად განსხვავდება იმ რთული სისტემისგან, რომელიც არსებობდა ტრადიციულ საზოგადოებაში, კონფუციანური მორალი და რიტუალი გადავიდა წარსულში. ქალებმა მიიღეს თანასწორი უფლებები მამაკაცებთან ერთად, ამასთან, შენარჩუნდა ხაზგასმული დამოკიდებულება უფროსებისადმი, ცოდნა და სიყვარული ნაციონალური კულტურისადმი, ისტორიისადმი და ლიტერატურისადმი.

სახელები

ჩინეთში სხვა ევროპულ ქვეყნებთან განსხვავებით ადამიანის სახელში პირველ ადგილზეა გვარი, ხშირად ერთსირთულიანი (ვან ლი) და იშვიათად ორსირთულიანი (სიმა) მეორე ადგილზეა სახელი. დღესდღეობით თანამედროვე ჩინელები განსაკუთრებით ჰონკონგში, ტაივანში იმატებენ ევროპულ სახელებს, ეს ხდება შერეული ქორწინებისას და ახალი რელიგიის მიღებისას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინელი ქალები გათხოვებისას იტოვებენ საკუთარ გვარებს

მიმართვის ფორმები

სახალხო მიმართველობის დადგომის შემდეგ ჩინეთში გავრცელდა მიმართვის ფორმა „მეგობარო“ . ასე მიმართავენ ერთმანეთს პარტიის წევრები, ხოლო საზოგადოებაში კვლავ გავრცელდა მიმართვის ფორმა „ბატონო“ ეს ოფიციალური მიმართვის ფორმა მიღებულია სახელმწიფოს პირველ პირებთანაც, ასევე საზოგადოებაში ფართოდ გამოიყენება ოფიციალური ზრდილობიანი მიმართვის ფორმა, რომელიც შედგება გვარისა და თანამდებობის დასახელებისგან.

მისალმება

საკვების მიღება ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ელემენტი ჩინურ კულტურაში ამიტომ ჩინური მისალმება სიტყვა სიტყვით ითარგმნება ასე: „თქვენ უკვე მიირთვით ბრინჯი ? პასუხია“ კი გმადლობთ! და თქვენ? „ საინტერესოა რომ არსით ეს არის ინგლისური მისალმების ექვივალენტი.: „how are you ? fine thanks“. ტრადიციული თავის დახრა ჩინეთში გვხვდება არც ისე ხშირად, ხანდახან ასე თავს უხრიან ასაკოვან ხალხს, ისიც ყველგან არა. უმეტესობა ჩინელებისა ხელს ართმევენ ერთმანეთს ევროპულად, მაგრამ უფრო თავშეკავებულად, ასევე, ჩვეულებრივი მისალმების ფორმაა მსუბუქი თავის დახრა. გადახვევნა და კოცნა შორეული ნაცნობებისათვის სრულიად დაუშვებელია.

საჩუქრები

საჩუქრები ჩინურ კულტურაში გავრცელებულია ფართოდ. უყვართ ჩუქებაც და საჩუქრის მიღებაც, გასათვალისწინებელია, რომ საჩუქარი უცხოელისგან აუცილებლად დამზადებული უნდა იყოს მჩუქებლის მშობლიურ ქვეყანაში. საქმიანი საჩუქრები უნდა იყოს არაძვირადღირებული, 10- 15 \$. თუ თქვენ ასაჩუქრებთ ერთდროულად რამდენიმე ადამიანს შეეცადეთ, რომ ისინი იყოს თანაბარი ღირებულების. კიდევ მნიშვნელოვანი მომენტი აუცილებლად იქონიეთ ზედმეტი ორი ან სამი საჩუქარი, რომ მზად იყოთ ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. ევროპული ეტიკეტისგან განსხვავებით თუ საჩუქარი შეფუთულია მისი გახსნა მჩუქებლის წინაშე უზრდელობაა და კიდევ

საჩუქარი უნდა გადასცეთ და მიიღოთ ორივე ხელით. ჩინეთში ბედნიერების მომტანი ფერებია- წითელი და ოქროსფერი, თეთრი და შავი ფერი სიმბოლიზირებულია. ასევე, ჩინელებს უყვართ რამდენიმე საჩუქრის ერთაად გაცემა, ჩინელებისთვის საათის ჩუქება არ შეიძლება, რადგან სიტყვა საათი ჩინურად ჟღერს ასე „ დაკრძალვაზე წასვლა“ ყვავილების ჩუქება მიღებულია საავადმყოფოში. მართალია ყველა ტრადიცია იცვლება დროსთან ერთად მაგრამ დღემდეა შემონახული ყვავილების გარკვეული რაოდენობის ჩუქება.

ჩინეთის დიდი კედელი

ჩინეთის დიდი კედელი დედამიწაზე ადამიანის ხელით შექმნილი ნაგებობაა, რომელიც კოსმოსიდან ჩანს. მისი თავდაპირველი სიგრძე 5 000 კმ, სიმაღლე 7-10მ, ხოლო სიგანე 5მ. კედლის მშენებლობა დაიწყო 475 წელს ჩ.ვ. ერამდე, ცინების დინასტიის დამაარსებლის, ცინ შიხუანდის ბრძანებით. მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობდა ათასობით ადამიანი. სამუშაოები მიმდინარეობდა ძალიან რთულ პირობებში, კედელს უნდა გაეგლო ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა. ბევრი ვერ უძლებდა ასეთ რთულ პირობებს და იღუპებოდა. კედლის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე ასეულ წელს გაგრძელდა დასრულა ჩვ.წ. აღ-ით 220 წელს. თუმცა დიდი ჩინეთის კედლის ის ნაწილები რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია ძირითადად აშენებულია 1368-1644 წლებში მინების დინასტიის მმართველობის დროს.



ჩინეთის დიდი კედელი (გამარტ. ჩინ.: 万里长城; ტრად. ჩინ.: 萬里長城; — ვანლი ჩან'ჩენ; ნიშნავს: „10,000 ლის სიგრძის კედელი“) — ჩინური სამხედრო გამაგრება; მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ.წ. მე-3-დან ახ.წ. მე-17 საუკუნებდე, სხვადასხვა დინასტიების მონაწილთა, თურქთა და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდასხმებისგან დასაცავად. ამ პერიოდში რამდენიმე კედელი აშენდა, თუმცა მათ შორის ყველაზე განთქმულია დიდი კედელი აგებული ძვ.წ 220-200 წლებში პირველი იმპერატორი ცინ შიხუანდის მიერ (ის უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა ვიდრე მინის დინასტიის დროს აგებული ამჟამინდელი დიდი კედელი და მისგან თითქმის არაფერი შემორჩა).

მსოფლიოში ყველაზე გრძელი და განსაცვიფრებელი ნაგებობის, ჩინეთის დიდი კედლის გარეგნული სილამაზისა და გრანდიოზულობის მიღმა ბევრი ამოუცნობი საიდუმლოება იმალება. 7 ათას კილომეტრამდე სიგრძის კედელი შანხაის გასასვლელიდან ბოჰაის ზღვამდეა გადაჭიმული.

ისმის კითხვა, რა გახდა ამ დიდი ნაგებობის აშენების მიზეზი? ჩინელები უმიზეზოდ და მარტო სილამაზის გულისთვის არაფერს აშენებდნენ, არც იმისთვის, რომ ვინმე გაეკვირვებინათ და აღეფრთოვანებინათ. ყველაზე გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, როდესაც ჩინეთის დიდი იმპერია ერთი იმპერატორის მმართველობის ქვეშ გაერთიანდა და შიდა ქიშპობას ბოლო მოეღო, სერიოზული ზომების მიღება გახდა საჭირო გარე მტრებისგან თავის დასაცავად.

აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ჩინეთი ბუნებრივად იყო დაცული მთებითა და უდაბნოებით, ერთადერთი ღია სივრცე ჩრდილოეთით რჩებოდა. უზარმაზარი კედლის აშენების იდეა, რომელიც ამ ჩრდილოეთ მხარეს დაიცავდა, პირველად თავში უდიდეს იმპერატორს, შინხუანდის მოუვიდა.

როდესაც კედელს აშენებდნენ, ალბათ არავის მოუვიდოდა აზრად, რომ ეს ნაგებობა ოდესმე ტურისტულ ცენტრად იქცეოდა და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან უამრავ ადამიანს მიიზიდავდა იმის სანახავად, თუ როგორი უზარმაზარი რაღაცაა აშენა ამ უდიდესმა ქვეყანამ.

ამ კედლის შემხედვარე, ნებისმიერი ადამიანი იმასაც მიხვდება, რომ უბრალო მუშახელი ამხელა კონსტრუქციას ვერ ააშენებდა. საჭირო იყო კვალიფიციური მშენებლებისა და არქიტექტორების მოკრება. იმპერატორმა თავიდანვე იცოდა, რომ ისეთი კედელი უნდა აგებულიყო, რომელიც საუკუნეებს თავისუფლად გაუძლებდა.

ჩინელები მაშინაც საკმაოდ ბევრნი იყვნენ და მიზნის სისრულეში მოყვანა არ გასჭირვებიათ. ათასობით ადამიანი სრულიად უანგაროდ შრომობდა მშენებლობაზე და ეს მათთვის დიდი პატივიც კი იყო. ძვ.წ. აღ—ით III საუკუნეში დაწყებული მშენებლობა ახ.წ. აღ—ით XVII საუკუნეში დასრულდა.

ჩინეთს ძალიან ბევრი ემტერებოდა, ამიტომ, სანამ ჩრდილო ნაწილი ჯერ კიდევ ღია იყო, თავდაცვის მიზნით ყოველ სადამოს კოშკის თავზე დიდ კოცონს ანთებდნენ. თუ მოახლოებულ მტერს დაინახავდნენ, კოცონს აქრობდნენ იმის ნიშნად, რომ საბრძოლო მზადება დაწყებულიყო. ალბათ ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სხვა ქვეყნებში პირიქით ხდებოდა, როდესაც მტერს დაინახავდნენ, სწორედ მაშინ ანთებდნენ კოცონს.

რა თქმა უნდა, არსებობდა ადამიანი, რომელმაც ეს ყველაფერი დაგეგმა და სხვების დახმარებით განახორციელა კიდევ. ისმის კითხვა, ვინ იყო ის? სამწუხაროდ, მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თანამედროვე მკვლევრების მტკიცებით, ჩინელები მის ვინაობას შეგნებულად მალავენ და როგორც ყოველთვის, თავიანთი ისტორიის დეტალებს არ ახმაურებენ. საერთოდ, ჩინელებს ბევრი რამის გამოგონებას და შექმნას მიაწერენ, რომელთა ტექნოლოგიას შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ასაიდუმლოებდნენ, თან იმ დონეზე, რომ ამ საიდუმლოებების არგათქმას მათი სიცოცხლეც კი ეწირებოდა.

თანამედროვე მეცნიერებმა ბევრისთვის არც ისე დამაჯერებელი ჰიპოთეზა წარმოადგინეს, რომ ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაში შესაძლოა ადგილობრივების გარდა სხვა ცივილიზაციებიც, მათ შორის უცხოპლანეტელებიც მონაწილეობდნენ. ამ დასკვნის ერთ—ერთი საფუძველი ისიცაა, რომ ჩინეთის დიდი კედელი ერთადერთი ნაგებობაა დედამიწაზე, რომელიც კოსმოსიდანაც ჩანს.

გასული საუკუნის 80–იან წლებში ამერიკელებმა შეძლეს კოსმოსში გაშვებული ხომალდიდან დედამიწისთვის ფოტოების გადაღება, საიდანაც თეთრ ზოლად მოჩანს ჩინეთის დიდი კედელი. კიდევ ერთი საკვირველი ფაქტი ისაა, რომ ის დედამიწის ატლასზე 30–ე პარალელს ემთხვევა.

თუ ჩინეთის დიდ კედელს 30–ე პარალელის მიხედვით გავყვებით და ბოლომდე ჩავალთ, ხეოფსის პირამიდას მივადგებით. ასეთი დამთხვევები ბევრია, მაგრამ მათი ახსნა დღემდე ვერ ხერხდება. ერთი რამ კი ნათელია – უძველესი ცივილიზაციების ერები ბევრ ისეთ სიბრძნეს ფლობდნენ, რომელსაც დღეს მეცნიერები ვერ ხსნიან და არც ასეთი „დამთხვევები“ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ უნებლიე დამთხვევად.

როგორც ვიცით, დედამიწა მზის გარშემო ბრუნვისას ელექტრონულ ტალღებს წარმოშობს. ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ კოსმოსთან პირდაპირი კავშირი დამყარდეს. ხოლო კედელი ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ელექტრონერგის გიგანტური ველი.

არსებობს თეორია, რომ ელექტრომაგნიტური სიგნალი დედამიწიდან კოსმოსში სწორედ ჩინეთის დიდი კედლიდან ადის. და თუ ასეა, ვინ იცის, იქნებ სულაც არ არის უტოპიური იმ მეცნიერების თეორია, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ძველი ჩინელები კოსმოსთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ და ამიტომაცაა კედლის ხაზი ასეთი ზუსტი.

ჩინელი მკვლევრები სხვა ვერსიებსაც ავითარებენ. მათი მტკიცებით, კედლის ქვეშ მრავალი გვირაბია გათხრილი, იქვე მდებარე დალუქული სარდაფები კი არავისთვის იხსნება. ეს ვერსია მას შემდეგ წამოიჭრა, რაც გასული საუკუნის 80–იან წლებში ჩინელმა მკვლევარმა სარდაფში შეღწევა სცადა. დაცვამ იგი დააკავა და განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ მკვლევარმა დარწმუნებით განაცხადა, რომ იქ ძვირფასეულობა ინახება. დალუქული სარდაფები დღემდე ბევრი მკვლევრისა თუ მეცნიერის საოცნებო ადგილად რჩება.



ჩინეთის პირველი ლედი პენ ლიუანი



პენ ლიუანი დაიბადა 1962 წლის 20 ნოემბერს შანგონის პროვინციაში(ჩინეთი).ის შეუერთდა სახალხო განმათავისუფლებელ არმიას 18 წლის ასაკში და კარიერა დაიწყო როგორც ჩვეულებრივმა ჯარისკაცმა(დაულალავი შრომის შედეგად გენერლობამდეც მიაღწია),მაგრამ თავისი ვოკალური მონაცემებიდან გამომდინარე არმიაში ძალიან დააფასეს და საშუალება მისცეს ფრონტის წინა ხაზზე,სიმღერით წარმსდგარიყო და გაემხნეებინა ჯარისკაცები,სინო-ვიეტნამის კონპლიქტის დროს. 1986 წელს პენი მეგობრის სახლში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს (სი ძინპინს) მაშინ იგი სიამენის ვიცე მერად მუშაობდა.პენს თავიდან იგი არ მოეწონა,რადგანაც 10 წელი იყო მათ შორის სხვაობა და თან სი ზედმეტად თავშეკავებული პიროვნება იყო.მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა 1 წლიანი ურთიერთობის და მათი ოჯახების თანხმობის შემდეგ 1987 წლის 1 სექტემბერს მათ გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვნენ.ისინი 30 წელია ერთად არიან,მათ 1 ქალიშვილი ჰყავთ სახელად ქსი მიგზი, რომელიც 1992 წელს დაიბადა და რომლის ზედმეტ სახელია ქსიაუ მუზი.

ჩინეთში პენ ლიუანი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. 2013 წლის მარტში როდესაც პენ ლიუანი ჩინეთის პირველი ლედი გახდა მისი პერსონა აქტიურად განიხილებოდა პრესის ფურცლებზე..ის ჩინეთის პრეზიდენტების მეუღლეებს შორის პირველია, რომელიც საჯაროდ გამოჩნდა. ამასთან პირველი ლედი ერთმანეთს მშვენივრად უთავსებს ქვეყნის მეთაურის მეუღლეობას და შოუ-ბიზნესში მოღვაწეობას. პენმა დიდი როლი შეასრულა სის კარიერულ წინსვლაში მან თავისი კარიერა

დროებით მიატოვა და ადმინისტრაციულ განყოფილებაში გადავიდა და აქტიურად ჩაება პოლიტიკაში,ის არის წევრი ხალხთა პოლიტიკური სათათბიროს ეროვნული კომიტეტის ასევე არის კეთილი ნების ელჩი ტუბერკულოზისა და შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში 2011 წლიდან.ცნობილია რა მისი შეუპოვრობა ის აქტიურადაა ჩართული ბრძოლაში ქალთა უფლებების დასაცავად.ის არის დეკანი ხელოვნების სამხატვრო აკადემიის,მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. ჩინელ ხალხს სჯერა, რომ ის უდიდეს როლს შეასრულებს საზღვარგარეთ ვიზიტების წარმატებით განხორციელებასა და ქვეყნის პოპულარიზაციაში.

2014 წელს ის მიჩნეულია 57-ე ყველაზე ძლიერ ქალად მსოფლიოში. იგი უკვე მეორედ მოხვდა „ფორბსის“ გავლენიანი ქალების სიაში .. პენ ლიუანი – ანგელა მერკელის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ელისაბედ მეორის და ლედი გაგას გვერდით აღმოჩნდა.

პენ ლიუანი არანაკლებ პოპულარულია საკუთარ ქვეყანაშიც, ჩინეთში მას ერის დედასაც კი უწოდებენ. პირველი ლედი არ არის მისი ერთადერთი ტიტული. პენ ლიუანი საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული მომღერალი, მოდის ფუძემდებელი და არმიის გენერალია.

ის ერთადერთი ჩინელი პირველი ლედია, რომელიც "ფორბსის" სიაში მოხვდა. პენ ლიუანი 2015 წლის მონაცემებით მსოფლიოს გავლენიანი ქალების რეიტინგში 68-ე პოზიციაზე იმყოფება.გასულ წელს პენი გაეროს მიერ დაინიშნა იუნესკოს ელჩად ქალთა განათლების საკითხებში.

2017 წლის 6 დეკემბერს ნიუ-იორკის დჟულიარდის ხელოვნების სკოლამ საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა პენ ლიუანს,აშშ-სა და ჩინეთს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

ის არასდროს არის ჩრდილში და უყვარს მედიასთან ურთიერთობა – ამას, როგორც წესი, ჩინეთის პირველი ქალბატონები ყოველთვის გაურბოდნენ.

ჩინეთის პირველი ლედი პენ ლიუანი სისტემატიურად ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს და აქტიურად მონაწილეობს მათში.მუდმივად ატარებს კლასიკურ სამოსს.



ჩინელი ბიზნესმენი ქალები

პლანეტის შემღებულ ქალთა უმრავლესობამ თავისი სიმდიდრე მემკვიდრეობით მიიღო. მსოფლიოს უმდიდრესი ქალების პირველ ოცეულში, მარტო ერთმა- ჩინელმა ქალმა უ იაცძიუნმა- თავისი მილიარდები მთლიანად თავისი ძალებით შეიძინა. მისი დაარსებული დეველოპერული კომპანია Longfor Properties წარმატებით ვითარდება ჩინეთის სამშენებლო ბაზართან ერთად.

Forbes რეიტინგის ყველა ოთხასივე ჩინელი მონაწილე-მილიარდელია.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შენედა, მაგრამ ეკონომიკის პრობლემები არ დატყობია მდიდარი მეწარმე ქალების საქმიანობას. ჩინური Forbes ოთხასი მონაწილის მთლიანი ქონება შეადგენს \$947 მილიარდს, რაც 14%-ით მეტია წინა წლებთან შედარებით. ძირითადად ოთხას მონაწილეს შორის (მათ ეთვლება ოჯახის წევრების მდგომარეობაც)- მილიარდელები არიან, 2015 წელს მილიარდელი იყო 84%. ამჯერად რეიტინგში მოხვდა 68 ახალი მონაწილე. ასევე ამ სიაშია 27 ქალი, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდაა 35 წლის - იან ხუეიანი (ფლობს \$7 მილიარდს, №15 რეიტინგში), რომელიც ამავე დროს ითვლება ყველაზე მდიდრად ბიზნესმენ ქალებს შორის, ყველაზე უფროსი მილიარდერი ქალი 75 წლისაა- ჩან ლაივა (ფლობს \$5,8 მილიარდს, №24 რეიტინგში), ის არის დეველოპერული პროექტების ყველაზე მსხვილი ინვესტორი.

სად ცხოვრობენ 100 ყველაზე მდიდარი ჩინელი ადამიანი?

100 უმდიდრესი ჩინელიდან პეკინში ცხოვრობს (18 ადამიანი), შანხაიში(12 ადამიანი) და ჰონგ კონგიდან ოდნავ მოშორებულ ქალაქებში, მათ შორის შენჩჟენში(11 ადამიანი) და გუანჯოუში(8 ადამიანი). ყველაზე მეტი მილიარდელი ცხოვრობს ჩინეთის სანაპირო რაიონებში.

როგორ დაიკავეს ჩინელმა ქალებმა წამყვანი როლი ბიზნესში?

მსოფლიოში უდიდესი ვენჩურული ფონდი, რომელიც ქალებმა შექმნეს, მდებარეობს არა სილიკონის ველზე, არა აშშ-ში, არამედ პეკინში. მისი ხელმძღვანელი ადრე ბიბლიოთეკაში მუშაობდა და იმდენად ჩრდილშია ახლა მოქცეული, რომ თავის მშობლიურ ჩინეთში დღესაც ამოუცნობ ადამიანად რჩება. . ამ წლის ზაფხულამდე ჩენ სიაოხუნი მოქცეული, რომ იძლეოდა საჯარო ინტერვიუებსაც კი არ იძლეოდა.

ჩენი 46 წლისაა. ის შედის იმ არაჩვეულებრივ ქალთა ინვესტორების ჯგუფში, რომლებმაც დაიკავეს მაღალი ადგილები ჩინეთის მწარმოებელთა ბიზნესში და ხელი შეუწყვეს ქვეყანაში ტექნოლოგიური ბუმის განვითარებას. ეს ინვესტორები მხარს უჭერენ უამრავ წარმატებულ ჩინურ სტარტაპებს. მათი გავლენა ყოველდღიურად იზრდება, ისინი იზიდავენ უამრავ თანხებს, ასაქმებენ მრავალ ადამიანს, მ.შ. ქალებს და ზრდიან ახალ თაობას ახალი ტექნოლოგიების კომპანიებისათვის.

ჩინეთში 17% ინვესტორ პარტნიორებს შორის არიან ქალები და 80% კომპანიებში მუშაობს ერთი ქალი მაინც.

უფრო მეტიც ჩენის მსგავსად, მრავალი ჩინელი ქალი ხელმძღვანელობს საკუთარ კომპანიებს. მაგალითად, კეტი სუნი, რომელმაც დაარსა შანხაის კომპანია Capital Today Group, მართავს კომპანიას \$1,2 მილიარდი კაპიტალით, მან მონაწილეობა მიიღო JD.com. ადრეულ ინვესტიციაში. ასევე, ანა ფენი,

ZhenFund-ის გენერალური დირექტორი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნეს აგენტია ჩინეთში. რუბი ლუ, რომელიც ადრე მუშაობდა ჩენტან, მის კომპანიაში H capital და დაეხმარა DCM Ventures ბიზნესის გახსნაში ჩინეთში.



ამ ქალბატონების წარმატების მაგალითზე ჩინეთში ტექნოლოგიების სფეროში სულ უფრო მეტი ქალი ჩნდება . ჩინეთის სახელმწიფოს სტატისტიკური სამსახურის შეფასებით ქვეყანაში ახლად შექმნილი ინტერნეტ კომპანიების 55%- ქალებმა დაარსეს და ისინი შეადგენენ ჩინეთის მეწარმეების 25% შედარებისათვის, აშშ-ში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 22%-ია.

ჩინეთის ახალი საოცრებანი!

შანხაის კოშკი (Shanghai Tower)

ჩინეთში 121 სართულიანი შანხაის კოშკის მშენებლობა, რომელიც 4.2 მლრდ დოლარი დაჯდა და 1993 წელს დაიწყო ამ წლის დასაწყისში დასრულდა და ახლა ფინალური სამუშაოები მიმდინარეობს. დღესდღეობით ეს მსოფლიოში სიდიდით მეორე შენობაა, თუმცა ოფიციალური გახსნა ჯერ არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მილიონობით ადამიანმა უკვე იხილა ხედი, რომელიც კოშკის სიმაღლეებიდან იშლება თავბრუდამხვევი სურათებისა და ვიდეოს საშუალებით, რომელიც ორმა გაბედულმა რუსმა გადაიღო კოშკის კენწეროზე არაკანონიერად შეჭრის შედეგად. მრავალფუნქციური ცათამბრჯენი ცხრა განსხვავებული ვერტიკალური ზონისგან შედგება და შუშის ფენებითაა გარემოცული ამინდის ფაქტორისგან თავდასაცავად და ბუნებრივი ვენტილაციისთვის.



ჩუნან ცენტრი სუჯოუში (Suzhou Zhongnan Center)



სულ ახლახან ჩინეთში, სუჯოუში დაიწყო 730 მეტრიანი 138 სართულიანი შენობის მშენებლობა და მას წინ ხანგრძლივი, ძალიან ხანგრძლივი გზა ელოდება. მაგრამ, თუ ეს 4.5 მლრდ დოლარად ღირებული პროექტი გრაფიკის თანახმად 2020 წელს დასრულდება, ის იქნებაჩინეთში სიმაღლით პირველი, ხოლო მსოფლიოში მესამე შენობა. კოშკი სასტუმროთი, ოფისებით და საცხოვრებელი ფართებით განთავსებული იქნება თითქმის დასრულებულ 69 სართულიანი ცათამბრჯენის "აღმოსავლეთის კარიბჭის" მახლობლად, რომელიც, სხვათაშორის, ფორმით შარვალს ჰგავს.

მთის კურორტი დავანგი



მოგებურდათ სასტუმროები, რომლებიც ტბის თავზე კლდეების შორის არ არის მოთავსებული? მაშინ ჩინეთის მთის კურორტი დავანგი 2016 წლისთვის გელოდებათ. 170 მეტრის სიგრძეზე გადაჭიმული კურორტი მოიცავს "გრთობის ყინულოვან სამყაროს", დახურულ სათხილამურო კომპლექსს, აკვაპარკს და დაკიდულ ბალებს.

სასტუმრო "Songjiang"



როგორც ჩანს, კლდეებსა და ტბებს შორის განლაგებული ეს სასტუმრო ჩინეთში მაღალი კლასის დასვენების კიდევ ერთი ვარიანტია. მთის კურორტ დავანგის მსგავსად, სასტუმრო "Songjiang" კარიერში მდებარეობს, თანაც შანხაის მახლობლად მდებარე ეს სასტუმრო კარიერის კედლებზე შენდება და მის კარკასზე ჩანჩქერი ჩამოვა. თუ ზედა სართულების ხედი არ მოგეწონებათ, სასტუმრო გთავაზობთ ქვედა სართულებზე განთავსებას, რომელიც წყლის ქვეშ მდებარეობს.

ჰონგ-კონგელი მდიდრები

2016 წელს ჰონგ-კონგში 60 000 მულტიმილიონერი ცხოვრობდა

გასულ წელს ჰონგ-კონგში დაახლოებით 60 000 მულტიმილიონერი იყო, რომელთა აქტივები შეფასებულია 10 მილიონ ჰონგ-კონგურ დოლარად., რაც აშშ დოლარებში შეადგენს 1 მილიონ 286 ათასს. ასეთ ინფორმაციას აქვეყნებს "სითიბანკი".

2015 წელთან შედარებით, მილიონერთა რიცხვი, რომელთა რაოდენობაც 1 მილიონ ჰონგ-კონგურ დოლარს შეადგენს გაიზარდა 14%-ით, რაც ისტორიულ რეკორდად ითვლება.

"სითიბანკის" სტატისტიკის მიხედვით, მულტიმილიონერების 47% დასაქმებულია ან საკუთარი ბიზნესი აქვს. მათი საშუალო ხელფასი 175 ჰონგ-კონგური დოლარია, რაც 11-ჯერ უფრო მაღალია,

ვიდრე ჩვეულებრივი ჰონგ-კონგის მცხოვრების ყოველთვიური შემოსავალი. დაახლოებით 5 ათასი მილიონერი-დიასახლისია, 1200-სტუდენტი.

ანგარიშის მიხედვით, ჰონგ-კონგის მდიდრების საშუალო ასაკი 58 წელია. ქორწინებაშია მულტიმილიონერების 80%. მდიდრებში უცოლოთა რიცხვი უფრო დაბალია, ვიდრე გაუთხოვრების რაოდენობა.

როგორც თვით მულტიმილიონერები აღნიშნავენ, მათ საცხოვრებლად ჰონგ-კონგი აირჩიეს მაღალი სამედიცინო მომსახურების, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოსა და სოციალური კეთილდღეობის გამო. უკმაყოფილება ძირითადად გამოწვეულია განათლების სისტემაში, საპენსიო და საცხოვრებელი პირობების არსებული მდგომარეობით.

კვლევა ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვების რეჟიმში 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლამდე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3 770 ადამიანი ჰონგ-კონგიდან.

ჩინური რესტორნები მტკვრის ნაპირებზე



წარმოუდგენელია თანამედროვე, დიდი ქალაქი ჩინური რესტორნების გარეშე. აჭრელებული იეროგლიფები, წითლად გაჩახჩახებული ლანტერნები და გველემპის კუდით გადმოკიდული აბრები უმაღლეს დინამიური ქალაქის ასოციაციას იწვევს. ჩინელებმა ჩვენამდეც მოაღწიეს.

ბოლო დროს თბილისში ჩინური რესტორნები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მათი სტუმრები უცხოელები, ქართველები და საერთოდ, პოპულარული ადამიანები არიან. კლიენტებს აქ ეგზოტიკური კერძები და უჩვეულო გარემო იზიდავთ.

რესტორნების ძირითადი მენიუ უცვლელია, თუმცა ყველა რესტორანს კერძების მომზადების მისეული წესი აქვს. უცვლელია ინტერიერის ზოგიერთი დეტალიც – ეს ტრადიციული, წითელი ჩინური ფანარია. ჩვეულებრივ, ყველგან ჟღერს შერეული მუსიკა – როგორც ჩინური, ისე ევროპული ჰანგები.

ამასთან, ჩინური სამზარეულო ცნობილია თავისი სიმსუბუქით, მრავალფეროვნებითა და ჯანსაღი საკვებით.

ჩინური რესტორნები ძირითადად ქალაქის ცენტრში მდებარეობენ. დახვეწილი ინტერიერი ჩინური ელემენტებით, თანამედროვე სუფრის ინვენტარი, ყურადღებიანი მომსახურება, მყუდრო გარემო - საუკეთესო ადგილია საქმიანი და კორპორატიული შეხვედრებისთვის, აგრეთვე დასასვენებლად და მრავალფეროვანი ჩინური სამზარეულოს დასაგემოვნებლად.

სასმელები: ჩინურ რესტორნებში, სასმელები ქართული და ევროპული გამაგრილებელი სასმელები, ასევე ოთხი სახეობის ჩაი, ჩინური არაყი: მო-თაი, იუ ლიან ვეი... ჩინურ ღვინოს, რომელიც ქართველებისთვის არცთუ სასიამოვნო დასალევია, ტრადიციული, მრავალფეროვანი ქართული ღვინო ცვლის. აქ სამკურნალო არაყსაც ამზადებენ, რომელშიც ჟენშენი და კენკრა ურევია.

ჩინური ჩაი ისმევა მისაყოლებელთან ერთად- თხილი, ჩირი , ტკბილეული , კენკრა. ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა ,სადაც ამუშაებდნენ და სვამდნენ ჩაის, ეს სასმელი ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის. ჩაის დამუშავება დაიწყო ცინის და ხანის დინასტიის მმართველობის დროს.

ჩინურ ჩაის ხშირად ყოფენ სხვადასხვა კატეგორიებად- მცენარის ინგრედიენტი, რეგიონი , დამზადების წესი. ცნობილია მწვანე, თეთრი, შავი დაპრესილი და წითელი ჩაი. უდიდესი ჩაის პლანტაციები მდებარეობს ჰეილუნციაში, ცზანანეში, ნინზოში, და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ცნობილი ჩაი- ლუნცზინ, ბი ლო ჩუნ, ხუანშან მაოფენ, პუერ. ჩინეთი- მწვანე ჩაის უდიდესი ექსპორტიორია.

ჩინური სამზარეულო

ჩინური სამზარეულო 4000 წელს ითვლის. ჩინეთში ყველა სფერო დამოკიდებულია უძველეს ჩინურ ფილოსოფიაზე, აქედან გამომდინარე საკვების მომზადება ერთ-ერთ ფილოსოფიურ საგნად ითვლებოდა. უძველეს წყაროებში ნახსენებია ხუთი გემოს რეცეპტორი- მწარე, ტკბილი, მჟავე , მარილიანი და ცხარე- რომლებსაც შეუძლიათ დაანგრეონ გემოს რეცეპტორები თუ მათ მიიღებ პირველი სახით, დანამატების გარეშე, რადგან ნებისმიერი გემო შეიძლება დაიკარგოს. ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ჩინელი მზარეულები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი გემოს კომბინაცია, რომელიც შეითავსებდა ისეთ კომპონენტებს, რაც არ დაანგრევდა რეცეპტორებს. ჩინელი მზარეულები ასევე ცდილობენ იპოვონ საწინააღმდეგო გარემონია კულინარულ შედეგებში ,სადაც ერთმანეთს შეეთავსება ნაზი და ცხარე, ტკბილი და მჟავე, ცხელი და ცივი, ხრამუნა და რბილი. არჩევენ პროდუქტების ფერთა გამას. ერთ-ერთი ჩინური გამოთქმა გვიდასტურებს , რომ საკვები არა მარტო გემრიელი და მარგებელი უნდა იყოს,არამედ მკურნალიც. ამას გვიდასტურებს ის ,რომ ძველ ჩინეთში ექიმის და მზარეულის პროფესია შეთავსებული იყო. დღესაც, ჩინელები მანამ მიიღებენ მედიკამენტებს, პირველ რიგში მიმართავენ ბუნებრივ რესურსებს და სპეციალურ დიეტებს, რადგან დაბალანსებული კვება აღმოფხვრის ყველანაირ დაავადებას. პროდუქტების უმრავლესობა არის ძირითადი ინგრედიენტი უამრავ კერძში და გამოიყენება პროფილაქტიკურ სამკურნალო თვისებებში. ესენია: ხახვი, ჯანჯაფინი, ნიორი , ზღვის პროდუქტები და სხვა ეგზოტიკური დანამატები, როგორცაა გამხმარი ლილის კვირტი და ჩინური სოკო. ასევე ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა სოიოს სოუსები, რომლის გარეშე არცერთი კერძი არ მზადდება. ეს პროდუქტი შეიცავს ბევრ ვიტამინებს და

მიკროელემენტებს- ვიტამინი B, თევზის ქონი, რკინა,მაგნ, სპილენძი, ფოსფორი და სხვა. ამავე დროს, ჩინელი მზარეულები საერთოდ არ გამოიყენებენ მარილს,რადგან სოიოს სოუსი ისედაც მარილიანია, ამიტომ მარილის გამოყენება იქნებოდა ზედმეტი. მაგრამ მთავარი საიდუმლო ჩინურ სამზარეულოში არის მომზადების მეთოდი. ჩინელი მზარეულები იყენებენ მომზადების 20 სახეობას. კონფუცი ამბობდა : “ ნუ შეჭამთ ნურაფერს,რაც გადახარშულია ან არ არის მოხალული,რაც დაუდევრად არის დაჭრილი ან აკლია სუნელები”.

განათლების სისტემა- ჩინეთში



ეკონომიკური რეფორმის პერიოდში, 1983 წელს დენ სიაოფინმა ჩინეთის განათლების სისტემას "სამი მიმართულება" შესთავაზა - "განათლება ორიენტირებული უნდა იყოს მოდერნიზაციაზე, მსოფლიოზე და მომავალზე". იმავე წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახელმწიფო საბჭომ ჩინეთის განათლების რეფორმისა და განვითარების გეგმა გამოსცა, სადაც ხაზი გაესვა განათლების შემდეგნაირ მიდგომას: "ერის სიძლიერე მდგომარეობს მის განათლებაში, ძლიერი განათლების სისტემა კი - პედაგოგების პროფესიონალიზმში".

ჩინეთის განათლების სისტემა იყენებს 6-3-3-3 / 4 მოდელს (6 წლიანი დაწყებითი სკოლა, 3 წლიანი დაბალი საფეხურის საშუალო სკოლა, 3 წლიანი მაღალი საფეხურის საშუალო სკოლა / პროფესიული სკოლა და 2 ან 3 წლიანი კოლეჯი ან 4 წლიანი უნივერსიტეტი). 9 წლიანი სწავლების (6 წლიანი დაწყებითი სკოლა და 3 წლიანი საშუალო სკოლა) დასწრება განათლების სამართლის გათვალისწინებით ყველა ბავშვისათვის სავალდებულოა (1986, 2006 წ.). სავალდებულო განათლების ეტაპზე, მოსწავლეები ძირითადად საცხოვრებელი რეგისტრაციის სისტემით გათვალისწინებულ

სკოლებში შედიან. დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები დაბალი საფეხურის საშუალო სკოლაში სწავლობენ. რის დასრულების შემდეგაც (უთანაბრდება საქართველოში მე-9 კლასს) მოსწავლეები აბარებენ მაღალი საფეხურის საშუალო სკოლის გამოცდებს (中考 Zhongkao), რაც შემდგომში უმაღლეს სასწავლებლებში შეზღუდული ადგილების მოპოვების ერთადერთი საშუალებაა. ნიშანდობლივია, რომ 2017 წელს, 9.4 მილიონმა სტუდენტმა გაიარა უმაღლესში მისაღები გამოცდები (高考 gaokao).

მკაფიოა, რომ ჩინეთში, ისევე, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, (თუნდაც საქართველოში), სწავლულებსა და პედაგოგებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ ერის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. მასწავლებლის დღე ჩინეთში ყოველწლიურად 10 სექტემბერს აღინიშნება. დღეს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში არსებობს მასწავლებელთა პროფესიული დონის გაუმჯობესებისა და განვითარების სისტემა. სისტემის შემუშავების მეთოდოლოგიური მიდგომები პედაგოგიური ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და პროფესულ ზრდას ითვალისწინებს. არსებობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც პედაგოგიურ პერსონალთან მიმართებით სხვადასხვა დონისძიებებს ატარებს. პროფესიული დონის ასამაღლებლად ტარდება მრავალი სხვადასხვა დონის ტრენინგი. პედაგოგებს ეძლევათ საშუალება დაესწრონ გამოცდილი კოლეგების გაკვეთილებს. მასწავლებლად სამსახურში მიღების შემდეგ, სწრაფვა პროფესიული დონის ამაღლებისა და განვითარებისკენ გრძელდება და ასე ვთქვათ უწყვეტი პროცესია მთელი პედაგოგიური კარიერის მანძილზე. იქმნება პედაგოგთა ჯგუფები, რომლებიც გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობის ქვეშ ერთად მუშაობენ გაკვეთილებისა თუ სასკოლო დონისძიებების დაგეგმვაზე და განუწყველივ მიიღწვიან საკუთარი პროფესიული დონის სრულყოფასა და კვალიფიცირებული კადრების ღირებული კორპუსის ჩამოყალიბებაზე. პედაგოგთა კარიერული წინსვლა ჩინეთში კონკურენციის საფუძველზე ხდება, რაც დირექტორებსა და პედაგოგებს უკეთესი შედეგის მისაღებად მუყაითი შრომისკენ უბიძგებს. მაღალკვალიფიცირ დირექტორებსა და პედაგოგებს დაწინაურებისა და დაჯილდოვების მეტი შანსები აქვთ. მათთვის, ვინც კარგად არ ასრულებს თავის მოვალეობას, კარიერული პროგრესის შესაძლებლობები შეზღუდულია. გარდა ამისა, შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების მიღება გულისხმობს, რომ დაბალი დონის მასწავლებლები არა მარტო იმიჯს კარგავენ, მათი მიღწევები ანაზღაურებაზეც აისახება. ხშირად, სტუდენტის გამოცდის შედეგები ყველაზე კრიტიკული მაჩვენებელია როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მიღწევების გამოსავლენად. მასწავლებლები და მოსწავლეები ძალიან ბევრს მუშაობენ ტესტის შედეგების გასაუმჯობესებლად.

მაშასადამე ჩინეთის განათლების სისტემა ფოკუსირებულია გამოცდებზე, როგორც სკოლებისა და პედაგოგების წარმატების ერთადერთ მტკიცებულებაზე. თუმცა ჩინეთის საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი "დაზუპირების (დაზუთხვის)" მეთოდი, არსებული მკაცრი მოთხოვნები და ტესტირებებზე ორიენტირებული სისტემა სტუდენტებს შესაძლებლობას ართმევს განავითარონ მათში არსებული უნიკალური ინდივიდუალიზმი. ბოლო დროს ჩატარებული კვლევების საფუძველზე კი ყველაზე

მაღალანაზღაურებადი სამსახურები სწორედ ისინია, რომლებიც სოციალური უნარ-ჩვევების მაღალ ხარისხს მოითხოვს.

ტესტირებაზე აქცენტის გაკეთების შედეგად, ჩინელი სტუდენტები ტესტების შედეგებით მსოფლიოში საუკეთესო არიან. მაგალითად, OECD-ის (ეკონომიკის კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაცია) მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაში, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება, ჩინელმა სტუდენტებმა 2012 წლის საუკეთესო შედეგები მიიღეს მათემატიკაში, მეცნიერებასა და კითხვაში. ამავე შედეგებს მიაღწიეს 2015 წელსაც. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება გამახვილებულია სტუდენტის გამოცდის შედეგებზე, რაც სტუდენტისგან მოითხოვს ინფორმაციის დამახსოვრებასა და გადმოცემას, შედეგად სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების ნაკლებობა აქვთ. ეს საკითხი ჩინეთის მთავრობისთვის შემაშფოთებელ გარემოებას წარმოადგენს, რადგან იგი მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების საფუძველზე მდგრადი და წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ჩინეთის საშუალო და გრძელვადიანი განათლების რეფორმისა და განვითარების ეროვნული გეგმის (2010-2020 წწ.) ფარგლებში უფრო მეტი რადიკალური საგანმანათლებლო რეფორმა გატარდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ჩინეთში მოქმედებს უფასო ცხრა წლიანი სავალდებულო განათლება. დაწყებით სკოლაში შესვლამდე, მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდა საბავშვო ბაღებსა და სხვა შესაბამის სასწავლებლებში. ცხრა წლიან სავალდებულო განათლებას თან მოსდევს დაბალი და მაღალი საფეხურის საშუალო განათლება და საშუალო პროფესიული განათლება. ასევე უმაღლესი განათლება, რომელიც მოიცავს უმაღლეს სასწავლებლებს და გასცემს უმაღლესი განათლების შესაბამის დიპლომს. ასევე რა თქმა უნდა არსებობს უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურები.

2015 წელს სახელმწიფო ხარჯმა განათლებაზე შეადგინა 2,223623 ტრლნ იუენი, რაც ქვეყნის მშპ-ს 4,28% უდრის.

დღეს, განათლების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიხედვით ჩინეთის მთლიანი მოსახელობის 99.7 პროცენტი ეზიარება საყოველთაო ცხრა წლიან სავალდებულო განათლებას. მთლიანობაში "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავალდებულო განათლების კანონი" აყალიბებს.

მეტად განვითარდა უმაღლესი განათლების სექტორიც. ჩინეთი მიიღწვის უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. 2014 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით აბიტურიენტთა 37.5 პროცენტი ჩაირიცხა უმაღლესი განათლების 2,529 სასწავლებელში, რაც 35.6 მილიონ ადამიანს შეადგენდა. ამ სასწავლებლებიდან 1,202 უნივერსიტეტი ან კოლეჯი იყო, დანარჩენი 1,327 პროფესიულ ტექნიკურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. 2015 წლის ივნისში, 9.42 მილიონმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა უმაღლესი განათლების ეროვნულ მისაღებ გამოცდებში (高考 gaokao). ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების მიხედვით 2016 წლის იანვარში ჩინეთში მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე გაცილებით მეტი სტუდენტი ეზიარებოდა უმაღლეს განათლებას.

ჩინეთის ყველაზე "სტუდენტურ" ქალაქებად შეიძლება დასახელდეს: პეკინი, შანხაი, სიანი, ნანძინი და უხანი. მხოლოდ პეკინში დღეს 56 უმაღლესი სასწავლებელი მოქმედებს, სადაც ბაკალავრის ხარისხის მიღებაა შესაძლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ პეკინის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე პრესტიჟულია პეკინის უნივერსიტეტი და "ცინხუას" უნივერსიტეტი. მრავალი აბიტურიენტი ზუსტად ამ ორ სასწავლებელს ანიჭებს პრიორიტეტს.

აღსანიშნავია, რომ დღეს ჩინეთში აქტიურად ვითარდება საგანმანათლებლო ბაზარი. დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხო ენების კურსები, კომპიუტერული კურსები, სხვადასხვა პროფესიონალური დისციპლინების შემსწავლელი კურსები, ასევე მათთან დაკავშირებული გამოცდები. განათლების მიღება - როგორც უწყვეტი პროცესი მეტად პოპულარულია თანამედროვე მოსახლეობას შორის. ისინიც კი, ვინც მეტად დატვირთული გრაფიკით მუშაობენ, ცდილობენ თავისუფალი დრო

სხვადასხვა კურსებზე სასწავლებლად გამოიყენონ კვალიფიკაციის ამაღლების და სხვადასხვა სახის ტრენინგის მიღების მიზნით.

ჩინეთში არასავალდებულო (თავისუფალი) განათლება ფასიანია, თუმცა სტუდენტებისთვის რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან, შემუშავებულია რამოდენიმე სახის საშელავათო სქემა. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სტიპენდიებით, გაიცემა სპეციალური დოტაციები და სუბსიდიები სახელმწიფო ხაზინიდან, მათ ეძლევათ უფლება შეათავსონ სამუშაო სწავლასთან. ამ საშელავათო კატეგორიების გათვალისწინებით, სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად გაათავისუფლოს ასეთი სტუდენტები სწავლის გადასახადისგან ან მათ შესთავაზოს სტუდენტური კრედიტი.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებთან ერთად ვითარდება კერძო სასწავლებლებიც. ისინი მოიცავენ განათლების ყველა საფეხურს: საბავშვო ბაღის, დაწყებითი და საშუალო სკოლის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩათვლით. აქედან გამომდინარე სასწავლო დაწესებულებების არჩევანი უფრო მრავალფეროვანი გახდა, რაც საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს ქვეყნის მრავალი მოსახლის მოთხოვნილება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩინეთის განათლების სისტემა სხვა ქვეყნების მიღწევებისა და აღმოსავლეთის კულტურის გავრცელების ხარჯზეც ვითარდება. ბოლო წლების განმავლობაში განათლების სფეროში ჩინეთის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა კიდევ უფრო აქტიურდება. ეს განსაკუთრებით ვლინდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მომრავლებით. ჩინეთიდან ყოველწლიურად ყველაზე მეტი სტუდენტი მიემგზავრება საზღვარგარეთ სასწავლებლად. 1979 წლიდან 100-ზე მეტ ქვეყანაში განათლება 2 მილიონზე მეტმა ჩინელმა სტუდენტმა მიიღო. 1978 წლიდან, როდესაც ჩინეთმა რეფორმისა და "ღია კარის პოლიტიკის" ინიციატივა შეიმუშავა, განათლების სექტორში საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობამ ახალ ეტაპზე გადაინაცვლა, რაც საზღვარგარეთ სწავლის ჯანსაღ გარემოს, ჩინეთში სასწავლებლად ჩამოსულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მომატებას, და ქვეყნებს შორის აკადემიური კომუნიკაციების გაფართოვებას გულისხმობდა. საერთაშორისო აკადემიურმა თანამშრომლობამ ბენეფიციალური შედეგები გამოიღო

და ხელი შეუწყო როგორც ჩინეთში განათლების რეფორმასა და განვითარებას, ასევე ჩინეთსა და სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და მეგობრობის გაღრმავებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ჩინეთმა რეფორმებისა და "ღია კარის პოლიტიკა" შეიმუშავა, ჩინეთსა და მრავალ სხვა ქვეყანას შორის არსებული მეგობრული კავშირი კიდევ უფრო გამყარდა, საგანმანათლებლო გაცვლისა და მეგობრობის მასშტაბები კი დღითიდღე ფართოვდება.

ჩინეთის ეკონომიკა ვითარდება, ქვეყანა უფრო გახსნილია მსოფლიოსთვის, და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მოიცავს ე.წ. "ჩინური ენის ზუმი". დღეს მსოფლიოში 50 მილიონზე მეტი ადამიანი შეისწავლის ჩინურ ენას.

სოფიო ბალიაშვილი

მუსიკა ჩინეთში

მუსიკა თითოეული ერისა და მათი კულტურის განუყოფელი ნაწილია. მუსიკის ისტორიის საწყისად, შეგვიძლია დროს ის მომენტი ჩავთვალოთ, როდესაც ადამიანმა პირველი საკრავი შექმნა. მუსიკალური ისტორია კი ჩინეთში ცინის ეპოქიდან იღებს სათავეს, ამ დროისთვის ცნობილი იყო ოცამდე სახეობა, თუმცა მუსიკალური ამალეების პერიოდად ჭოუს დინასტიის პერიოდი ითვლება. დღეს შემორჩენილი საკრავები სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება,

ჩინური საკრავების მრავალფეროვნება გოცებას იწვევს თითოეულ ადამიანში. ჩინეთის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იმდენად ბევრი ინსტრუმენტი შეიქმნა, რომ საჭირო გახდა მათი დაჯგუფება. დღეისათვის არსებული სისტემის მიხედვით არსებობს 600 გასწავლებული სახეობის უნიკალური ინსტრუმენტი, რომელიც 4 კატეგორიად იყოფა: ჩასაბერი, ხემიანი, სიმიანი და დასარტყამი.

ყველა ნაციას ჩინეთი საკუთარი ეროვნული დასარტყამი ინსტრუმენტი გააჩნია, ასეთია უილურების მცირე დოლი, მანჯურიული და პაის ხალხის პაიძიაო(8 კუთხიანი დოლი), სპილოს ძვლისგან დამზადებული ტაის ხალხის დოლი, ასევე ტიბეტური და კორეული დასარტყამი ინსტრუმენტები.

საინტერესოა საკრავი ინცინი, ეს არის სიმებიანი დასარტყამი საკრავი. სადაც დასაკრავად პატარა ჩაქუჩები გამოიყენება. ის ჩინეთში, ალბათ, აბრეშუმის გზის მეშვეობით შევიდა, საკრავი ხისგან არის ის დამზადებული და ჩარჩოს პეპლის ფორმა აქვს, ბგერა კი სუფთა და სახალისო, მას ძირითადად დღესასწაულების დროს იყენებდნენ. პოპულარული იყო ზურნა, რომელიც ჩინეთში არაბეთიდან შევიდა. აქ გავრცელდა ფლეიტაც, მის გასაკეთებლად იყენებდნენ ბამბუკს. ამგვარ ინსტრუმენტს 6 ტონის გასარჩევი ნახვრეტი ჰქონდა. მას ჩინელები ჰენჩიუს უწოდებდნენ . ჩასაბერ ინსტრუმენტებს იყენებდნენ მასშტაბური ცერემონიების დროს, ყველაზე ცნობილი კომპოზიცია იყო "ფენიქსი, რომელსაც 1000 მორჩილი ჩიტი ჰყავდა."



ჩინური მუსიკალური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება

ჩინელები საოცრად მუსიკალური ერია. მათი სალაპარაკო ჩინური 4 ტონისგან შედგება და თუკი მოგისმენიათ თითოეული სიტყვა უნიკალურია საკუთარი ჟღერადობითა და ალიტერაციით. ჩინელებისთვის მუსიკა მკაცრად განსაზღვრულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომლის დარღვევა არ შეიძლება და მას კანონივით იცავენ. ძველი ჩინეთის მუსიკალურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი საკრავები. სიმებიანი ინსტრუმენტები გახლავთ ბანჰუ და რენი-

ჰორიზონტალური მრავალსიმებიანი ინსტრუმენტები. ასევე ვერტიკალური საკრავი ცისანცინი, რომელიც ჩინეთში დახვეწილ ინსტრუმენტად ითვლებოდა, ის იყო სილამაზისა და ჰარმონიის სიმბოლო პოეზიაში. შემდეგ სიმებიანი საკრავებს წარმოადგენენ: იანცინი, არხუ (ორსიმებიანი) და სიხუ (ოთხსიმებიანი) ინსტრუმენტი, რომელიც ჩინური ხალხური მუსიკის შემადგენელი ინსტრუმენტებია და საკამოდ პოპულარულია ფოლკლორულ მუსიკაში. ჩინურ მუსიკაში არსებობდა ჩასაბერი ინსტრუმენტების სხვადასხვა სახე- ფლეიტა, საყვირი, ჰორნი- მუსიკალურ საკრავებში მდიდარი და მრავალფეროვანი დასარტყამი ინსტრუმენტები. ჩინური მუსიკისათვის დამახასიათებელია მაღალი და და მკვეთრი ჟღერადობა, ამიტომ განსაკუთრებული ოსტატობა სჭირდებოდა წკრიალა დასარტყამი ინსტრუმენტების შექმნას. ყველაზე ძველი საკრავი გალხდათ ცინი, ბიანცინი და გონგი- რომლებიც იყვნენ არა მხოლოდ სოლო ინსტრუმენტები, არამედ მათ იყენებდნენ ანსამბლშიც მელოდიის დუბლირებისთვის, რათა მისთვის ემოციური ფონი მიენიჭებინათ.



„ზეცაში არის სამოთხე და დედამიწაზე არის სუჩჰოუ და ხანგჰოუ“.

上有天堂，下有苏杭。

"Be born in Suzhou, live in Hangzhou, eat in Guangzhou, die in Liuzhou."

生在苏州，活在杭州，吃在广州，死在柳州；

მოგესალმებათ ჩინეთი Hello China 你好中国

წარმატების პირველი ნაბიჯები დიდი ჩინეთიდან!

ჩვენ ყველას გვიყვარს ხანგჰოუ და არ აქვს მნიშვნელობა საიდან ვართ ჩვენ.

„ ეს არის ყველაზე შესანიშნავი და მდიდრული ქალაქი მსოფლიოში ” - მარკო პოლო.



„ზეცაში- სამოთხე, დედამიწაზე კი ხანგჰოუ და სუჩჰოუ“. ეს ცნობილი გამოთქმა იმ ხალხს ეკუთვნის, ვის გარემოცვაშიც ვიმყოფები დღეს, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს ჩემი ცხოვრება. დიახ, დიდი ჩინეთიდან მოგესალმებით და შევეცდები მოკლედ აგიღწეროდ ჩინური ცხოვრება და ამოუწურავი ემოცია ამომწურავად გამოვხატო. ყველაფერი უკავშირდება „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს“ და ჩემს შესანიშნავ ლექტორებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომისა და დიდი ძალისხმევის შედეგად დღეს ვსწავლობ ერთ-ერთ საუკეთესო „ჭედიან გუნშანის“ სახელობის უნივერსიტეტში, ყველაზე ლამაზ ქალაქ - ხანგჰოუში.

ქართულმა უნივერსიტეტმა მომცა საშუალება მაღალ დონეზე შეემსწავლა ჩინური, საუკეთესო ლექტორის თამარ მუჯირისა და მოხალისე ჩინელი მასწავლებლის ლუსის დახმარებით. ასე ჩამოყალიბდა ჩემი მიზანი, რომელსაც ჩინეთი დაერქვა. ყველაზე დიდი წვლილი ჩემს წარმატებაში, ჩემი ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ ავთანდილ კიკნაძეს მიუძღვის, რადგან ამ ადამიანის თავდაუზოგავი ბრძოლით მომეცა საშუალება მომეპოვებინა ჩინეთის მთავრობის 100%-იანი გრანტი.

რაც, შეეხება ჩემს დღევანდელ ცხოვრებას და წარმატებებს, ულამაზეს ქალაქ ხანგჭოუში და უნივერსიტეტში შევეცდები მოკლედ დაგიხასიათოდ.

ქალაქი ხანგჭოუ, ჩინეთის ძველი დედაქალაქი, რომელიც ჩინეთში, თავისი გამორჩეული ცათამბრჯენებით, ულამაზესი ტბით, რომელიც ერთადერთია ჩინეთში. ხანგჭოუში 2017 წლის სექტემბერში ჩატარდა G20 სამიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ეკონომიკურად უმსხვილესი 20 ქვეყნის მეთაურმა.

გამორჩეული ისტორიითა და სილამაზით, რომელსაც „სიხუ“ (西湖) ეწოდება, ულამაზესი ბუნებით, უამრავი მთა-გორიანი სოფლით, ჩაის ტერასებით, ასევე ავღნიშნავ იმასაც, რომ ყველაზე გემრიელი ჩაი ხანგჭოუში მზადდება და „ლონ ძინ“-ი ეწოდება, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც აქვს.

ქალაქი მდიდარია უძველესი უბნებით, სასახლეებით, მოღვაწეების სახლ-მუზეუმებით. ეს ყველაფერი ულამაზეს ვოიაჟს ქმნის. ქალაქი პირველია ჰაერის დაბინძურების მინიმალური პროცენტული მაჩვენებლით, რადგანაც ყველაზე მეტი სიმწვანე და კარგად ათვისებული და მოვლილი ტყე-პარკების ტერიტორიები ხანგჭოუში ფიქსირდება. გამოვარჩევი კლიმატსაც, ზაფხული ცხელი, ხოლო ზამთარი ზომიერად ცივია, წვიმიანი ქალაქია, როგორც ბათუმი, ამიტომ მარტივად შევეჩვიე.

ყველასთვის ცნობილია კომპანია „ალიბაბა ჯგუფი“ (阿里巴巴) ეს არის ინტერნეტ მაღაზიების ყველაზე დიდი ქსელი მსოფლიოში, რომელიც ხანგჭოუელი Jack ma-ს დაარსებულია და ყველაზე მდიდარი ადამიანია ჩინეთში. ასევე ალიფი, მობილურით ყველანაირი მომსახურების გადახდა, მათ შორის ველოსიპედების, რესტორნების, ბანკების და სხვა მომსახურების. აქვე ჩემი ჩინელი მეგობრის სიტყვებს გავიხსენებ, მან მითხრა: „ხანგჭოუში ჯიბის ფულს ნულეზად იყენებენ“ , რადგან ფულთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის მოგვარება წამშია შესაძლებელი ტელეფონის საშუალებით. სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, მაგალითად როგორიცაა პეკინი, ჩინეთის ქალაქების რესურსებით, ხანგჭოუ მესამე ადგილზეა პეკინისა და შანხაის შემდეგ. თავად ჰეძიანის პროვინცია, სადაც ქალაქი ხანგჭოუ მდებარეობს ჩინეთში ერთ-ერთი უმდიდრესია და პროვინციის შემოსავლების 70% კერძო კომპანიებზე მოდის დანარჩენი 30% კი სახელმწიფოზე.

მიუხედავად ქალაქის სიდიდისა მოწესრიგებულია ტრანსპორტის მოძრაობა, ყველაზე კომფორტული და იაფი გადაადგილების საშუალება არის ველოსიპედი და მოპედი, რომელსაც მასიურად იყენებენ, როგორც ადგილობრივები, ასევე უცხოელებიც.

ასევე, აღსანიშნავია ავტობუსი და მეტრო. ქალაქი ხანგჭოუ მზადაა ყველას განურჩევლად რასისა, კანის ფერისა და წარმომავლობისა მოემსახუროს მაღალ დონეზე.

უნივერსიტეტის შესახებ:

Zhejiang Gongshang University (ZJSU) მდებარეობს ქალაქ ხანგჭოუში, დედაქალაქ Zhejiang province. უნივერსიტეტი დაარსდა 1911 წელს, როგორც თანამედროვე ბიზნესის სკოლა, უნივერსიტეტი ყოველმომცველი გახდა ისეთ სფეროებში როგორც არის: სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მენეჯმენტი, ეკონომიკა, საინჟინრო, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა. ZJSU დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას სწავლებისა და კვლევის სფეროში, მას აქვს სტუდენტური გაცვლითი პროგრამები ოცამდე ქვეყნის უნივერსიტეტებთან, როგორცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, გერმანია და ა.შ.

დღეს უნივერსიტეტში ჩინეთის მთავრობის 47 სტიპენდიანტი ვსწავლობთ, უნივერსიტეტი ყოველთვის ზრუნავს სტუდენტების კეთილდღეობაზე, ითვალისწინებს ჩვენს შეხედულებებსა და მისწრაფებებს სხვადასხვა საკითხებში. ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, შესანიშნავი გარემოა შექმნილი, რომ დავაგროვოთ და მივიღოთ გარკვეული გამოცდილება ჩვენს სფეროში.

ZJSU - სრულიად კეთილმოწყობილია შიდა თუ გარე ინტერიერით, ტექნიკური აღჭურვილობით, მისი მასშტაბურობა გაგაოცებთ, უნივერსიტეტის კორპუსების განლაგება, უცხო ფორმის შენობები და ეზოს ინფრასტრუქტურა, მწვანე გარემო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, საველოსიპედო და სასეირნო ბილიკები, ყველაფერია ირგვლივ სიმყუდროვისთვის. ეზოში კორპუსიდან კორპუსამდე აღმართულია სხვადასხვა ცნობილი მოღვაწის ძეგლები, უზარმაზარი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები, ზედნაკვეთი იეროგლიფებით.

სტუდენტებისთვის განვითარებულია, ფეხბურთის, კალათბურთის, ტენისის, ბილიარდის, კუნფუკრატეს სპორტული ჯგუფები, შესაბამისად ეზოში დიდი ტერიტორია უჭირავს სხვადასხვა ზომის სტადიონებს. ცალკე გამოყოფილია შენობა, სადაც საცურაო აუზი, ტენისის, ბილიარდის, დასაკრავი ინსტრუმენტებისთვის არის განლაგებული. არ შემოდის არ ავღნიშნო უზარმაზარი საკონცერტო დარბაზი, რომელიც ალბათ მილიონ ჩინელს დაიტევს, ცალკე გამოყოფილი თეატრის შენობა, პატარა თუ დიდი საკონფერენციო დარბაზები და უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელიც ნებისმიერ მნახველს გააოცებს.

ტბასთან ახლოს მომრგვალებული წრის ფორმის, 4 სართულიანი შენობა, მთლიანად ბიბლიოთეკას ეკუთვნის, მყუდრო გარემო, სიწყნარე, უამრავი ლიტერატურა, შთამბეჭდავი სანახაობა...

უნივერსიტეტის ყველა ტექნიკური საკითხი გათვალისწინებული და მოგვარებულია. ვფიქრობ, წელიწადის ნებისმიერ დროს ჩემი უნივერსიტეტი ულამაზესი სანახავი იქნება, მაგრამ შემოდგომამ ყველაზე კარგად გამოხატა ბუნებრივი მხარე, სილამაზე, სიმყუდროვე და სასიამოვნო გარემო, რომელიც ჩემს განწყობაზე დადებითად მოქმედებს.

მინდა ავღნიშნო ჩემი აქტიურობა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, დატვირთული რუტინის მიუხედავად, ყოველ შაბათ-კვირას დავდივართ ექსკურსიებზე, რათქმა უნდა მხოლოდ ის სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტი გვიწევს რეკომენდაციას.

ლექციები გვეწყება დილის 9 საათზე და გრძელდება შუადღის 12:15 წუთამდე, ამის შემდეგ კი იწყება დამატებითი ლექციები. აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში, ვცეკვავ უნივერსიტეტის ჯგუფში, კვირაში ორი დღე ვეუფლები კუნფუსს, ოთხშაბათობით ვესწრები ჩემთვის უმნიშვნელოვანეს დამატებით ლექციას.

უნივერსიტეტისა და ჩემთვის ძალიან კარგი ლექტორის რეკომენდაციით ხშირად დავდივართ სხვადასხვა ვიდეო გადაღებებზე, ყოველი კვირა გადატვირთულია, მაგრამ სასიამოვნოა ჩემთვის, ვგრძნობ თუ რამხელა მხარდაჭერა მოდის უნივერსიტეტისგან. რაც შეეხება 2 თვეში დაგროვილ წარმატებებს: თითები არ მეყოფა ჩამოსათვლელად, განსაკუთრებით ამ ბოლო ერთ თვეში, დავიწყებ ყოველკვირეულ ტრადიციად ჩამოყალიბებული ხელოვნების გაკვეთილებიდან, სადაც ვსწავლობთ ტრადიციული ჩინური სუვენირების დამზადებას, ყოველი გაკვეთილის ბოლოს ვიღებ მადლობის წერილებს.

საშუალება მოგვეცა, დაგვეთვალა ჩვენს ერთ-ერთი დიდი შოკოლადის ქარხანა, შოკოლადის დამამზადებელი მანქანა-დანადგარები, კაკაოს ხეები, შოკოლადის შადრევნები, დავაგემოვნეთ უამრავი სახეობის შოკოლადი.. მათი ინიციატივით მოეწყო წამახალისებელი შეჯიბრი, მოგვცეს საშუალება ჩვენითვის დაგვემზადებინა სხვადასხვა ფორმის, ფერისა და ზომის შოკოლადები. ვთვლი რომ , ეს ყველაფერი უმნიშვნელოა და მთავარი სწორედ ახლა იწყება.

ზემოთ ავლნიშნე, რომ ცეკვავ უნივერსიტეტის ჯგუფში, რათქმუნდა ვსწავლობ ტრადიციულ ცეკვას. შესარჩევ ტურში ქართული ცეკვით გავედი თუ და ჩემი ოთახის ქართველი მეგობარი. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არასდროს ვმდგარვარ და მხოლოდ ერთი დღე ვიარე და იმის გამო შევწყვიტე ცეკვაზე სიარული, რომ ჩინური ენის ლექციებზე მემთხვეოდა, დღეს თამამად შემიძლია ვთქვა , რომ დაკარგული დღე ავინაზღაურე.

ერთ-ერთ კონკურსზე, რომელიც უნივერსიტეტებს შორის ჩატარდა ,მესამე ადგილი ავიღეთ და ოთხ დღიანი უფასო ექსკურსია გვხვდა საჩუქრად სხვადასხვა ქალაქებში, ხუჭოლუ, შაოსინი. მოვინახულეთ მთები, მდინარეები, ჩანჩქერები, ძველი ხიდები, მათ შორის ცნობილი მოღვაწეების სახლები, გავცანით მათ ისტორიებს, მათ შორის მათ ძედუნის ერთ-ერთი სასახლეც კი მოვინახულეთ, ეს იყო მოკანის მთაზე. წარუშლელ მოგონებათა შორის მათ ძედუნის სახლიც შედის, მისი საწოლი, კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახი, მაგიდა და სკამი, ნივთები, რომელსაც ხშირად იყენებდა, დღეს მხოლოდ ტურისტულ ადგილს წარმოადგენს, უამრავი ფოტო და მოგონება დამრჩა, აქვე ქართულ ანდაზას გავიხსენებდი:

„ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო“. აქამდე მხოლოდ მისი სახელი და გვარი ვიცოდი, დღეს კი მისი სახლის ერთ-ერთი სტუმარი ვიყავი.

მომხიბლა მდინარეებზე ნავებით სეირნობამაც, ძველებური ვენეციური სტილის ხის გონდოლებით, დავათვალიერეთ შაოსინის ულამაზესი ბუნება, ქვისგან დამზადებული ბუდას

ულამაზესი ქანდაკება, სისის პარკი, პირველად მომეცა საშუალება დამეგემოვნებინა: ბაყაყის, ლოკოკინისა და რვაფეხას ხორცი. ვაღიარებ, რომ რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, უგემრელიესია.

ცეკვაში აქტიურობამ საშუალება მომცა კარგი ურთიერთობა დამემყარებინა ყველასთან. ვგრძნობ უზარმაზარ პასუხისმგებლობას, ვინაიდან და რადგანაც უნივერსიტეტის სახელით გვიწევს კონკურენცია გავუწიოთ სხვა უნივერსიტეტებს, რამდენადაც რთულია, იმდენადაც სასიამოვნოა, რადგან წარმატება აისახება ჩემს სტიპენდიაზე, გრანტზე, ვცდილობ რეალობას თვალი გავუსწორო.

მე ხე ფან ძიუზე ავლნიშნე, ეს არის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი, რომელიც ოდნავ თითქოს ძველ თბილისს წააგავს.

რაც შეეხება, ჩემს გაკვეთილებს კუნფუში, ყოველთვის მქონდა სურვილი შემესწავლა ეს ურთულესი ხელოვნება, რომელიც დიდ ემოციურ დატვირთვას მოითხოვს, სასაცილოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი გოგო ვარ ბიჭებს შორის, ვინც სრული გამოთქვა. ვამზადებთ პერფორმანს, კონცერტისთვის, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართება. 9 დეკემბერს კი ჩინური ცეკვის ფინალია, დიდი იმედით და მოლოდინით ველოდები წარმატებებს.

თავისუფალ დროს ვთამაშობ მაგიდის ტენისს, ჩინელ და აფრიკელ მეგობრებთან ერთად. რაც მეხმარება ურთიერთობაში, ენის განმტკიცებაში, დატვირთულმა ყოველდღიურმა რუტინამ უკვე 2 თვე მოიცვა, შემდეგი ექსკურსია ქალაქ თონლუმში გაგრძელდა, სადაც ვიდეო გადაღებაზე ვიყავით ერთ-ერთ სოფელში.

სოფელში ჩინელი სტუმრები დაგვხვდნენ, აქტივობა ძალიან საინტერესო და სახალისო იყო, ბოლოს ერთად ვივახშმეთ და საჩუქრებით გამასპინძლებულები უკვე ჩინური ოპერის საყურებლად წავედით, „ძინძუ“ (京剧) ასე ეწოდება ჩინურ ოპერას, რომელიც ჩემთვის მძიმე მოსასმენია, მაგრამ სანახავად ძალიან ლამაზი.

უნდა ავლნიშნო 中秋节 (zhong qiu jie) ეს არის შემოდგომის ფესტივალი, რომელიც ერთი კვირა გრძელდება. ჩინელები დიდი ემოციით ხვდებიან, ესეც ერთ სასიყვარულო ისტორიაზეა აგებული, რომლის პატივსაცემადაც სპეციალურ მთვარის ნამცხვარს

იუბინებს აცხობენ, შემოდგომის ფესტივალისადმი მიძღვნილ აქტივაციაში მეც მხვდა წილად მონაწილეობის მიღება, იქვე გვასწავლეს ნამცხვრების დამზადების საიდუმლოებები და ბოლოს მადლობის წერილებითა და საჩუქრებით დაგვაჯილდოვეს. ჩემი ემოციები და შთაბეჭდილებები ამოუწურავია. ამ ორ თვეში დამიგროვდა უამრავი მადლობის წერილები, გამოცდილება და წარმატება და რაც მთავარია იმედი და მისწრაფებები კიდევ უფრო გამიმძაფრდა, რაც შეიძლება მეტად გამოვიყენო ეს დრო და მივიღო მაქსიმუმი ამ ქვეყნისგან და იმ ადამიანებისგან ვინც ჩემს გვერდით იმყოფებიან. მინდა რომ ვიყო წარმატებული და ჩემი კვალი დავტოვო ამ უნივერსიტეტში, შემდეგ კი ჩემს ქვეყანაში გავაგრძელო აქტიური მოღვაწეობა ჩინეთისა და საქართველოს დიპლომატიური

ურთიერთობების განხრით. ამ პერიოდის განმავლობაში კი დაგეგმილი მაქვს მოგზაურობა გვანჭოებში, კუალისში, ჩაის ტერასებზე და ა.შ

ნინი ასანიძე

P.S.

ნინიმ წარმატებით ჩააბარა ზამთრის სესიები და ჩინური ენის გამოცდების ყველა კომპონენტში უმაღლესი ქულები დაიმსახურა. ვულოცავთ ნინის ამ წარმატებას და მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებთ!





მე ვხედავ სიზმრებს...ჩინეთზე

პატარა რომ ვიყავი, ვოცნებობდი დიდ და დაუვიწყარ თავგადასავალზე... სადმე შორს სახლიდან. წარმოვიდგენდი ადგილს, სადაც ყველა და ყველაფერი უცხო, ახალი და საინტერესო იქნებოდა. ადგილს, სადაც ჩემი სახელი არავის ეცოდინებოდა და ჩემზე გაგონილიც არაფერი იქნებოდათ. ადგილს, სადაც ახლიდან უნდა დამემკვიდრებინა თავი და საკუთარი შესაძლებლობები გამომევიღებინა. გულწრფელი ვიქნები, ჩინეთში მოგზაურობა ან სასწავლებლად წასვლა ბავშობის ოცნებად არასოდეს მქონია, ვერც იმას წარმოვიდგენდი ოდესმე ჩინური ენის სწავლას თუ დავიწყებდი, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა, შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც ერთი წლის წინ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ოცნება ევროპაში მოგზაურობა იყო, ჩემი თავგადასავლებიც იქ წარმომედეგინა, ახლა კი ბოლო ერთი წელია აზია დამჩემდა. ნელ-ნელა ოცნება სიზმრებში გადადის და არ გსურს გამოღვიძება, რომელსაც ჩვეულებრივი ცხოვრების რითმი მოყვება. ერთი და იმავე ადამიანების ქცევები, საუბარი და ზოგჯერ მოსაწყენი გარემო. იღვიძებ იმ იმედით, რომ სიზმრები წარსულს ჩაბარდება და რეალურად შეეხები იმას რაზეც ოცნებობდი. ყოველდღიურად ვუახლოვდები, ვეცნობი ჩინურ კულტურას, ტრადიციებს, ვსწავლობ ენას, ჩინეთში წასული ქართველი მეგობრები მიყვებიან ჩინურ ვოიაჟებს და უფრო მძაფრი ხდება სურვილი შევეხო ჩინეთს. არ ვიცი რამდენად სწორად გაიგებთ ჩემს სათქმელს, მაგრამ ვფიქრობ ადამიანის ოცნება ისეთია რასაც მისი ცნობიერება სწვდება. სწავლასთან ერთად ჩემი ცნობიერი გაიზრდა და გაიზარდა იცნებებიც, ცოტა შეიცვალა კიდევ. დიახ, მე ვხედავ სიზმრებს, სიზმრებს, რომელშიც დავდივარ ჩინეთის ქუჩებში, იმ ქვეყანაში სადაც თავგადასავლებზე ვოცნებობდი. აქ იდეალური შერწყმა თანამედროვეობის და ძველი კულტურის. კონტრასტია ქალაქსა და ველურ ბუნებას შორის. ყველაფერი სუფთაა, ახალი და მოდერნიზებული, მაგრამ ამავედროულად ძველი, ხელუხლებელი და მწვანე... საოცარ დღეიდან შემოგთავაზებთ მცირე ზომის სტატიებს ჩინეთზე და გამოგზაურებთ იქ, სადაც ჩემი ოცნებებით დავაბიჯებ სიზმრებში, რომლის რეალობის მჯერა.

მე ვხედავ სიზმრებს...

ელენე ციციშვილი

我的梦想

我小时候，离开家、经历一番巨大的变化，并走向遥远的地方。希望这个地方一切使我所不熟悉的，而且对当地人我也是一个生疏的孩子，并且在那里做一番大事。当时。所想象的并不是中国，也从没想到过学汉语，一年前突然有了变化，我上圣安德利亚（安德烈）大学，成为一名大学生，开始学习汉语。开始时希望能去欧洲旅游，但是现在我渴望着看到中国。逐渐我的梦在实现，我不愿从这样的梦境中惊醒。但是现在我更希望走出梦境、使我的梦想能成为现实。我一天天的走近中国文化、传统、语言，倾听在中国进修的同学们回来所讲的一切，这更使我愿意实现我的美梦。我想，每个人的梦想、是他的意识所能包括的感情。在学习过程中我对中国的认识更加丰富了。有时我于梦中在中国的街道上逛来逛去，在古老又现代的中国文化中陶冶。

我希望这篇短文献给中国和中国人、表示我的爱慕。

作者:艾丽莉



ჩინეთის ყველაზე ლამაზი მსახიობი ქალები-საოცარი აზიური სილამაზე...

ყველაზე ლამაზი ჩინელი მსახიობი ლი ბინბინი, დაიბადა 1973 წლის 27 თებერვალს ქალაქ უჩანში. ლამაზმანი ცნობილია, როგორც მსახიობი და მომღერალი. 1993 წელს მეგობრის რჩევით, ლიმ სწავლა დაიწყო შანხაის თეატრალურ აკადემიაში. 1999 წელს კი სახელი მოიხვეჭა ფილმით "ჩვიდმეტი წელი". ის ასევე ცნობილია ფილმებით: "the forbidden kingdom" (2008); "last imperi down"; Resident Evil: დღეს ლი არის გაეროს კეთილი ნების ელჩი.



ჩენ ცზი დაიბადა 1979 წლის 9 თებერვალს. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ჩინელი მსახიობი. ცნობილი ფილმები მისი მონაწილეობით: The Road Home (1999), Crouching tiger, Hidden dragon (2000), Musa (2001), Hero (2002), House of flying daggers (2004), 2046 (2004) Memoirs of a Geisha (2005).



ჩაო ვეი დაიბადა 1976 წლის 12 მარტს, ცნობილია ასევე ვიკი ჩაოს სახელით. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩინელი მსახიობი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბევრ ფილმსა და სერიალში. მისი ყველაზე ცნობილი ფილმები და სერიალები: Shaolin soccer (2001), Chinese Odyssey 2002 (2002), So Close (2002), Warriors of Heaven and Earth (2003), The kingest Night in Shanghai (2007), Red Cliff (2008), Painted Skin (2008), Mulan (2009), 14 Blades (2010).



ჩჟან ცზინჩხუ



ჩჟან ცზინჩხუ, ნიჭიერი კინომსახიობი, დაიბადა 1980 წელს. იგი პეკინში დრამის ცენტრალურ აკადემიაში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. შესანიშნავად იცის ინგლისური. მისი დებიუტი შედგა ფილმში "ფარშავანგი", რომლისთვისაც 2005 წელს მიიღო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდო, "ვერცხლის დათვი".

ლიუ იფეი



ლიუ იფეი დაბადა 1987 წლის აგვისტოში. ლიუმ სახელი გაითქვა სილამაზითა და სუსტი აღნაგობით. გოგონა წარმატებით უთავსებს მოდელის, მსახიობისა და მომღერლის კარიერას. ლამაზმანის ყველაზე დიდ მიღწევად იქცა 2008 წლის ფილმი "აკრძალული სამეფო", რომელშიც მასთან ერთად ითამაშეს ჯეკი ჩანმა და ჯეტ ლიმ. ცოტა ხნის წინ მიუმ აშშ-ს მოქალაქეობა მიიღო.

სუნ ლი



სუნ ლი დაიბადა 1986 წლის 26 სექტემბერს და ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ჩინელ მსახიობად ითვლება, რისთვისაც ჩინეთის ტელევიზიის დედოფლის ტიტულიც კი დაიმსახურა. 2001 წელს მან მონაწილეობა მიიღო ფილმში "რომანი წვიმის ქვეშ", რითაც საფუძველი დაედო მის წარმატებულ კარიერას. მოგვიანებით ლამაზმანმა ტელეარხ China TV-სგან ჯილდო - "ოქროს არწივი" მიიღო. 2010 წლიდან ცუნი ქორწინებაშია მსახიობთან დენ ჩხოსთან, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავს.



ჩჟან იუიცი დაიბადა ჩინეთის პროვინცია შანდუნში. კინოსადმი ინტერესმა 15 წლის გოგონა სამსახიობო ხელოვნების სკოლაში მიიყვანა. მის პირველ მიღწევად იქცა როლი ფილმში «CJ7». 2009 წელს ლამაზმანი მიწვეული იყო მონბლანის კულტურის ფონდის დაჯილდოების ცერემონიაზე.

გაო იუანიუანი



1979 წელს დაბადებული ლამაზმანს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სამსახიობო სფეროში. შოუ-ბიზნესში მისი დებიუტი 1996 წელს შედგა და მას შემდეგ წარმატებით აგრძელებს კარიერას. გასაკვირი არ არის, რომ მან მთავარი ჯილდო დაიმსახურა სან-სებასტიანის კინოფესტივალზე, 2009 წელს.

ხუან შენი



ხუანი ძალიან ლამაზია და არა მხოლოდ მსახიობი, არამედ მომღერალიცაა და პეკინის კინოაკადემია აქვს დამთავრებული. მისი დებიუტი შედგა ფონგის როლში სტივენ ჩოუს ფილმში "საქმის გარჩევები

კუნგ-ფუს სტილში". 2009 წლიდან ლამაზმანი China Juli Group's Entertainment Media Co., Ltd-ს გენერალური დირექტორია.

ჩხენ ხაო



დაიბადა 1979 წელს და დღეისთვის ცნობილია, როგორც მსახიობი, მოდელი და მომღერალი. 1997 წელს დაამთავრა დრამის ცენტრალური აკადემიის სამსახიობო ფაკულტეტი. მალე მიიღო პირველი ჯილდო ფილმისთვის "მთის ფოსტალიონი". თუმცა საყოველთაო აღიარება მოუტანა სატელევიზიო დრამამ "მოხელე ლი ვეი". ჩხენმა გაიმარჯვა ონლაინ გამოკითხვაშიც, რომლის მიზანი იყო ჩინეთის ყველაზე ლამაზი ქალის გამოვლენა. დღეისთვის მსახიობი ქორწინებაში იმყოფება დევიდ ჰაიფენტანს.

ბარბი სიუი



ბარბი სიუი 1976 წელს დაიბადა და ჩინეთში ცნობილია ფსევდონიმით "და სი". იგი წარმოშობით ტაივანელი მსახიობი და მომღერალია. მისი პირველი დასამახსოვრებელი როლი იყო შან ცაი ტაივანურ დრამაში "ჩამოცვენილი ვარსკვლავების ბაღი". მიუხედავად მისი ასაკისა, ბარბი შეუდარებელია პოპულარულ კოლეგებს შორისაც.

სპორტი ჩინეთში

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სპორტი ყოველთვის ჩინურ საბრძოლო ხელოვნებას უკავშირდება, სპორტი ჩინეთში ძალზე პოპულარულია და დღეს რეალურად მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ, ჩინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ როგორც დასავლური, ასევე ტრადიციული ჩინური სპორტის სახეობები: ბადმინტონი, ფეხბურთი, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ჩინეთში ყველა ძირითადი სპორტის სახეობებია განვითარებული და უკანასკნელ წლებში მიღწევებიც ძალზე შთამბეჭდავია.

2008 წელს ჩინეთში ჩატარდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები და ამ ოლიმპიადაზე ჩინელებმა 51 ოქროს მედლის აღება მოახერხეს. ჩინეთი ასევე 2014 წლის ზაფხულში მასპინძლობდა ახალგაზრდულ ოლიმპიადას.

მაგიდის ჩოგბურთი - ეს არის სპორტის ერთ-ერთი სახეობა, ის ძალიან პოპულარულია ჩინეთში. მსოფლიო დიპლომატიურ პრაქტიკაში ცნობილია პინგ-პონგის დიპლომატია, რომელსაც სათავე ჩინელებმა დაუდეს. მას დღეს ამ ქვეყანაში დაახლოებით 300 მილიონი ადამიანი თამაშობს. ჩინელ სპორტსმენებს არაერთი მაღალი ხარისხის ჯილდო აქვთ მოგებული.

1. ჩინეთის ფრენბურთის ქალთა ეროვნული ნაკრები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი სპორტული შედეგებით და პატრიოტული სულისკვეთებით.



ჩინეთის ქალთა ეროვნული ფრენბურთის გუნდი მსოფლიოს წამყვანი ქალთა ფრენბურთის სპორტის ერთ-ერთი წამყვანი გუნდია, გუნდმა მოიგო ოლიმპიური ტიტული ორჯერ 1984 და 2004 წლებში. ჩინეთმა 1980-იან წლებში ხუთი ზედიზედ მსოფლიოს ტიტული მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში არასტაბილური განვითარებით, გუნდი კვლავ გაიზარდა და 2003 წლის მსოფლიო თასის ტიტული მოიგო და 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა.

2. მაგიდის ჩოგბურთი (Ping Pong) - ტრადიციული ეროვნული სპორტის სახეობაა.



ჩინელმა მაგიდის ჩოგბურთელებმა 1959 წლიდან მოყოლებული მრავალჯერ გაიმარჯვეს მამაკაცთა მსოფლიო ჩემპიონატებში (60%) და მოიგეს თითქმის ყველა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი 1971 წლიდან. პინგ-პონგი ჩინეთის სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 1972 წელს, აშშ-ს სამთავრობო დელეგაცია მიწვეულ იქნა მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. აქედან ჩაეყარა საფუძვლი ტერმინს "Ping Pong Diplomacy". რომელიც ცნობილი გახდა საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში.

3. "სროლით" დაიწყო ჩინეთის ოლიმპიური თამაშების პირველი ოქროს მედალი



Xu Haifeng, ჩინელი პისტოლეტით მსროლელი, რომელმაც მოიგო ოქროს მედალი 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. ის პირველი ჩინელია, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სპორტის ამ სახეობაში.

4. ველოსპორტი - ჩინეთში ეს სპორტი პოპულარულია ყველა ასაკის ადამიანში და ყველგან შეგიძლიათ ნახოთ.



ჩინეთს "ველოსიპედის სამეფოს" უწოდებენ. ქვეყანაში 1987 წლისათვის იყო 500 მილიონი ველოსიპედი.

ერთი ველოსიპედი მოდიოდა ყოველ ორი ადამიანზე. ჩინეთში ველოსიპედები სატრანსპორტო საშუალების მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ქვეყანაში ყველგან შეიძლება აღმოაჩინო. თუმცა, სწრაფი განვითარებით, სულ უფრო და უფრო მეტმა ადამიანმა დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან კერძო ავტომანქანების გამოყენება.

5. იაო-მინგი და “NBA”



კალათბურთი- ჩინეთის საკალათბურთო ასოციაცია, რომელიც 1995 წელს შეიქმნა, ეს მოვლენა გახლდათ ჩინური კალათბურთის განვითარების დასაწყისი. ჩინეთში პირველი კალათბურთის გუნდი გახლდათ SHENYANG. ჩინელი კალათბურთელები წარმოდგენილი არიან NBA (აშშ), მაგალითად, იაო მინგი, ვანგ ჟიჟი იაო მინგი იყო პირველი ჩინელი მოთამაშე, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია “NBA”-ზე და ასევე პირველი ჩინელი სუპერვარსკვლავი კალათბურთელი მსოფლიოში. ამერიკული მედია მას “NBA”-ს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევდა. 2006 წელს მან ჩინეთის ყველაზე გავლენიანი სპორტსმენის წოდება მიიღო.

6. ჩინურ ფეხბურთი



ჩინეთში ფეხბურთი ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა ჩინეთის ეროვნულ ნაკრებს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის სპორტის ამ სახეობაში არასდროს მიუღწევია.

7. ჩინური დაივინგი "ოცნება გუნდი"



დაივინგის ჩინურმა გუნდმა მსოფლიოს გაოცება 1980-იან წლებში დაიწყო. ჩინური სპორტის ყველა სახეობებს შორის, დაივინგის ჩინურმა გუნდმა მოიგო ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი, ვიდრე სხვა დანარჩენი სპორტის სახეობებმა.

8. ჩინეთის საბრძოლო ხელოვნება - ჩინეთის კულტურის ხატი



ჩინური ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩინური საბრძოლო ხელოვნება, რომელიც ქვეყანაში განიხილება, როგორც ჩინეთის კულტურის ნაწილი და არსი. მისი უნარ-ჩვევები მოიცავს ბრძოლის სხვადასხვა ფორმას, იარაღით ბრძოლას და სხვადასხვა საბრძოლო მარშრუტებს. ჩინურ საბრძოლო ხელოვნებას ძველ ჩინეთში დიდი ისტორია აქვს და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

9. ბადმინტონი ჩინეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტია.



ბადმინტონი ერთ-ერთი საყვარელი სპორტია ჩინეთში. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ თუ როგორ თამაშობს ხალხი ბადმინტონს ქუჩებში, ქალაქებსა და სოფლებში.

10. ჩოგბურთი- ერთ-ერთი უმთავრესი სპორტია ჩინეთში , რომელმაც საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ამის ნათელი მაგალითი გახლავთ ლი ნა, რომელმაც ჩინელებიდან პირველმა მოახერხა ,, დიდი შლემის“ ტურნირის მოგება.





მის მსოფლიო ჩინელი ლამაზმანი!

კონკურსის "მის მსოფლიო 2012" გამარჯვებული 23 წლის ჩინელი იუი ვენსია (Yu Wenxia) გახდა. კონკურსის არსებობის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა მსოფლიოს ულამაზესს გოგონად ჩინეთის წარმომადგენელი სახელდება. 2007 წელს ჯილდო 23 წლის ჩჟან ცზილინმა აიღო (Zhang Zilin



იუი ვენსია მუსიკალურ განათლებას იღებს და მუსიკის პედაგოგობისთვის ემზადება. ჩინელმა ლამაზმანმა უპრეცედენტო კონკურენციას გაუძლო - კონკურსში 116 გოგონა მონაწილეობდა.



ჩინური ახალი წელი საქართველოში!

ჩინური ახალი წლის ღონისძიებაში ჩვენმა სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა!





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს მსმენელთა მიღებას ჩინური ენის კურსებზე. ჯგუფში 8-15 მსმენელი. ჩინური ენის შესწავლა იწყება ჯგუფის ჩამოყალიბებისთანავე.

1) ზოგადი ჩინური ენის კურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი გთავაზობთ ჩინური ენის შესწავლას ნულოვანი დონიდან. მეცადინეობებს ატარებენ როგორც ქართველი, ასევე ჩინელი პედაგოგები. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, კვირაში 6 საათი (კვირაში 3 დღე, 2 სთ/დღე). გაკვეთილების დრო განისაზღვრება სტუდენტთა უმრავლესობის პრიორიტეტის მიხედვით. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მსმენელს გადაეცემა შესაბამისი დონის სერტიფიკატი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის და ჩინეთის ჭეძიანგის ინდუსტრიული უნივერსიტეტის ერთობლივი სერტიფიკატი). ჯგუფში 8-15 მსმენელი.

2) ჩინური ენის კურსი სკოლის მოსწავლეთათვის პროგრამა განკუთვნილია 10-დან 15 წლამდე ასაკის ჩინური ენით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის. კურსი მოიცავს ნულოვანი დონიდან ჩინური ენის შესწავლას და ჩინური კალიგრაფიის სწავლას.

მეცადინეობებს ატარებს ქართველი გამოცდილი პედაგოგი, ხოლო კალიგრაფიას - საქართველოში ჩინური ენის დამფუძნებელი და მხატვარი მალი ლიუ-ყანდარელი. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, კვირაში 4 საათი (კვირაში 2 დღე, 2 სთ/დღე). გაკვეთილების დრო განისაზღვრება სტუდენტთა უმრავლესობის პრიორიტეტის მიხედვით. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მსმენელს გადაეცემა შესაბამისი დონის სერტიფიკატი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის და ჩინეთის ჭეძიანგის ინდუსტრიული უნივერსიტეტის ერთობლივი სერტიფიკატი).

3) სასაუბრო ჩინური ენა

პროგრამა ითვალისწინებს თემატური სასაუბრო ჩინური ენის შესწავლას მხოლოდ ჩინური ენის ტრანსკრიფციის გამოყენებით (იეროგლიფების გარეშე).

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, კვირაში 4 საათი (კვირაში 2 დღე, 2 სთ/დღე). გაკვეთილების დრო განისაზღვრება სტუდენტთა უმრავლესობის პრიორიტეტის მიხედვით. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მსმენელს გადაეცემა შესაბამისი დონის სერტიფიკატი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის და ჩინეთის ჭეძიანგის ინდუსტრიული უნივერსიტეტის ერთობლივი სერტიფიკატი).

4) ქართული ენის ზოგადი კურსი

ქართული ენის ზოგადი კურსი შედგება 2 ეტაპისაგან, კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, კვირაში 4 საათი (კვირაში 2 დღე, 2 სთ/დღე). გაკვეთილების დრო განისაზღვრება სტუდენტთა უმრავლესობის პრიორიტეტის მიხედვით. სწავლება მიმდინარეობს ნულოვანი დონიდან პეკინის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელოთი ჩინურ ენაზე. მეცადინეობებს ჩაატარებს სახელმძღვანელოს ავტორი ქ-ნი ნატალია მაისურაძე. 2 ეტაპის წარმატებით გავის შემთხვევაში, მსმენელს გადაეცემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის) სერტიფიკატი.

中国人学格语课分上下两级。每级 16 周（一周两次，每次两个小时）。使用材料是北京大学出版社的“速成格鲁吉亚语”书。课程的教师是“速成格鲁吉亚语”的主编那达丽（Natalia Maisuradze）。每月学费 150 拉利。两级学完后，通过考试，得到“格鲁吉亚国家理工大学的中-格文化研究中心”格语培训班证明书。

მისამართი:

0175, საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას 77, სააკაძის მოედანი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, VI კორპუსი, VI სართული, ა ბლოკი, ოთახი 607 ჩინური ენის კაბინეტი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

1. ავთანდილ კიკნაძე-ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ელ.ფოსტა: a_kiknadze@gtu.ge

მობ: 593311617

2. ნატალია მაისურაძე-558244 939

3. ნინო ტეტუნაშვილი- 551 428 555

ჩინური ენისა და კულტურის ცენტრი

ჩვენი გუნდი

ნატალია მაისურაძე, ნინო ტეტუნაშვილი, თამარ პატაშური და ჩინელი პედაგოგები იან ლი ცინი და ჯაოძინ ჟუი.

ნინო ტეტუნაშვილი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ჩინური ენის პედაგოგი.



დაამთავრა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, (თავისუფალი უნივერსიტეტი) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით/ჩინური ენა (ბაკალავრი)

ცენტრალური ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტი, ჩინური ენა, (მაგისტრატურა)

ცენტრალური ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, (დოქტორანტურა) დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK), VI დონე.

ფლობს ქართულ, ინგლისურ, ჩინურ, რუსულ, გერმანულ ენებს.

უდიდესი წვლილი მიუძღვის ხანჭოუს ჭეძიან გუნძან უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებასა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებაში.

ნატალია მაისურაძე- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის,ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ჩინური ენის პედაგოგი.



მუშაობდა პეკინის უნივერსიტეტში,ქართული ენის პედაგოგად.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩინური ენის პედაგოგად

საქართველოში ჩინეთის საელჩოს სავაჭრო ეკონომიკურ პალატაში

დაამთავრა ჩინეთის, თიენძინის პედაგოგიური უნივერსიტეტის მაგისტრატურა ადმინისტრაციის მენეჯმენტის სპეციალობით

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ჩინური ენისა და ჟურნალისტიკის სპეციალობით.

ჩინური ენის სერთიფიკატი (HSK),IX დონე.

ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ჩინურ ენებს.

თამარ პატაშური- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის,ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ჩინური ენის პედაგოგი.



მოგესალმებათ ჩინეთი Hello China 你好中国 -ს ავტორი და წამყვანი. თამარ პატაშურმა ჩინელ ემილი ლისტან ერთად ტელევიზია ახალი საქართველოს ეთერში რამოდენიმე გადაცემა მიუძღვნა ჩინური

ენის და კულტურის შესწავლის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ეს კურსები საკმაოდ პოპულარული გახდა ჩინური ენით დაინტერესებულ ახალგაზრდებში. ქ-ნი თამარი ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტია და წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ენის სპეციალობით, აქვე დაამთავრა მაგისტრატურა თარგმანმცოდნეობის სპეციალობით.

ასევე დაამთავრა პეკინის ენისა და კულტურის და ლანჯოუს უნივერსიტეტები.

ჩინური ენის სერტიფიკატი (HSK), VI დონე.

ფლობს ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ჩინურ ენებს.

გადაცემების ლინკები:

1. <https://www.youtube.com/watch?v=BwK1WPJVf7I&t=412s>
2. <https://www.youtube.com/watch?v=1Rzk5zwyuyQ&t=26s>
3. <https://www.youtube.com/watch?v=U3uruZg0-xo&t=362s>
4. <https://www.youtube.com/watch?v=ZDN-aOdBJo8>
5. <https://www.youtube.com/watch?v=U3uruZg0>

ჩვენი ჩინელი პედაგოგები.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს უნივერსიტეტში ჩინეთის მთავრობის პროგრამით წარმატებით მუშაობენ მოხალისე ჩინელი პედაგოგები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარებიან ჩინური ენის სრულყოფაში, საერთაშორისო გამოცდებისთვის, სხვადასხვა კონკურსებისთვის მომზადებაში.

2017-2018 სასწავლო წელს მოხალისეებად მუშაობენ იან ლი ცინი და ჯაომინ ჟუი.

მომზადდით ჩვენთან და შეისწავლეთ ჩინური ენა!

არ ჩამორჩეთ დროს!

გისურვებთ წარმატებებს!





სპეცგამოშვებაზე მუშაობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ჩინეთის კლუბის წევრები:
მარიამ რომელაშვილი, ჟაინა დადაევა,
ნიკა გოგინაშვილი, ალექსანდრა ზამულა, იანა ალიმბარაშვილი.

იდეის და პროექტის ავტორი: პროფესორი ავთანდილ კვიციანი.

დიზაინი და ფოტო: ლიანა დიასამიძე